

# ქიზი

საქართველოს  
საზოგადოებრივი  
მედიის ცენტრი

652/  
1980/2

23

3

1980







# ჭოჩოსი

ქართული  
ენების  
საქართველო

ლიტერატურულ-მხატვრული და  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური  
ჟურნალი

საქართველოს მფრალთა კავშირისა  
და აჭარის ბანუოფილუბის  
ორბანო

ბამოცემის 22-ე წელი

3

1980

ბაისი  
იბნისი

ბა ბმუნდობი ბლუა გვადეს, აჭარა,  
ბა ბმუნაფალი, ბვბრფასი ბედით...  
ბალაბი—ჩუნი ბვბნის ბანჯარა  
აღმოსაფლუთით და დასაფლუთით.



ბ ა თ უ მ ი

აჭარის ჟურნალ-ბაზეთების ბამოცემლობა



|                    |    |                                                |
|--------------------|----|------------------------------------------------|
| გალაკტიონ ტაბიძე   | 3  | აჭარელი მფრინავი                               |
| სერგო ჯაყელი       | 4  | უკვდავება                                      |
| ფრიდონ სალვაში     | 11 | ერთი ლექსის ბიოგრაფია                          |
| შალვა იოსელიანი    | 13 | ჩემო მიწავ!                                    |
| მამია ვარშანიძე    | 14 | ლექსები                                        |
| იაკობ მელია        | 17 | ლექსები                                        |
| ჯემალ ქათამაძე     | 19 | წითელი თოვლი                                   |
| ნესტორ მალაზონია   | 21 | ცხრა მაისი თენდებოდა...                        |
| მუხრან კობალაძე    | 26 | იპოვა... საკუთარი საფლავი                      |
| იასონ ცერცვაძე     | 29 | ისინი ყირიმში იბრძოდნენ                        |
| ნოდარ ჯალალონია    | 32 | ლექსები                                        |
| ნოდარ მოღვაძე      | 34 | თეა                                            |
|                    | 43 | „შენგან ანთებული ჟინფილით...“                  |
| იური სიხარულიძე    | 45 | კახაბერი                                       |
| ანზორ ზამბახიძე    | 49 | ისტორიის ფურცლები                              |
| მინეილ მშვიდლობაძე | 57 | „სალამს გითვლიან ჩვენი კომკავშირელები“         |
| ფლორა ხორავა       | 60 | „გორდა“ ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატია |
| ავთანდილ დიასამიძე |    |                                                |
| იოსებ ბეჭირიშვილი  | 63 | „იყავ საუკუნოდ ხსენებული“                      |
| ალექსანდრე ჩხაიძე  | 67 | საქართველო თან გვახლდა ყველგან                 |
| რამაზ სურმანიძე    | 72 | „კუნძულ სახალინის“ ქართველები                  |
| ნოდარ კახიძე       | 78 | ძველი გზები და ხიდეები აჭარაში                 |
| თეიმურაზ ფანჯიკიძე | 82 | ვატიკანი. თანამედროვეობა. პოლიტიკა             |
|                    | 91 | გასულ ორ თვეში.                                |

გარეკანის მე-2 გვ. „პირველი გმირი აჭარის“ — შოთა ხოლუაშვილის ნახატი.

გარეკანის მე-3 გვ. „მედეა და იაზონი“. ბათუმის თეატრის ფარდის ესკიზი — ზურაბ ხაბაძის ნახატი.

ფურნალი გააფორმა ავთანდილ ლომაძემ.

ნომერში დაბეჭდილია ნ. ანასტასიევის, ვ. მითაიშვილისა და ა. ჩანტლაძის ფოტოები.

ტექნიკური ხელმძღვანელი შუშანა დარჩია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.4.80, საბეჭდი თაბახი 6, საგამომცემლო 5, შეკვეთის № 1392, ემ 00137, ქაღალდის ზომა 60×90<sup>1</sup>/<sub>16</sub>, ტირაჟი 4.000.



აჭარელი  
მფრინავი

(ნაწყვეტი)



94591

ვინ იყო, რომ ოცდაათი  
საოცარი გაფრენით  
ყოველი დღე და საათი  
აანთო აღმაფრენით?  
საზენიტო ცეცხლის ალში  
მტრის ტყვიის დამცინავი  
უყურებდა სიკვდილს თვალში  
გამბედავი მფრინავი?  
— შეილი ქართლის და აჭარის,  
სავესე გულის სიალით —  
ჯინჭარაძე! — გახდა ჯარის  
საპასუხო გრიალი.  
— ვისი გახსოვთ ვაჟკაცობა,  
ცოდნა, გამბედაობა,  
თავდადების წრფელი გრძნობა,  
ნიჭი, შორსმხედლობა —  
ვინ გადუღო დუშმანს სარმა  
და უშვა ვით ბზრიალა.  
— ჯინჭარაძე! — მთელმა ჯარმა  
ერთხმად დაიგრილა.

ვინ იყო ის, სავესე გზნებით,  
პაერთა ჯადოქარი?  
— ჯინჭარაძე! — ძღუღვარებით  
ისმის ხმა ბობოქარი.  
ვინ გადასჭრა ზეცა სხივით  
და მიწაზე სდგა მუხად?  
— ჯინჭარაძე! — გრიგალივით  
გამოისმა პასუხად.  
ვინ იყო ის, მტერთ მორევნის  
ოსტატი მეთაური?  
— ჯინჭარაძე! — ზღვის მორევის  
ხმით გაისმის ხმაური.  
პირადად ვინ, მფრენი მცველად  
ღრუბელთა საცდომებში,  
იმარჯვებდა საკვირველად  
საპაერო ომებში?  
მიენიჭა პირადად ვის  
გმირის დიდი სახელი?  
— ჯინჭარაძე! — ჯარის ისმის  
ხმამალალი ძახილი.

1944 წ.  
ბათუმი.

კ. მარტის სს. სპ. სსრ  
სახელმწიფო სპეციალ.



# უჩაქუჩი



„შერე, რა ვუყოთ, თუ ბრძოლაში შენ დაიდუბე,  
შენებრ მამაცთა, სულთ ძლიერთა ლად სიმღერაში  
მუდამ იქნები მაგალითი  
და სინათლისკენ კვლავ ამაყად შენ მოგვიწოდებ“.

მ. გორკი. „სიმღერა შევარდენზე“

საბჭოთა კავშირის გმირის ისრაფილ ჯინჭარაძის სახელს ატარებს პიონერული რაზმეულები, სკოლები, ქუჩები, მოედნები, კოლმეურნეობა...

ისრაფილ ჯინჭარაძის ბიოგრაფია ჩვეულებრივი საბჭოთა ადამიანის ბიოგრაფიაა, მაგრამ ამაღლებული უკვდავებამდე თავისი გულის მკვნებარებით, სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით.

...ჭაბუკმა ისრაფილმა პირველი წაკითხვისთანავე შეიყვარა ნიკოლოზ ოსტროვსკის „როგორ იწრთობდა ფოლადი“. ხშირად იმეორებდა პავკა კორჩაგინის სიტყვებს: „ყველაზე ძვირფასი ადამიანისათვის სიცოცხლეა“... მაგრამ თუკი სამშობლოს შენი სიცოცხლე დასჭირდა? ვინ იცის, მამულისათვის დაფერული რამდენი გმირის სიცოცხლეზე ფიქრობდა ისრაფილი ბათუმის რკინიგზის ტექნიკუმში სწავლის დროს.

ყველას უყვარდა ეს ალაღმართალი, ახოვანი ჭაბუკი: ამხანაგებსაც, მასწავლებლებსაც, ნათესავებსაც.

სწავლისაგან თავისუფალ დროს გადაიკიდებდა მხარზე ბიძის ნაჩუქარ ფოტო-აპარატს და ველოსიპედით ესტუმრებოდა ახლობლებს. განსაკუთრებით უყვარდა ყოფნა თავის ბიძასთან — აბდულ ჯინჭარაძესთან, რომლის ოჯახში ახლაც სათუთად ინახავენ ისრაფილის გადაღებულ ფოტოებს, ნივთებს, რომლებიც ისრაფილის სახელთანაა დაკავშირებული.

დედუღეთი ზომ ყველაფერს ერჩივნა. ბაბუას — მემედ ბოლქვაძის სახლისაკენ მიმავალ ადმართს არ უშინდებოდა. — „ნუ დააქროლებ ასე სწრაფად ველოსიპედს!“ — საყვედურით ეტყოდა დედა და მოსიყვარულე ხელებით ქოჩორს აუწეწავდა.

— სისწრაფის გარეშე სიმაღლეს ვერ დაიპყრობ. — უხსნიდა ისრაფილი და გადასცქეროდა ქვემოთ გაწოლილ მოლივივზე ზღვას.

ბეჯითად სწავლობდა ისრაფილი ტექნიკუმში, მაგრამ შინაგანად მაინც აკლდა რაღაც... ამ წლებში ლენინურმა კომკავშირმა სამხედრო-საჰაერო ძალების შეფობა აიღო. ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა აიტაცეს საბრძოლო ღირსებები:



„თვითმფრინავის ფრთებს — კომკავშირული სისწრაფე“, „კომკავშირელები — თვითმფრინავებზე“.

ისრაფილმა თითქოს ერთბაშად იპოვა თავისი მოწოდება: უყოყმანოდ ჩაეწერა ბათუმის აეროკლუბში, სადაც ტექნიკუმისაგან მოუწყვეტელივ გატაცებით ეუფლებოდა საფრენოსნო საქმეს.

საავიაციო კლუბი ამ დროისათვის დიდად პოპულარული იყო. აქ სწავლობდნენ შემდგომში საბჭოთა კავშირის გმირები დავით თავაძე, გარი მერკვილაძე, მიხეილ გორბაჩევი, ალექსანდრე გორბაჩევსკი, უშიშარი მაზინჯარელი ჭაბუკი ნური ჯინჭარაძე. აქ ეზიარა საფრენოსნო საქმეს ლეგენდარული მფრინავი ქალი ფადიკო გოგიტიძე.

ისრაფილი წარჩინებით სწავლობდა. საავიაციო კლუბის დამთავრების შემდეგ, 1939 წელს, ისრაფილ ჯინჭარაძე, როგორც სწავლის ფრიადოსანი, კომკავშირული საგზურით ბალაშოვის საავიაციო სასწავლებელში გაგზავნეს. წასვლის წინ ველოსიპედი და ფოტოაპარატი თავის ბიძაშვილს აჩუქა.

საავიაციო სასწავლებელში ჩვეული ენერგიითა და გულმოდგინებით ეუფლებოდა ისრაფილი რთულ ტექნიკას. ამ დროს ახალი ტიპის თვითმფრინავები გამოჩნდა. კომკავშირმა საჰაერო ფლოტს შესანიშნავი შევარდნები მისცა.

ჩკალოვი, ბაიდუკოვი, ბელაკოვი, მარინა რასკოვა, ვალენტინა გრიზოდუხოვა... აი ვინ იყვნენ მაშინ კურსანტების სათაყვანებელი გმირები. ახალგაზრდებს გული საგმირო საქმეებისაკენ მიუწვედათ.

სასწავლებელი ერთი მეგობრული ოჯახი იყო. განსაკუთრებით დაუახლოვდა ისრაფილი უკრაინელ მიხეილ ტოკარენკოს. მათი საწოლები ერთად იდგა. ისინი ღამით ძილისთვის განკუთვნილ დროსაც ჩურჩულთ აგრძელებდნენ საუბარს მომავალ ცხოვრებაზე, კომკავშირელის ვალზე, ოცნებობდნენ გმირობაზე.

— ზოგჯერ ისრაფილი გაირინდებოდა, — იგონებს მიხაილ ტოკარენკო, — მღუმარედ შესცქეროდა ლაჟვარდ ცას. ამ დროს იგი ოცნებით მშობლიურ მაზინჯაურში თუ იყო, ეალერსებოდა მის ზურმუხტოვან მღელვებს, მოლივლივ ზღვას. თვალწინ წარმოუდგებოდა შვილის განშორებით დასევდიანებული ღედის თვალეზი... მეერ „სულიკოსა“ და „ციცინათელას“ წამოიწყებდა... ეს სიმღერები და თავისი მშობლიური კუთხე ყველას შეგავყვარა. ყოველთვის მეპატიჟებოდა, ჩემი ქვეყანა და ჩემი ხალხი უნდა გაგაცნო... ცეკვაც შესანიშნავი იცოდა. მთელი სასწავლებელი მოხიბლა...

ისრაფილის თანაკურსელი და თანამებრძოლი განაგრძობს.

ბევრს გვიჭირდა მისი სახელისა და გვარის წარმოთქმა. ერთხელ თვითონ ისრაფილმა გვითხრა: ვატყობ ჩემმა სახელმა და გვარმა მოტორის გაწმენდაზე მეტი ჯაფა მოგაყენათ, ამიტომ უბრალოდ „კოლია“ დამიძახეთო. ჩვენც სიამოვნებით დავთანხმდით და სასწავლებელში ისრაფილს სიყვარულით ყველა კოლიას ვეძახდით.

ი. ჯინჭარაძემ საავიაციო სასწავლებელი წარჩინებით დაამთავრა. როგორც სანიმუშო მფრინავი, იგი ერთ-ერთ საავიაციო ქარხანაში დანიშნეს მფრინავ-გამომცდელად. ისრაფილმა აქაც გამოიჩინა თავი, როგორც საქმის მცოდნე სპეციალისტმა.

და აი, 1941 წლის 22 ივნისი... დედასამშობლოს დამახილზე აღსდგა მთელი ჩვენი ქვეყანა. საბჭოთა ხალხი ჩაება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ.

ისრაფილი ბევრს ცდილობდა მოქმედ არმიასი წასულიყო, მაგრამ ამაოდ.

„არის ომის პირობებისათვის არც თუ ისე საზარბიელო სიტყვა „ჯავშანი“,



— წერდა ის ერთ-ერთ ბარათში დედას, — ვმუშაობ ქარხანაში მფრინავ-გამომცემ-  
დელად, ვასრულებ კონსტრუქტორების ყველა დავალებას“.

ისრაფილს გული თანატოლებისაკენ მიუწევდა, რომლებიც უშუალოდ წინა  
ხაზზე უტევდნენ მტერს, ბომბავდნენ, კრიტიკულ მომენტებში საკუთარი სხეუ-  
ლით ფარავდნენ მტრის ამბრაზურებს, აფეთქებდნენ ფაშისტთა ეშელონებს. ის  
კი... იმში ყველა საქმე საჭიროა, განაგრძობდა თავის თავთან საუბარს ისრაფილი,  
მაგრამ საცდელი გაფრენები რა მოსატანია, როცა ჩემი თანატოლები ფაშისტებს  
მუსრავენ...

„აღამიანისათვის ყველაზე ძვირფასი სიცოცხლეა“, — კვლავ პავლე კორჩა-  
გინის სიტყვები ჩაესმოდა ჟურში, — მაგრამ ისეთი სიცოცხლე, რომელიც გრძელ-  
დება სიკვდილის შემდეგაც.

— მტკიცედ გადავწყვიტე, წავიდე წინა ხაზზე, სადაც ჩემი თანატოლები  
ებრძვიან ფაშისტურ ურჩხულს, — უთხრა ისრაფილმა კონსტრუქტორს ერთ-  
ერთი საცდელი გაფრენის შემდეგ. მეორე დღესვე გაემართა სამხედრო კომისარი-  
ატისაკენ. დაელოდა თავის რიგს და კომისარს მაგიდაზე დაუდო განცხადება  
მოქმედ არმიაში მონაღისედ წასვლის თაობაზე.

კომისარმა განცხადება წაიკითხა და გულდასმით შეათვალიერა ჭაბუკი. ის-  
რაფილმა თავისი დიდრონი შავი თვალები ჯიქურად შეაგება კომისრის მხერგს.  
ამ შეხედვაში იგრძნობოდა ურყევი გადაწყვეტილებაც და თხოვნაც გაეგზავნათ  
მოქმედ არმიაში.

„ფრონტს სწორედ ასეთი არწივები სჭირდება“, — კომისარმა ისრაფილის  
თხოვნა დააკმაყოფილა.

ასე დაიწყო ისრაფილ ჯინჭარაძის საბრძოლო გზა.

1942 წლის 22 მაისიდან 1943 წლის 17 მარტამდე იგი იბრძოდა კალინინის  
ფრონტზე, ამავე წლის 23 მარტიდან 20 ივლისამდე ვორონეჟის ფრონტზეა, 20  
ივლისიდან 1943 წლის 15 ოქტომბრამდე კურსკის მიმართულებით იბრძვის. ამ  
ხნის განმავლობაში ისრაფილ ჯინჭარაძემ გამოიჩინა უბადლო გმირობა. მისი  
მოიერიშე თვითმფრინავი „ილ-2“ რისხვად ატყდებოდა მტერს. ფაშისტ ურდოე-  
ბთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის დღეებში, 1943 წლის 15 აპრილს, ის-  
რაფილი კომუნისტური პარტიის რიგებში შევიდა. კომუნისტი მფრინავი მტრის  
რიგებში სიკვდილსა და ჰანკას თესავდა. ისრაფილ ჯინჭარაძის გმირობის შესა-  
ხებ ვეგებულობთ დაჯილდოების ფურცლიდან, რომელშიც აღწერილია მისი საბ-  
რძოლო გზა.

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე 12 საბრძოლო გაფრენის დროს მამაცობის  
გამოჩენისათვის ი. ჯინჭარაძე 1943 წლის 26 მაისს დაჯილდოებულია წითელი  
ვარსკვლავის ორდენით. ვორონეჟის ფრონტზე 30 საბრძოლო გაფრენაში წარმა-  
ტებებისათვის 1943 წლის 30 აგვისტოს დაჯილდოვდა სამამულო ომის პირველი  
ხარისხის ორდენით.

1943 წლის 6 მაისს ესკადრილიამ 12 თვითმფრინავის შემადგენლობით, რო-  
მელშიც ი. ჯინჭარაძეც შედიოდა, მიიღო საბრძოლო დავალება, დაეობზა მტრის  
აეროდრომი. დარტყმის შედეგად გაანადგურეს ფაშისტთა 30 თვითმფრინავი,  
ჩაახშეს საზენიტო არტილერიის 8 წერტი, გაჩნდა 12 ხანძრის კერა.

დიდი ვაჟაკობა გამოიჩინა ქართველმა მფრინავმა ბელენიხინოსთან მოწი-  
ნააღმდეგის 70 ტანკსა და ავტომანქანაზე იერიშის დროს. დარტყმის შედეგად  
განადგურდა 5 ტანკი, 10 ავტომანქანა, 80 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.  
საბრძოლო დავალების შესრულების დროს ი. ჯინჭარაძის თვითმფრინავზე იერი-  
ში მიიტანა გერმანელთა სამმა თვითმფრინავმა. ისრაფილმა იერიში წარმატებით



მოიგერია. ამ ბრძოლაში მან ჩამოაგდო მტრის ერთი თვითმფრინავი, დანარჩენი ორი ბრძოლიდან გაიქცა. მიუხედავად იმისა, რომ ისრაფილის თვითმფრინავმა მიიღო ძლიერი დაზიანება — მისი მართვის სისტემა თითქმის მთლიანად გაშლიდა მწყობრიდან, — ქართველმა მფრინავმა მამაცობა გამოიჩინა და თვითმფრინავი მშვიდობიანად დასვა აეროდრომზე.

1943 წლის 4 აგვისტოს 11 საბჭოთა თვითმფრინავმა, რომელშიც ი. ჯინჭარაძის საბრძოლო მანქანაც იყო, გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა მტრის აეროდრომს. შტურმის შედეგად განადგურდა მტრის 15 თვითმფრინავი, საბჭოთა შევარდნებს ამ ბრძოლაში არ დაუკარგავთ არცერთი თვითმფრინავი.

1943 წლის 5 აგვისტოს გერმანელი ფაშისტები განდევნეს ბელგოროდიდან. ამავე საღამოს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სალუტით პირველად მიესალმა ორიოლისა და ბელგოროდის განმათავისუფლებლებს. ამ გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანა ი. ჯინჭარაძემაც.

განსაკუთრებით დიდ წარმატებას მიაღწიეს ისრაფილმა და მისმა თანამებრძოლებმა 1943 წლის 12 აგვისტოს. ათმა საბჭოთა თვითმფრინავმა იერიში მიიტანა მტრის საარტილერიო პოზიციებზე და ტანკებზე, რომლებიც განლაგებული იყო ტყეში დასახლებულ პუნქტ ღერგაჩის სამხრეთით, მძლავრი დარტყმის შედეგად განადგურდა და დაზიანდა 5 ტანკი, 3 საარტილერიო ბატარეა.

ამ დავალების წარმატებით შესრულებისათვის 53-ე არმიის სარდალმა ი. ჯინჭარაძეს პირადად გამოუცხადა მადლობა.

ასევე წარმატებით დამთავრდა შტურმი მტრის განლაგებაზე სადგურ ლიუბოტონის ჩრდილოეთით. დარტყმის შედეგად მტრის საბრძოლო განლაგება აირია, რამაც საშუალება მისცა ჩვენს ქვეით ნაწილებს დაეკავებინათ მტრის გამაგრებული პოზიციები. ამ ჯგუფის ყველა მფრინავმა დაიმსახურა მეხუთე საპაელო არმიის სარდლის მადლობა, მათ შორის ი. ჯინჭარაძემაც.

კურსკის რკალზე ცხარე ბრძოლის დროს 1943 წლის აგვისტოში, წარმატებას წარმატებაზე აღწევდა ი. ჯინჭარაძე. ამ პერიოდში მოხდა ძირეული გარდატეხა სამამულო ომის მთელს მსვლელობაში.

1943 წლის 27 სექტემბერს მოწინააღმდეგემ თავი მოუყარა დიდძალ არტილერიას, ტანკებს და შეაჩერა ჩვენი სახმელეთო შენაერთების წინსვლა. ფრონტის სარდალმა თვითმფრინავების ჯგუფს უბრძანა შეეცვალებათ კურსი და იერიში მიეტანათ მზვერავების მიერ ახლადაღმოჩენილ დაჯგუფებაზე. შტურმი ბრწყინვალედ დამთავრდა. გამანადგურებელი დარტყმის შედეგად მტრის საცეცხლე წინააღმდეგობა ჩაახშეს და ჩვენს სახმელეთო შენაერთებს საშუალება მიეცათ წარმატებით გაეგრძელებინათ შეტევა. ყველა მფრინავს გამოეცხადა ფრონტის სარდლის მადლობა.

სულ სამამულო ომის ფრონტებზე ი. ჯინჭარაძემ ილ-2 თვითმფრინავით მოახდინა 92 საბრძოლო გაფრენა. პირადად მან მოსპო და დააზიანა 82 ავტომანქანა, 27 ტანკი და 7 თვითმფრინავი, ჩაახშო საზენიტო არტილერიის 10, საცეცხლე და სხვა არტილერიის 5 წერტი. მოკლა, დაჭრა და გაფანტა მტრის 880-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

„92 წარმატებითი საბრძოლო გაფრენისათვის, ბრძოლის დროს გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის ამხ. ი. ქ. ჯინჭარაძე ღირსია მთავრობის უმაღლესი ჯილდოს — „საბჭოთა კავშირის გმირის“ წოდებისა“. — კვითხულობით დაჯილდოების ფურცელში.

დაჯილდოების ფურცელს ხელს აწერს 673-ე მოიერიშე საავიაციო პოლკის მეთაური, მაიორი მატიკოვი.



საბოლოო დასკვნას ისრაფილ ჯინჭარაძისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ ამტკიცებს ფრონტის სამხედრო საბჭო, ხელს აწერს არმიის გენერალი, შემდგომში საბჭოთა კავშირის მარშალი კონევი.

ამ პერიოდში მოხდა ძირეული გარდატეხა დიდი სამამულო ომის მსვლელობაში.

მძიმე პირობებში უხდებოდათ საბჭოთა მფრინავებს ფაშისტთა გააფთრებული წინააღმდეგობის გადალახვა. ისინი საბრძოლო დავალებებს ასრულებდნენ მოწინააღმდეგის საზენიტო არტილერიისა და გამანადგურებელი ავიაციის ძლიერი წინააღმდეგობის პირობებში.

ასეთ რთულ პირობებში ისრაფილ ჯინჭარაძემ მოახდინა 92 საბრძოლო გაფრენა...

როგორც უკვე ვთქვით, საბრძოლო დავალების წარმატებით შესრულებისათვის, გმირობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სარდლობამ 1943 წლის 10 ოქტომბერს იგი წარადგინა საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მისანიჭებლად. იმავე წლის 15 ოქტომბერს საბრძოლო დავალების შესრულების დროს უკრაინის ცაში დაიფრფულა მამაცი ქართველი შევარდნის ისრაფილ ჯინჭარაძის სიცოცხლე. იმ დღიდან მისი სახელი ლეგენდად იქცა.

1944 წლის 4 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ისრაფილ ქემალის ძე ჯინჭარაძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭა.

ამავე წლის 11 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ი. კალინინმა ისრაფილის დედას წერილი გაუგზავნა. „პატივცემულ ფატი მემედის ასულო, — წერდა იგი, — სამხედრო სარდლობის ცნობით, თქვენი ვაჟი, უმცროსი ლეიტენანტი ისრაფილ ქემალის ძე ჯინჭარაძე საბჭოთა სამშობლოსათვის ბრძოლაში დაეცა მამაცთა სიკვდილით.

იმ საგმირო საქმეებისათვის, რომელიც თქვენმა ვაჟმა ისრაფილ ქემალის ძე ჯინჭარაძემ ჩაიდინა გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1944 წლის 4 თებერვალს მას მიანიჭა წარჩინების უმაღლესი ხარისხი — „საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

გოგზავნი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელს თქვენი ვაჟისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ, რათა შეინახოთ იგი, როგორც მოგონება თქვენი გმირი შვილისა, რომლის ღვაწლს არასოდეს დაივიწყებს ჩვენი ხალხი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი.

1944 წლის 11 თებერვალი“.

ისრაფილის გმირობის ამბავი მთელ საბჭოეთს მოედო.

გმირის სახელის უკვდავსაყოფად აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 მაისის ბრძანებულებაში ვკითხულობთ: „...დაკმაყოფილდეს მშრომელთა დეპუტატების ბათუმის საქალაქო საბჭოსა და მშრომელთა დეპუტატების ბათუმის რაისაბჭოს აღმასკომების შუამდგომლობა და საბჭოთა კავშირის გმირის ამხანაგ ისრაფილ ქემალის ძე ჯინჭარაძის სახელის უკვდავსაყოფად ქალაქ ბათუმის ქუჩას და მაზინჯაურის საშუალო სკოლას ეწოდოს ისრაფილ ქემალის ძე ჯინჭარაძის სახელი“.

დიდება გალაკტიონმა 1944 წელს ი. ჯინჭარაძის გმირობას მიუძღვნა ლექსი „აჭარელი მფრინავი“, ასევე ლექსი მიუძღვნა მამაც შევარდნის მამინ ჭაბუკმა პოეტმა ფრიდონ ხალვაშმა. შემდეგ ეს ლექსი სიმღერად იქცა.

რამდენიმე სეზონის განმავლობაში ბათუმის სახელმწიფო თეატრში წარმატებით იდგმებოდა დრამატურგ ამირან შერვაშიძის პიესა „სიმღერა შევარდენზე“.



აჭარის სახელმწიფო მუზეუმში, რომელიც ჯინჭარაძის ქუჩაზე მდებარეობს, ვრცელი ღარბაზი უკავია განყოფილებას „აჭარა დიდ სამამულო ომში“ საქმიანობის ექსპოზიციის წარმოდგენილია ი. ჯინჭარაძის გმირობის ამსახველი დოკუმენტები. აქვეა მოქანდაკე მამულ ბოლქვაძის მიერ შესრულებული ი. ჯინჭარაძის ბიუსტი. ი. ჯინჭარაძის ბიუსტი დადგმულია მახინჯაურის საშუალო სკოლის ეზოში, ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა პარკში. 1979 წლის 9 მაისს ი. ჯინჭარაძის ბიუსტი დაიდგა მახინჯაურის ზღვისპირა პარკში. ეს ადგილი მახინჯაურელი მოსწავლეებისა და ახალგაზრდების საყვარელ ადგილად იქცა. აქედან ულოცავენ მახინჯაურელები გზას საბჭოთა არმიის რიგებში მიმავალ ახალგაზრდებს, აქ ტარდება შეკრებები, პიონერთა, ოქტომბრელთა რიგებში მიღება.

ი. ჯინჭარაძის ხსოვნას სათუთად ინახავს მისი მშობლიური სოფელი, სახლი, სადაც იზრდებოდა გმირი, გულდობა ზღვება ისრაფილის სტუმრებს... კედლიდან შემოგვყურებს ისრაფილის პორტრეტები. სათუთად ინახავენ სამახსოვრო საჩუქრებს, რომლებიც გადასცეს ისრაფილის დედას — ფატიის მახინჯაურის საშუალო სკოლის, ქ. ბათუმის № 2 სკოლა-ინტერნატის, № 9, ურეხის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა.

...ფრთხილად დებს ყვავილს გმირის ბიუსტის კვარცხლბეკზე ჯამბულ ჯინჭარაძე, იგი მოწიწებით შეჰყურებს თავისი ნათესავის ბრინჯაოში გაცოცხლებულ სახეს. ვინ იქნებოდა მასთან ერთად მოსული პატარები, ცხოვრების რა გზებს აირჩიევენ ისინი, ამის თქმა ძნელია, მაგრამ რომ ისინი გაიზრდებიან პატიოსან, სამშობლოსათვის თავდადებულ ადამიანებად, ეს ცხადია. მათ სახელოვანი საქმეებისაკენ მოუწოდებს მამა-პაპათა უკვდავი სახელები.

...ოცდამეხუთმეტე წელია გადაიქნა დიდი სამამულო ომის გრივალმა, მაგრამ წითელი კვალისმადიებლების მიერ შინმოუსვლელთა ცნობების შეგროვება, მათი ოჯახებისადმი დახმარება ჯერაც არ წყდება.

მახინჯაურის საშუალო სკოლის წითელმა კვალისმადიებლებმა კარგი საქმე გააკეთეს. გამარჯვების 30-ე წლისთავზე სკოლაში გაიხსნა საბრძოლო დიდების გალერეა. გალერეაში ცალკე ექსპოზიცია ისრაფელ ჯინჭარაძის გმირობას ასახავს.

სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს, მოსწავლეებს, სოფლის მშრომელებს არ ასვენებდათ ის გარემოება, რომ არ იყო დადგენილი ისრაფილის დაღუპვის ადგილი, არ იცოდნენ გმირის საფლავი. იყო მიება, იმედი, თითქოს წარმატების ნაპერწკალიც, მაგრამ მთავარი მაინც მიუწვდომელი რჩებოდა.

ი. ჯინჭარაძის საფლავი აღმოჩნდა 1979 წლის სექტემბერში. ამ აღმოჩენას არა აქვს დიდი ხნის ისტორია. 1978 წლის 20 აგვისტოს გაზეთმა „დნეპროვსკაია პრავდა“ დაბეჭდა თადარიგის გენერლის მ. ტოკარენკოს წერილი „აღმოსავლეთის გალავანი“, რომელშიც აღწერილია ისრაფელ ჯინჭარაძესთან შეხვედრები, ისრაფილის უკანასკნელი გაფრენა. როდესაც ჩვენთვის ცნობილი გახდა ამ წერილის შინაარსი, დავუკავშირდით საბჭოთა კავშირის გმირს, ისრაფილის თანაკურსელსა და თანამებრძოლს ავიაციის თადარიგის გენერალს, მიხეილ კუზმას მე ტოკარენკოს.

მ. ტოკარენკო გულითადი ადამიანი აღმოჩნდა — ჩვენს წერილებზე, ღებუებზე გოველთვის გულწრფელად, საინტერესოდ გვიპასუხებდა.

მ. ტოკარენკოს მიწვევით მე დნეპროპეტროვსკში გავემგზავრე.

დნეპროპეტროვსკის ოლქში აღმოჩნდა გმირის საფლავი. მისი მისამართია: პერზნენდნეპროვსკის რაიონი, სოფელი პრავობერეჟნოე, მძათა სასაფლაო, № 25.

1979 წლის ნოემბერში მ. ტოკარენკო თავის მეუღლესთან ოლდა დენისის ასულთან ერთად მახინჯაურს ეწვია. მას გულითადი შეხვედრა მოუწყეს ი. ჯინჭა-



რამის სახელობის მახინჯაურის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა, მახინჯაურელმა მშრომელებმა, ისრაფილის ნათესაებმა და ახლობლებმა. ამადლელებმა შეხვედრა მამუდ ჯინჭარაძის ოჯახში, სადაც დაიბადა ისრაფილი. აქ, ამ სახლში, გეპატიჟებოდათ ისრაფილი, — უთხრა ძვირფას სტუმარს ისრაფილის ბიძაშვილმა დაუთ ჯინჭარაძემ, — მაშინ აქ თვითონ ისრაფილი გაგიწევდათ მასპინძლობას...

— ისრაფილს მე მივაჩნდი უმცროს დად... რადგანაც თქვენ ისრაფილს ძმობას უწევდით, მეც ძმასავით გთვლით, — იყო ნაზი ბოლქვაძის მისასალმებელი სიტყვები ძვირფასი სტუმრისადმი.

ბ. ტოკარენკომ მოინახულა ისრაფილის დედის — ფატიის საფლავი, ყვავილებით შეაძკო იგი, დიდხანს მდუმარედ იდგა თავისი სიყრმის მეგობრის საწოლთან, მოგონება მოგონებას მისდევდა და ყველა მათგანი უკრაინაში მთავრდებოდა, სადაც 1943 წლის 15 ოქტომბერს მის თვალწინ დაიღუპა ისრაფილი.

ბ. ტოკარენკო ბევრს აკეთებს თავისი მეგობრის ხსოვნის უკვდავსაყოფად. განზრახულია ვერხნედნუროვსკის რაიონის ერთ-ერთ საშუალო სკოლას ი. ჯინჭარაძის გმირობის აღსანიშნავად, საბჭოთა ხალხების მეგობრობის ნიშნად მიენიჭოს გმირის სახელი და გერმანელ ფაშისტებზე გამარჯვების 35 წლისთავის ზეიმზე ამ სკოლის ეზოში დაიდგას გმირი-ქართველი შევარდნის ძეგლი.

— ადამიანზე დიდხანს ქვა ცოცხლობს, მაგრამ სწორედ ადამიანი, მართლადამიანი უკვდავყოფს ყოველივეს, რასაც მისი გმირობა შეეხება... აქ მოიტანენ ყვავილებს და მოიყვანენ ბავშვებს, აქ, წარსულზე ფიქრსა და მომავალზე ოცნების დროს, ადამიანები მოიგონებენ იმათ, ვინც დაიღუპა სიცოცხლის მარადიული ცეცხლის დასაცავად. — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სტალინგრადთან სამამულო ომში საბჭოთა ხალხის უკვდავი გმირობის ამსახველი ძეგლი-ანსამბლის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგზე...

27 წლის ჭაბუკმა ისრაფილ ჯინჭარაძემ უკვდავო ადამიანისათვის ყველაზე ძვირფასი — სიცოცხლე.

აქ შეიძლება დაგვემთავრებია ჩვენი წერილი, მაგრამ სათქმელი კიდევ ბევრია. ცნობილია, რომ ისრაფილმა თავისი 92-ე გაფურენა მოახდინა 1943 წლის 27 სექტემბერს, გმირი დაიღუპა იმავე წლის 15 ოქტომბერს. ჩვენთვის უცნობაა გმირის საბრძოლო გზა 18 დღის განმავლობაში. ეს დრო მშვიდობიან პერიოდში ძალზე მცირეა, მაგრამ იმ ქარცეცხლიან დროს, როცა წუთები გადამწყვეტ როლს ასრულებდა ადამიანის ცხოვრებაში, ამ 18 დღის უფურადღებოდ დატოვება არ შეიძლება. მით უმეტეს, რომ ამ დროს დამაბული ბრძოლები მიმდინარეობდა ფაშისტ სეპეებსა და საბჭოთა შევარდნებს შორის ჰაერში ბატონობისათვის, და ეჭვი არ არის, იმათ შორის, ვინც მუსრს ავლებდა ფაშისტებს, იქნებოდა ისრაფილ ჯინჭარაძეც. ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ დაჯილდოების ფურცლის მიხედვით ისრაფილს არ ჰქონია მიღებული ჭრილობები ან კონტუზია. საჭიროა, ი. ჯინჭარაძის ცხოვრებისა და ბრძოლის გზის უფრო დაწვრილებით შესწავლა, განსაკუთრებით მისი უკანასკნელი დღეებისა.

**სერგო ჯაყელი,**

**ი. ჯინჭარაძის სახელობის მახინჯაურის საშუალო სკოლის დირექტორი.**





## ერთი ლექსის ბიოგრაფია

ყოველ მხატვრულ ნაწარმოებს, თვით პატარა ლექსსაც კი, აქვს თავისი ბიოგრაფია.

მაგონდება ჩემი ერთ-ერთი პირველი ლექსის — „გმირ ისრაფელ ჯინჭარაძეს“ დაბადების მიზეზი და გარემოებანი.

ეს ლექსი, შეიძლება, რაიმე განსაკუთრებული მხატვრული ღირსებებით არ გამოირჩეოდეს, მაგრამ გამოქვეყნებისთანავე რომ სიმღერად იქცა, ამან მისი მომავალი სიცოცხლეც ერთგვარად განსაზღვრა.

სამამულო ომი ბოლოკრობდა.

1944 წლის გაზაფხულზე, მგონი თებერვლის ერთ წვიმიან დღეს, ჩემი მშობლიური მთის სოფლიდან ბათუმში ჩამოვედი და უბის ჯიბეში ჩაკეცილი ლექსებით გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქციას მივადექი. გულისფანტქალით ავიარე კიბე და რედაქტორის კართან შევეჩერდი.

ამ დროს კარიც გაიღო და თავს დამადგა სათვლიანი, მოლიმარი კაცი.

— ჩემთან ხარ? შემოდი, ბიჭო, — უკანვე შებრუნდა და კაბინეტში შემეფანა. — შენ მგონი ხალვაში ხარ, ა?

— კი, ბატონო. — ვუთხარი მორიღებით და ვიცანი, — ჩემს წინ

რედაქტორი ანტონ კელენჯერიძე იყო.

იგი მამობრივად მომეალერსა, თავზე ხელი გადამისვა, გვერდით მომიჯინა და საუბარი გამიბა.

— ვიცი, ლექსები მომიტანე, ალბათ, მაგრამ ახლა მე ერთი ახალი ამბავი უნდა გახარო. წუხელ ფრონტიდან შეგვატყობინეს, მაზინჯაურელი ბიჭი, მფრინავი ისრაფელ ჯინჭარაძე საბჭოთა კავშირის გმირი გახდა.

იქნებ დაგვიწერო ლექსი ისრაფელ ჯინჭარაძეზე?

შემდეგ ბატონ ანტონს უცებ სახეზე დიმილი ჩაუქრა, წამოდგა, თავის ვეება მაგიდასთან მივიდა, იქიდან, ეტყობოდა, უკანასკნელ წუთს მიღებული დეპეშა აიღო და ნაღვლიანად ჩაიკითხა. ეს მიხეილ კალინინის პირადი ბარათის ტექსტი იყო ისრაფელის დედისადმი გამოგზავნილი, რომლითაც იგი სამძიმარს უცხადებდა დაღუპული გმირის მშობელს.

სიხარულითა და მწუხარებით დამძიმებული გული თითქოს უკვე მკარნახობდა ლექსს. წასვლელად წამოვდექი.

— მოიცა, ბიჭო, შენ, ალბათ, საწერი ქაღალდი არ გექნება.

გამოაღო უჯრა და მთელა კონა გაზეთის ჩამონატყერი ქაღალდი-



სა გადმომცა. მაშინ, ომის დღე-  
ებში, გაზეთი მუქ, სქელ ქაღალ-  
დზე იბეჭდებოდა. მე არც ფანქა-  
რი მქონდა, არც იშოვებოდა არ-  
სად, მაგრამ ეს ველარ გაუშხილე  
რედაქტორს და, რაღაცნაირი შა-  
ნაგანი მაღალი რწმენით შთაგონე-  
ბული (რედაქტორმა ლექსი შემა-  
კვეთა!) გარეთ გამოვედი.

შუქგამორთული სასტუმროს  
ექვსადგილიან ნომერში მეკავა  
ერთი საწოლი. დღისით შინ არა-  
ვინ იყო, შემეძლო წყნარად, მარ-  
ტო, ჩავჯდომოდი ლექსს. მაგრამ,  
გამახსენდა, არ მქონდა ფანქარი.  
ჩავედი ადმინისტრატორთან, მას  
ნათქვამა ედგა და ფეხებს ითხო-  
ბდა. გაჯავრებით ამომხედა და  
თავი გააქნია უარის ნიშნად. მაგ-  
რამ, მგონი, მაინც შევეცოდე, და-  
მიძახა, შემაჩერა და ერთი ჯგუ-  
ტი, წვერწატეხილი, მსხვილი,  
წითელი ფანქარი მესროლა. ჩა-  
რჩენილი წვერი შიგ მოძრაობდა,  
ამიტომ, ერთ მხარეს ცერი დავა-  
დგი და დიდრონი, უსწორმასწო-  
რო, ბრტყელი ანბნებით პირველი  
სტრიქონი გამოვიყვანე.

რა გრიგალები გააბე...

ლექსის დასასრულს, გმირის  
დაღუპვით გამოწვეული სევდის  
გამხელა ვცადე.

გიგონებს მაზინჯაური...

დედა ნატრული ცრემლებით  
შენს ნაწერ ბარათს  
დაჰხარის.

ერთ-ორ საათში, როცა რედაქ-  
ტორის შეკვეთა შესრულებულია  
ჩავთვალე, რედაქციისაკენ გავე-  
შურე. მაგრამ ასეთი ხელნაწერის  
ვინმესთვის ჩვენება მეუხერხულა  
და ფოსტაში შევიაარე. იქ, დეპე-  
შების მაგიდაზე, მელან-კალამი  
მეგულებოდა. მაგიდის მაგიერ  
იღგა მომადლო, მრგვალი ყუთი,  
რომელსაც ზედაპირი ყოველ  
მხარეს დამრეცი ჰქონდა. ცენტრ-  
ში ამობრუნებული ელექტრო-  
ნიზოლატორი იღგა მავთულით  
დაბმული, შიგ მელანი შევნიშნე.  
იქვე იდო თითის სიგრძე ჩხირი,  
წვერზე ძაფით კალამდამაკრებუ-  
ლი.

დგამი, რაზედაც წერდნენ, მაღა-  
ლი და დახრილი იყო, როგორც  
კი კალამს ქაღალდზე დავადებდი,  
წყალა მელანი უმაღვე უკან მო-  
ჟონავდა.

იქით, ფანჯრის ფართო რაფა-  
სთან მივდექი. როგორც იქნა, ლე-  
ქსი გადავწერე და იმავე დღეს  
რედაქტორთან შევიტანე.

ბატონმა ანტონმა გაიოცა, ასე  
მაღე როგორ დაწერდიო. მაგრამ  
რომ ჩაიკითხა, თბილი, მხოლოდ  
მისებური, უსაზღვროდ ლამაზი  
ღიმილით გამოხატა კმაყოფილე-  
ბა.

მეორე დღეს ლექსი გაზეთში  
იყო.

რამდენიმე დღეში კი მღეროდ-  
ნენ.





## შალვა იოსელიანი

ხანმოკლე იყო პოეტ შალვა იოსელიანის სიცოცხლე. იგი ოცდარვა წლი-  
ხაც კი არ იყო, ბრძოლაში რომ დაეცა. დიდი სამამულო ომის მძვინვარე უამს  
გაიწვიეს ჯარში; ნიჭიერი და განათლებული ახალგაზრდა განამწესეს ერთ-ერთი  
ნაწილის კომისრად... ბოლოს იბრძოდა ქერჩში... და იმ ცხარე ბრძოლებში და-  
იღუპა 1942 წლის მაისში. მისი საფლავი დღესაც არ არის აღმოჩენილი... თბი-  
ლისში, საქართველოს მწერალთა სასახლის სკვერში მარმარილოს დაფაზე აღბე-  
ჭდილია ფრონტზე დაღუპული მწერლების სახელები, მათ შორისაა შალვა იოსე-  
ლიანიც. დაღუპული პოეტის სურათი გამოფენილია თბილისის მეგობრობის  
მუზეუმში.

იმოდგაწა ერთ ათეულ წელს. მოასწრო სამი კრებულის გამოცემა, ესენია:  
„სიმღერები“, „ლექსები“ და „დაბრუნება“. პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1934  
წელს. მისი ლექსები გამოირჩევა ლირიულობით, მაჟორული უღერადობით...  
ვაჟკაციური ხმის პოეტია და მისი სტრიქონები ძალუმად გვაგვრძნობინებს შინაგან  
ძალას. შალვა იოსელიანი იყო შესანიშნავი დეკლამატორი. ახლა რამხელა რეზო-  
ნანსი ექნებოდა მის პოეტურ ხმას!

კურთხეულ იყოს მეომარი პოეტის სახელი!

## ჩემო მიწავ!

მამულის ტრფობით ამევსო გული  
და თითქოს სუნთქვა გრიგალად იქცა,  
შენი დიდებით ვარ ანთებული,  
შენ შემოგვევლე მშობელო მიწავ.  
ბავშვობის დღიდან კვალდაკვალ მდევედა  
გმირობის ცეცხლი ჩაუქრობელი,  
ჩემს ვაჟკაცობას მოესწრო დედა,  
მამულისათვის მზრდიდა მშობელი.  
და მეც მოვდივარ, მტერო ტიალო,  
მოვდივარ რისხვით, ვით ქარიშხალი,  
რომ შენს გულღვიძლში დავატრიალო  
სააკადის და ერეკლეს ხმალი.



ომი... ფრონტი... სანგარი... ქვემესთა გუგუნი... ადვილად სათქმელია, მაგრამ აბა ერთი იმას ვკითხოთ, ვინც იწვინა ყოველივე ეს. რა წამება და რა წვალებება ყოველი დღე!

ღიას, მეც ვიჭექი სანგარში, ჩემი ქვემეხიც გუგუნებდა.. მახსოვს, ჩვენი და მოწინააღმდეგის საარტილერიო ღუელი... აგერ, ახლოს, ჭურვები სკდება... ვინ დაიჭრა, ვინ მოკვდა, ვინ გადარჩა? თითქოს აღარც ფიქრობ სიკვდილზე, იგი თითქოს აღარ არსებობს შენთვის... ამ გოლგოთაში, ამ წარღვანაში განა კაცს პოეზია უნდა ახსოვდეს?! მაგრამ არა, მახსოვდა იგი, ვეთაყვანებოდი მას. ჩანთაში მედო რევულები, საწერ-კალამი და შესვენებისას სანგრებში ვწერდი ლექსებს. ვწერდი და თან ვიგონებდი ძმებს, ჩემსავით ომის გზას რომ გაუდგნენ. ოთხნი წავედიო, ხოლო მე ერთი დავუბრუნდი ოჯახს. დღესაც ჩვენს სახლში ქალთა მგლოვიარე ხმები ისმის.. ომმა სამუდამო ჭრილობა დააჩინა სულს... და რაც სამუდამოდ დააჩნდების სულს, იგი მარად მწუხარე ზარს რეკავს.. და გტკივა, გტკივა უსაშველოდ ეს ჭრილობა.. ხუთი წელი დავყავი ჭარში... და როცა ოჯახს დავუბრუნდი, ჩემი პირველი წიგნიც — „მებრძოლის სიმღერები“ მაშინ დაიბადა. მე მიყვარს ეს წიგნი, რადგან მთელი ჩემი მეომრული გრძნობები მას წარვატანე. მან მკითხველთა სიყვარულიც მომიტანა...

მახსოვს, ფრონტზე მივიღე ორი ადამიანის წერილი — ერთი ეკუთვნოდა ჩვენს საყვარელ მწერალს პარმენ ლორიას, ხოლო მეორე ჩემს ბიძაშვილს, ცხრა წლის გოგონას სურგი ვარშანიძეს, რომელსაც ერთ-ერთ ლექსს მთელი სიყვარულით ვუძღვნი.

## ბარათი მებრძოვს

პარმენ ლორიას

ჰქუხდა ყოველი...

მე მღუპარედ ვიჯექი სანგარში,  
ვერ გაყვრები სევდიან ფიქრს, რაგინდ იძალო.  
შენი წერილი მომახარეს...

ორთოლვით გავშალე,  
რომ მომიგონე, რომ გახსოვარ,  
მადლობა ძმაო.

რად შემძიულეს, რად არ მწერენ, რა დავაძავე,  
გული მიტირის — ნუთუ ყველამ გადამივიწყა?!



შენ კი მაღლობა,  
გასაფრენად ფრთები გავშალე,  
გაიოხულობ წერილს...

და ვიგონებ მშობლიურ მიწას.  
ვიგონებ ბათუმს, და ვიგონებ მამულ-დედულეთს,  
და ვხედავ გემებს,—უპირებენ რისხვას მტერს შეშლილს.  
კახაბრის ველის ქარიშხალი ჩემში გუგუნებს  
მშობლიური ცის ვარსკვლავები კამკაშებს ჩემში.  
მაფრთხილებ: — ბიჭო, დაიცავი დროშა მამულის,  
არ იღაწოო, ასე ამბობ, რომ ვთქვათ მარტივად.  
მტერს თუ გავექცე, ძმის მახვილმა გამიპოს გული,  
მეგობრობაშიც არავისთვის მიღალატია,  
როგორ იქნება ვულაღათო მამულს, ჩემს მამულს.  
რაც მახარებს და რაც მადარდებს, მოგწერო მინდა,  
დავჯექი ახლა და შენთვის ვწერ უბრალო ბარათს.  
ეჰ, კაპიტანი რომ მიცქერდა აქამდე მშვიდად,  
ბრძანა: სერჟანტო, ჩქარა ცეცხლი,

სიჩუმე კმარა!  
უბეში ვიდებ ქაღალდებს და შენს ლამაზ წერილს,  
წუთი რაა და უცებ ქვემეხს დავაგრილებოთ,  
ასე ჩათვალე — გადამიტყდა დღეს კალმის წვერი,  
და მე ბარათის გამოგზავნას დავაგვიანებ.  
ჩემთვის ბარათი გიწერია ჰალალი გულით,  
თითქოს ბჭკარებში ჩვენი ბუხრის ცეცხლი ანთია.  
გჯეროდეს, სულ წინ გავაქროლებოთ დროშას მამულის,  
მეგობრისთვისაც არასოდეს მიღალატია,  
როგორ იქნება ვულაღათო მამულს, ჩემს მამულს.

1942, 10 აგვისტო.

ყაბარდო, მოქმედი არმია

## ს უ რ ი ე ს

შენ რომ პატარა გოგო იყავი,  
შენ რომ იყავი გოგო მაღხაზი,  
მაშინ ვიყავი მე ჯარისკაცი,  
ის ხატი შენი ჩემში ახლაც ზის,  
შენ რომ პატარა ქალი იყავი,  
თეთრი ბაფთებით თმას იმშვენებდი,  
მე ახალგაზრდა კაცი ვიყავი



და გულში სევდას არ ვიშენებდი.  
 მე მეოპარი როცა ვიყავი  
 ჯა ფრონტზე ქვემეხს ვაგუგუნებდი,  
 მამინ მივიღე შენი წერილი  
 აღსავსე თბილი ბავშვურ გუნებით.  
 მწერდი: — ვლოცულობ შენზე ყოველდღე,  
 ღმერთს ვეხვეწები შენს გადარჩენას;  
 მწერდი: გოცნიო გულით მხურვალით,  
 აგაცდინოსო ტყვია გამჩენმა.  
 მწერდი: ახ, როგორ მენატრებიო,  
 გულზე შენს გამო ცეცხლი მომენთო,  
 შენ, სანატრელო ჩვენთვის ყოველწამს,  
 შენ, საყვარელო ჩვენი პოეტი!  
 მწერდი: — სუფველა კოცნას გიგზავნის.  
 ენატრებიო ჩვენებს სუფველას...  
 რომ წავიკითხე შენი ბჭკარები,  
 შენს პოეტს დიდმა სევდამ უყელა.  
 ვინც არ მახსოვდა, შენ გამახსენე,  
 შენ გამახსენე, რაც არ მახსოვდა,  
 შენი ალალი ნაზი ჩურჩული  
 თითქოს მესმოდა იქვე ახლოდან.  
 ჩემი კერიის სუნი ვიგრძენი,  
 და ჩემი ბაღჩის სურნელი ამო,  
 თითქოს მეძახდა მე ანგელოზი:  
 — შენ აქ რა გინდა, იქ ჩემთან წამო! —  
 უცებ ქუხილმა მიწა შეჭზარა,  
 უცებ დათხარა მიწა ჭურვებმა,  
 შენი წერილი, ჩემო პატარავ,  
 უბეში მეღო სევდა-ურვებად.  
 შენი წერილი უბეში მეღო  
 სანუგეშებლად და ავგაროხად...  
 მე ხომ გადავრჩი, მე ხომ მოვედი,  
 თუმც გრიგალებმა მკაცრად გამროზგა.  
 მე მახსოვს შენი ნაზი ცრემლები,  
 მე მახსოვს შენი ყელზე მოხვევა.  
 დიახ, გადავრჩი, გული პოეტის  
 ვერ გამიხვრიტა ტყვიამ ოხერმა.  
 ჰოი, რამდენი ვინმე აღარ გვყავს,  
 ხან მეგობრებს და ხან ძმებს მივსტირი,  
 იქნებ არ მშვენიის ვაჟკაცს კურცხალი,



რა ვქნა, განა მაქვს გული ქვიტკირის.  
შენ მეფერები, რომ დამავიწყო  
მწარე სევდა და ამაოება.  
ო, ეს ფიქრები სად დავამიწო,  
ვერ ვიმორჩილებ სულს და გონებას...  
შენ იმ გოგონად თვალში მიზიხარ,  
რომ უმშვენიერადაა ნაზ თმებს ბაფთები,  
წერილს რომ მწერდი ფრონტზე მეომარს  
დიდი ტრფიალით და მონატრებით.  
მე შენ მაგონებ იმ ტანჯვის დღეებს,  
და გული ჩემი დარდით ჭრიჭინებს...  
ბარათს რომ მწერდი ლორთქო თითებით,  
იმ შენი ნაზი ხელის ჭირიძე.

1980. მაისი.

იაკოვ მელია

სამხედრო სამსახურში გამიწვიეს 1940 წელს. ვმსახურობდი ქ. ლუცკოში  
როგორც ჯარისკაცად. სამამულო ომმა მომიხწრო მდინარე ბუგთან, სასაზღვრო  
ზონაში.

ბრძოლებით გამოვიარე ლუბომირი, კოველი, უიტომირი.

1941 წლის 14 ივლისს ნოვოგოროდოვინსკში მივიღე მძიმე ჭრილობა მკე-  
რდის არეში... და 1942 წლის 4 ივლისს გამათავისუფლეს სამხედრო სამ-  
სახურიდან, დაჯილდოებული ვარ „საბრძოლო დამსახურების“ მედლით, მი-  
ღებული მაქვს სხვა ჯილდოებიც.

ოცდაათი წელიწადს ფილტვით ვატარებდი ჭურვის ნამსხვრევს, და  
შის გამო დიდი ტკივილი გადავიტანე. სამშობლოს სიყვარული ყველაფერს გა-  
ძლევენებს კაცს... იქნებ, ამიტომ არის, რომ ხშირად ვიგონებ ომის დღე-  
ებს, და სამშობლოსადმი დიდი სიყვარული დღესაც იღვრება ჩემს ფრონტულ  
ლექსებში.

იქ აკაცია რომ ღვას...

როცა ჩავდივარ სოფლად,  
როგორც მიმწუხრის ჩრდილი.  
თავს წამადგება ზეზვა:  
— სად არის ჩემი შვილი? —  
კაცის იღბალი მართლა  
ყოველმხრივია ჭრელი,  
მას სტალინგრადის კართან  
საფლავი გაუუჭერი.

იქ აკაცია რომ ღვას  
და თეთრ ყვავილებს ბარდნის,  
ბამცნობს: ცოდვაა, ცოდვა,  
არ გაუმხილო დარდი.  
მაგრამ იმგვარად მიმწერს  
და ისე მსაყვედურობს,  
თითქოს ხვდებოდეს მიზეზს,  
თვალეების საიდუმლოს.



ჰოსპიტალი, ქერა ქალი,  
დიმილი და წრფელი გული,  
ქერა ქალი, კელაპტარი,  
სასთუმალთან ანთებული.  
იქნებ, ვცდები, წუთით ჩადგა  
ამომტყდარი ქარიშხალი, —  
იქნებ, წუთით დაუბრუნდა  
თავის ქარქაშს ბასრი ხმალი.  
ვაგლახ, თურმე მკერდნატყვიარს  
მიმიჩინეს მე აქ ბინა,

აკვამლებულ სანგრებს შორის  
ღარჩა ჩემი კარაბინა.  
ო, მრავალი თეთრი ღამე  
თეთრ კედლებთან მიილია, —  
როგორც მწუხრის იდილია.  
ცრემლის,  
როგორც მწუხრის იდილია.  
ჰოსპიტალი, ქერა ქალი,  
დიმილი და წრფელი გული,  
ქერა ქალი, კელაპტარი,  
სასთუმალთან ანთებული.

## სადღაც გარმონი ტირის

მაშინ არ ეძებდი ჰაერს,  
არცა უჩიოდი სუნთქვას,  
გეტკბილებოდა მწარეც,  
წყენა არ მიგქონდა გულთან.  
მაშინ არ გყოფნიდა სივრცე,  
გქონდა სანაჲარლო ფრთები,  
მიზანს აღწევდი თუ არა,  
ცხოვრობდი ნეტარი ნებით.  
მაშინ არ იცოდი შიში,  
სიცოცხლეს სად ჰქონდა ზღვარი,  
ყოველმხრივ მოჩანდა გზები  
და არ გეცვლებოდა მხარი.  
მაშინ სიყვარული შენი  
სხვა იყო — ანკარა, წმინდა,

ამ მოვონებებით ტკბები,  
კვლავ სიჭაბუკე გინდა.  
მაგრამ რად შეჩერდი ნეტავ?  
ცწყველი ომების მომგონს,  
რა უცებ გათეთრდი, ბიჭო,  
და შეიცვალე როგორ.  
ჩქლავ, ვინ წაგართვა ფრთები,  
ნეტავ, ვინ წაგართვა ძალა,  
სახეზე გაჩნია ღიმი,  
სატკივარს მაინც ვერ მაღავ,  
ო, სადღაც გარმონი ტირის,  
ო, სადღაც გარმონი კვნესის. —  
არფის ხეებთან შორი  
ყრმობის ჩურჩული გესმის.

## ჩემალ ქათამაქი

დნებრთან ბრძოლაში ზამთრის სუსხიან საღამოს ჩემს ძმას მტრის ჭურვის  
ნამსხვრევებმა ფეხები გადაუმსხვრია, უინვაზე დავარდნილი მომაკვდავი ჯარის-  
კაცი მხოლოდ დილით იპოვეს, უმაღლე ჰოსპიტალში წაიყვანეს.. უინვისაგან გა-  
თოშილი ხელის თითებიც წააქრეს, ათი თვის მკურნალობის შემდეგ მოჭრილ  
წვევებზე პროთეზები მოარგეს და სახლში გამოისტუმრეს.



ოცდაათი წლის განმავლობაში იგი არ გამოჰკლებია სოფელსა და ოჯახს  
ჭირსა და ღვინში, სამშობლოს ერთგული ჯარისკაცი, შრომაშიც დარჩა პატიოსან  
ჯარისკაცად და ბოლომდე შესაშური სიყვარულით ეჭიდებოდა საქვეყნო საქმეს.  
ოცდათხუთმეტი წელი გავიდა დიდი სამამულო ომის დამთავრებიდან, თით-  
ქოს მოშუშდა მძიმე იარა, მაგრამ სახლში დღემდე ვინახავთ ჩემი ძმის რკინის  
პროტეზებს, როგორც ომის პროტესტის, როგორც იმ საშინელ დღეთა ცოცხალ  
სურათსა და გახსენებას.

## წითელი თოვლი

(ლირიკული პოემის ნაწყვეტი)

ღუმილს მოეცა ცისფერი სივრცე  
და დედამიწა — ტანკების რემას.  
შენ მაშინ იგრძენ,  
შენ მაშინ იგრძენ,  
ტკივილი სულის, სხეულის გვემა.  
და ყუმბარებით ამოთხრილ ქვესკნელს,  
მკერდს აფარებდა ხალხი რა ძალით,  
და მოიწევდა სიკვდილი ჩვენსკენ,  
სიკვდილი ჩვენსკენ, როგორც ხანძარი.  
და დასახვევი არ იყო უკან,  
მძიმე ჭურვები ხმელეთს ზარავდა.  
დაბატარავდა მამულის რუკა,  
მაგრამ გული არ დაბატარავდა.  
ჭურვების დარტყმამ დაშიგნა მიწა,  
გაიჭიხინეს ცეცხლში ცხენებმა.  
ვიღაც სანგრიდან წამოიწევა,  
მაგრამ სანგარზე მიესვენება.  
გაცივდა გული, ჭაბუკის გული  
და აღარ წივის ყურებთან ტყვია,  
და სიცოცხლეზე დანატრებული  
ვიღაცა კვდება ძალიან გვიან.  
ვიღაცა მკერდით შეასკდა ჯავშანს  
და შავი ტანკი მოიტეხს კისერს,  
ერთი ლამაზი სიცოცხლე დაშრა  
და ერთი დედა ატირდა ისევ.  
დაღლილი ღამე დანებდა სიკვდილს,  
ხევიდან ხევში გაფრინდა ყვავი...  
მძიმე ღუმილი ჩამოწვა ირგვლივ,



მთვარემ ღრუბლებში მოიკლა თავი.

— კაიშე წყალი!

— კაიშე ღელა!

დაჭრილი ითხოვს წყალსა და შველას.

მაგრამ სიცოცხლე ჩამქრალა ყველგან,

მისძინებია სიკვდილით ყველას.

შენ კი ბურანში მეგობრებს ეძებ,

სანგარში მტერს რომ ამოუნადმავს.

ეს ვინ შეჩერდა, ნეტავი, ბედზე,

ვინ დაგაწვინა თოვლზე გულადმა,

და ვინ შეგახო მაჯაზე ხელი,

ვინ ჩამოგბანა ჭრილობა მყისვე,

ვინ მოგანათა თვალები სველი,

ვინ დაგიბრუნა სიცოცხლე ისევ.

ვინ მოინდომა მომაკვდავ კაცის

იმ ყიამეთში გულდაგულ შველა,

ვინ დაგიბედა ღლეები მკაცრი

და ბეწვის ხიდზე ვინ მოგეშველა.

ვინ შეაცურა მორევში ნავი,

ცოცხალ-მკვდარს სული ჩაგიდგა ძალად.

ვინ დააფეთა სიკვდილი შავი

და შენი ტანჯვა დაიღო ვალად?

ვინ, ვინ აგინთო სიცოცხლით დილა,

ვინ გაგიყვანა ცეცხლიდან გზაზე.

ღელის თვალები რად მოწყენილა,

სად გაქრა ყრმობა და სილამაზე?

რად ჩაქრა ყველას სახეზე ღიმი,

რატომ ატირდა უცნობი ქალიც.

ნუთუ დამწყდარა იმედის სიმი,

ნუთუ დასრულდა სიცოცხლის კვალი?

არა, შენ კიდევ შეხედავ ზეცას,

მზესაც შეხედავ ოცნებით მთვრალი.

გაეკიდები გულთეთრა მერცხალს,

არ მოგიხდია ბოლომდე ვალი.

შენ, ჩემო ძმაო, ტანჯულო მართლაც,

საწყალო ბიჭო,

ჯმუზო და მკაცრო...

სამშობლოსათვის დამწვარი სანთლად,

უბელო კაცი,

უფეხო კაცი!



# სხვა კაცი მეზღუდოდა...



ქვენაქარი ისევ ქშუის და კვნესის ფართო ეზოში. მომცრო, წელ-  
გაუმაგრებული ჩქოლები წვეროებით მიწამდე იხრებიან, თითქოს შველას  
ითხოვენ.

არა, ეს მაისის ამინდი არაა!

სად არის მაისის ვარდი? მსხლისა და ვაშლის ნახევრად დამტვერი-  
ლი ყვავილები... ნორჩი ნასკვები? დაიგვიანა გაზაფხულმა.

ნამდვილი თებერვლის ამინდია.

კარს კი გამარჯვების დღე მოგვდგომია. ცხრა მაისი.

შეიძლება, ბუნება საცხრამაისოდ იხსენებდეს იმ ქარიშხლიან და  
სისხლიან დღეებს, 45 წლის მაისმა რომ შეაჯამა!

მძლავრად დაუბერა ქარმა. სროლა ისმის გარკვევით, მაგრამ კვნესა  
და წუხილი კი... მხოლოდ მოგონებაში.

მაგიდას ვუზივარ და მოგონებათა სტრიქონებს ვებრძვი.

მეორე ოთახში მეუღლე წევს. ჩანს, ძილი არც მას ეკარება. მესმის  
— ხშირად გვერდს ინაცვლებს.

დღეს სადამოს ჩაი არ აგვიდულებია, სულ შინმოუსვლელი შვილის  
ხსენებაში ვიყავით...

ახლა ქარმა მერამდენედ გაიმეორა თავისი მძლავრი იერიში. გაბ-  
მულ გუგუნში რაღაც ღრმა კვნესა გაისმა თითქოს...

და მე უაზროდ ავდექი.

სწორედ ასე გადიოდა ის დამე, 1941 წლის 19 ოქტომბრის დამე.  
პირველი საათი იყო. ამავე მაგიდას ვუჯექი. თითქოს გარკვეული ხმა  
შემომესმა: „მამავ, მიშველე!“ წამსვე წამოვვარდი, ფანჯარას ვეცი და  
უაზროდ გამოვადე. სივრცეს ჩავაცქერდი...

მოგიკვდეს მამა! სულ შენი ხმა იყო, ბიჭო!

მაგრამ ჩემამდე რა ქარი მოიტანდა?



აღბათ, იმ ღამეს დაიდუბა... წერილებიც მაშინ იმ დღეებში შეწყდა.

მე თვითონ პირველი მსოფლიო ომი გადამიტანია... დატრაც დატყვევ  
ვიღებოც... ამხანაგი მომეშველა და გამომიყვანა, სიცოცხლე მაჩუქა...  
მაგრამ ეს ომი საშინელებით სავსე იყო. და ჩემს ერთადერთ პიჭსაც  
მშველელი აღარ გამოუჩნდა? მოგიკვდეს მამა... რატომ შენთან არ ვიყა-  
ვი მაშინ!

...სანი დაიწყო, ვერ ვწვები. მეუღლის წრიალი კი შენელდა, მერე  
კიდევაც შეწყდა, აღბათ, ჩაემძინა... და ახლა სრული მარტოობა ვიგრძე-  
ნ: უკანასკნელი თანამგრძნობი დადუმდა.

მეშინია, არ გაგვიჟღე. ვდგები და ანგარიშშიუცემლად, მაგრამ ფეხ-  
აკრეფით ბოლთასა ვცემ...

ქარმა იმატა. სადღაც ჩოჩქოლია. ფანჯრიდან ეზოს გავცქერი. არა-  
ვინ ჩანს ამ სიბნელეში. უკვე აღარც ჩოჩქოლი ისმის.

— კაცო, შუაღამე იქნება აწი... ცივა კიდეც. — იძახის ცოლი.

— ხელს მიშლი... ცოტალა დამრჩა, — ვატყუებ მე და ისევ ბნელ  
ეზოს შევაცქერდები.

ფეხის ხმა მომესმა ოთახიდან, ქურდივით მოვწყდი ფანჯარას და  
მაგიდას მივუჯექი. სწორედ ამ დროს შემოვიდა ცოლი, საბანძოზურული  
და აძაგძაგებული. ერთხანს უაზროდ ათვალიერა ჩემი საწოლი და მაგი-  
და, მერე ნელა მომიახლოვდა:

— არა, რას იზამ, რომ ჩვენმა ბიჭმა უცებ კარი შემოაღოს? — თით-  
ქოს ფიქრებს აგრძელებს ცოლი. — ეგებ ლანჩხუთში უკვე ჩამოსულია  
და გათენებას უცდის, რომ ზვალ მოულოდნელად მოვიდეს და დღესას-  
წაული მოგვიღოცოს. ჰა? — გულუბრყვილოდ ამთავრებს იგი.

— რა სისულელეა! — ვეუბნები, — ლანჩხუთამდე მოაღწია და გა-  
თენებას უცდის? ის კი არა და, მანქანას თუ ვერ იშოვიდა, სირბილით  
წამოვიდოდა!

— ჰო, ჰო, — უიმედოდ დამეთანხმა, ერთი ღრმად ამოიოხრა და გაბ-  
რუნდა.

მე კვლავ ფანჯარასთან მივედი და ჭიშკარს მივაჩერდი.

ალიონმა მოატანა. მამალმა ყივილს მოუხშირა. მერე ქარი ანაზღად  
შეწყდა.

მე ერთხელ კიდეც თვალი მოვაველე ეზოსა და ჭიშკარს, გაწბილებუ-  
ლი მოვბრუნდი და გაუხდელად მივწექი.

ახლა ფიქრებმა თითქოს დრო მიშოვნეს, გროვად მომესივნენ.

...გათენებულა. მზით სავსეა ეზო. მეძინა? არა მგონია. მაგრამ რა-  
ტომ არ ვიცი, როდის მოვიდა სინათლე? ამდენი სინათლე!

ავდექი. პირზე ცივი წყალი შევისხი.

ცოლი სამზარეულოში ფუსფუსებს.



ჭადარა მეზობელი ბესარიონი მორცხვად ზის დაბალ სკამზე სამზარეულოს კარიან. მორცხვად კი არა, ენაჩავარდნილი, რომ მისი ვაჟი დაბრუნდა და ჩვენი — არა.

ცოლის ხმა კარგად მესმის, რადგან სტუმარი სმენაზე ცოტა მწყვრალადაა და ცოლი იძულებულია გარკვევით და ხმამაღლა ილაპარაკოს.

...ცოდვაა კაცი. მოხუცდა. სმენამაც უკლო, ღონეც წაერთვა, ჰოდა, თუ რამე გაიგო...

შენ უფრო გეტყვიან, მე შემატყობინე, მას არ უთხრა, არც მე ვეტყვი. ცოცხალი ეგონოს და ელოდოს. ასე უფრო ადვილი გადასატანია, სიკვდილი დაწყევლოს ღმერთმა! ლოდინი სჯობია“.

ვატყობ, ორივეს ცრემლი ახრჩობს.

სწრაფად გამოვბრუნდი, და ისევ მივწექი. ხუთიოდე წუთის შემდეგ ცოლი მეძახის:

— კაცო, კიდევ გძინავს?

— აღარ ძძინავს. რა იყო?

— ჩამოდა, სტუმარია, საუზმეც მზადაა.

— მოვდივარ, — დავუძახე მე, წამოვდექი და კიბეს ნელა ჩაუყუევია სამზარეულოსაკენ.

ბესარიონი ისევ იმ ადგილას იჯდა იმავე დაბალ სკამზე, ჩემს მიახლოებაზე წამოდგა:

— შეგაწუხეთ ასე ადრე... დილამშვიდობისა, ბატონო! გაგაღვიძე ხომ?

— არა, კაცო, გვიან დამეძინა. რაღაც სამუშაო მქონდა. საყოფად მაინც ვიძინე, დაბრძანდი... საუზმეც გვქონია.

— თუ არ გეწყინება, მე წავალ... გამარჯვების დღე მინდოდა მომელოცა და მეზარებიან, რომ კარგი ამბები მოდის.

— როგორ? ახალი გაიგე რამე?

— თქვენი ბიჭის? არა, მარა ღმერთი მალე გაგვაგონებს... კაცო, ამდენი ხანი გავიდა... ჰოდა, ახლა და ახლა ჩნდებიან ბიჭები... ერთი ლანჩხუთში მოსულა, გვარს დავაზუსტებ და გეტყვი. ერთი ჩოხატაურში დაბრუნებულა, ტყვედ ნამყოფია...

— რა ვიცით, ბატონო ბესარიონ, ეგებ ჩვენიც გზამია. — ჩაურთო ცოლმა.

— ღმერთმა ქნას! — ვთქვი მეც უფრო იმედიანად, — ყველაფერი მოსალოდნელია.

ცოლმა სუფრაზე მიგვიწვია. ბესარიონმა გაიბატიჟა.

— მე, მართალია, არ მისაუზმია, ტყუილს ვერ გეტყვით, მარა...

— მით უმეტეს, ბატონო ბესარიონ, ერთად ვისაუზმოთ. — გულით ვთხოვე მე და სუფრისაკენ მივიწვით.

არაფი დავასხი და სტუმარს მივაწოდე.



— სიმწარე აგაშორეთ, სიტკბოება მოგცეთ... თქვენი ვაჟი მშვიდ-  
ბით მოგვევართ! — დააწყო ბესარიონმა და მერე უცხად დალია. პეტრე  
ცოლს ხაჭაპურიც გამოეცხო, ახლა ჭრის. მეგობრები  
დაჭრა და თეფშებზე და-  
აწყო.

— ჩემ ბიჭს უყვარს და... აღარ მივაკელი დღევანდელ სუფრას... —  
თქვა ცოლმა და თეფში სტუმრისკენ მიაწოხა.

არაყი უსიტყვოდ გადაკარი და რაღაც ბურთი ამიგორდა ყელში. ლუ-  
კმა დავაჯანე, მაგრამ არ გადადის, კარგა ხნის მერე ისევ ფიქრებმა წამი-  
დო.

— ჩაი დაშაქრე, კაცო!.. ოა, შვილო, შენც შინ მყავდე ახლა!.. —  
თქვა ცოლმა და შემომხედა.

მე ხელახლა ამიგორდა ყელში ბურთი, სუნთქვა მომიხშირდა და კურ-  
ცხალი მუხლზე დამეცა.

— ოი, შენ გლახავ, შენ! ასე უნდა? ჩემს გასამხნეველად თქვა  
ცოლმა და მაღულად მანაც მოიმშრალა ცრემლი.

ძალა მოვიკირბე, მეორე ჭიქაც დაეასხი, გამარჯვების დღე დავლო-  
ცე და ჭიქა ბესარიონს მივაწოდე. მანაც უსიტყვოდ დალია.

საუზმე ასე თუ ისე მოთავდა, მაგრამ ლაპარაკი ვერ აეწყო.

ჩაი დაუღეველი დარჩა, ხაჭაპურს მხოლოდ ერთი ნატყერი მოაკლო  
სტუმარმა

მე გამეხარდა, რომ სტუმარი წამოდგა: მარტო მინდოდა ყოფნა...

ცოლი სუფრას ალაგებდა. მე ბესარიონს ეზოში გავყევი ვითომ გასა-  
ცილებლად.

— რა საჭიროა? ნუ გეშინია, ძაღლი არ გყავდეთ. რა საჭიროა! იბო-  
დიშებდა ბესარიონი და ვეხს აუჩქარა, რომ ადრე გამცლოდა.

— ბესარიონ ჩემო! — ჩავახველე და სტუმარი შევაჩერე. — უფრო  
ხშირად შემოკვიარე, ვიცო, უხერხულობას გრძნობ, რომ შენი ბიჭი დაბ-  
რუნდა და ჩემი არა... მაგრამ რა ნუგეში იქნებოდა ჩემთვის, რომ შენიც  
არ მოსულყიო!..

-- რომ იცოდე, მთელი ღამე ვიფიქრე, მოვსულიყავი თუ არა... ბიჭი  
მაინც არ წამომყვა. გამოგიტყდები, ბატონო, უხერხულობას კი ვგრძნობ,  
ისიც ვიცო, რომ ჩემი სიავე შენ ვერაფერ სიკეთეს და ნუგეშს მოგანი-  
ჭებს... მაგრამ ვიყოთ, ველოდოთ, ვინ იცის...

— ჰო, ლოდინიც ერთნაირი ნუგეშია, თუმცა იმედი თითქმის გადაწ-  
ვეტილია... — აქ კიდევ აგორდა ყელში ბურთი. ბესარიონმა იგრძნო ეს  
და არაფერი თქვა... იყუჩა. მერე, როცა სუნთქვა აეწყო, კვლავ განვაგრძე.  
— ერთი თხოვნა მაქვს თქვენთან... შეიძლება, ცნობა რამე მოვიდეს.  
მართალია, მაცნობეს, უგზო-უკვლოდ დაიკარგაო, მაგრამ ასეც გამიგონია:



კაცი ბრძოლაში დაიღუპაო, ამა და ამ ადგილას არის დამარხული და იგი  
კი უენებელი დაბრუნდა. საშინელი ომი იყო და, გასაგებია, ყველაფერს  
ვინ აღრიცხავდა შეუცდომლად. ჰოდა, გამორიცხული არაა, სადღაც ცოც-  
ხალი იყოს... ეს როგორც გამონაკლისი... ჰო, მაგრამ იცი რა?... თუ რამე  
გაიგო და ყველამ დამიმალოს, შენ ნუ დამიმალავ... ცოლს არ უთხრა, ცუ-  
დი თუ რამე აყოს... იგი დედაა... რაც უნდა გულმაგარი იყოს, ქალაი, სუ-  
სტია... და კიდევ უბედურება არ მოხდეს... ჩემი ნუ გეშინია, რაც უნდა  
იყოს, მამაკაცი ვარ...

და მეტი ველარაფერი ვუთხარი.

ბესარიონმა ცრემლები მოიწმინდა, „პატიოსან სიტყვას გაძლევო“,  
და წალასლასდა.

ჭიშკართან კვლავ შევაჩერე.

— ხომ არ დაგავიწყდება, ჩემო ბესარიონ?

— როგორ გეკადრებათ, ბატონო, — ხელი მხარზე დამადო, ცოტა იყუ-  
ჩა, მერე აკანკალებული ხელით ჩემი მარჯვენა მონახა, ჩამომართვა და  
ჭიშკარი გაიხურა.



დედა

მხატვარი თამაზ ჯალაღანია.



# იჭობა... საკუთარი საფლავი

ნარკვევი

იგი ახლა 71 წლისაა. მხნე, ჯან-  
მავარი და ენერგიული, ტკბილ-  
მოსაუბრე.

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯ-  
ვების 35-ე წლისთავს შეეგება  
კაცი, რომელმაც მთელი თავისი  
შეგნებული ცხოვრება სამშობ-  
ლოს, ქვეყნის სამსახურსა და და-  
ცვას მოახმარა. იშრომა, იომა,  
მერე ომისაგან დანგრეული ქვე-  
ყანა აშენა, შვიდი ათეული აღ-  
მართი აიარა და მაინც მოუსვენ-  
ნარია, მაინც ახალგაზრდულად  
შემართული.

ტკბილმოსაუბრეა-მეთქი, თავი-  
დანვე ვთქვი. სათქმელი კი, იცო-  
ცხლეთ, ბევრი აქვს.

— ომს უცნაური კანონები  
აქვს. — მითხრა და ფოტოსურა-  
თი გამომიწოდა ღიმილით, დავხე-  
დე სურათს. ძმათა სასაფლაოს  
ფოტო იყო. ერთ-ერთ ძეგლს გარ-  
კვევით აჩნია წარწერა — „ჩინჩა-  
ლაძე გრიგოლ ალექსანდრეს ძე“.  
გაოცება ვერ დავფარე.

— თქვენი საფლავია? — ვკით-  
ხე.

— კი, ჩემია — დამიდასტურა  
და ახლა გახეთის ამონაჭერი გა-  
მომიწოდა. „საბჭოთა აჭარის“  
ერთ-ერთი ნომერი იყო — „პიატი-

გორსკისათვის ბრძოლაში დაი-  
ღუპნენ ჩვენი თანამეამოულები“...  
და ჩამოთვლილ გვარებს შორის —  
გრიგოლ ალექსანდრეს ძე ჩინჩა-  
ლაძე.

როგორ, რანაირად? — კვლავ  
ვერ ვფარავ გაოცებას და თან მე-  
ღიძება, — კაცს საკუთარი საფლა-  
ვის ფოტო უჭირავს ხელში... მა-  
საც ეღიძება.

— ხომ გითხარი, ომს ბევრი უც-  
ნაური კანონი აქვს-მეთქი... მერე  
ჩაფიქრდა, მოგონებებში ჩაიძი-  
რა...

მამამისი ალექსანდრე ჩინჩალა-  
ძე ხონიდან ჩამოვიდა ბათუმში.  
როტმილდისა და ხაჩატურიანის  
ქარხნებში მუშაობდა, რევოლუ-  
ციურად განწყობილი მუშა იყო.  
დედამისი ევაც ხალხის პედნიე-  
რებისათვის იბრძოდა. 1923  
წლიდან სკკპ წევრი იყო და მთე-  
ლი თავისი ცხოვრება შეაღია  
ხალხის სამსახურს.

1928 წელს პოლიტექნიკური ინ-  
სტიტუტის სტუდენტი გახდა,  
1934 წელს კი ქალაქ კრასნოურა-  
ლსკში მუშაობს ერთ-ერთ მსხვილ  
სამრეწველო ობიექტზე. მა-  
ლე გამოიჩინა თავი როგორც  
უნარიანმა ინჟინერმა და არაერ-



თი მადლობაც დაიმსახურა. ნათელ მოგონებად შემორჩენია შეხვედრა სერგო ორჯონიკიძესთან, მისი ხელის ჩამორთმევა და მადლობის სიტყვები.

მერე არმიაში გაიწვიეს. სამხედრო სასწავლებელი დააპთავრა და ტექნიკურ ნაწილში ასეულის მეთაურის მოადგილედ დაინიშნა. დაიწყო სამხედრო მოსამსახურის მოუსვენარი ცხოვრება. გამუდმებული შრომა და სწავლა ჩვენი არმიის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის და ბოლოს ომი... ომის მძიმე და ხიფათიანი გზები.

პროხლადნაია, გეორგიევსკი, ბუდიონოვსკი. — ამ ქალაქების განთავისუფლებაში უშუალოდ მონაწილეობდა გრიგოლ ჩინჩალაძე.

რა დაავიწყებს იმ 110-კილომეტრიან მარშს გეორგიევსკიდან ბუდიონოვსკამდე რომ გაიარა თავისი ტანკისტებით. მოულოდნელი დარტყმით მტერი აიძულეს უკან დაეხია.

მერე ქალაქ მინერალური წყლების განმათავისუფლებლებს ეხმარება სატანკო ბრიგადა, რომლის შემადგენლობაშიც იბრძვის გ. ჩინჩალაძის ასეული.

სწორედ მინერალური წყლებიდან წავიდა პიატიგორსკისაკენ, რომ სადღაც გზაში გახვეული ბენზინის ცისტერნები მოექცნა და ტანკები საწვავით გაეწყო. ფეხით მიჰყვებოდა გზას. ხალხმრავლობაყო. უცებ მტრის თვითმფრინავი გამოძვრა ღრუბლებიდან და ბომ-

ბები ჩამოყარა. გაისმა გამაყრუებელი გრილი...

გრიგოლ ჩინჩალაძე ყვება.

— მერე აღარაფერი მახსოვს. ბევრი ჩვენიანი მოეკლა აფეთქებას. — მიცვალებულებისათვის საბუთები ამოეღოთ და მანქანით დასამარხად წაესვენებინათ. მე გონდაკარგული ვიყავი. ჩემი საბუთებიც წაიღეს და მეც მანქანაზე დამდეს. უკვე საფლავეში ჩასასვენებლად ვიყავი გამზადებული და სწორედ მაშინ შეემჩნია ვიღაც მადლიანს, რომ სიცოცხლის ნიშნები მქონდა.

სასწრაფოდ ჰოსპიტალში წამიყვანეს... ასე გადავრჩი ცოცხლად დამარხვას. საბუთები კი დაიკარგა და მერე, სწორედ, იმ საბუთების მიხედვით გაკეთდა ძმათა საფლავე. ასე დამიდგეს ძეგლი ცოცხალ კაცს ძმათა საფლავეზე.

— იმ კაცის ვინაობა არ იცით, ვინ გადავარჩინათ?

— ეეჰ, მაგი რომ ვიცოდე! — იქნებ, თვითონ აღარცაა ცოცხალი, ვინ იცის, სად უწია მტრის ტყვიამ. არა და, როგორ მინდა ცოცხალი იყოს, ვნახო ის ოჯახს შენებულ და გადავკოცნო. მაგრამ...

გამარჯვების 35-ე ცისკარს შეეგება ომგადახდილი კაცი. ხშირად ერთად შეიკრიბებიან ყოფილი თანაპოლკელები ვალოდია კოპალეიშვილი, არტემ მნაცაკიანი, გრიგოლ ჩინჩალაძე... იგონებენ გარდასულ დღეებს, შინმოუსვლელი ბიჭების მოსაგონარს შე-



სვამენ და მწუხარების ჩრდილი  
გადაუვლით სახეებზე.

რამდენი გასაჭირი ნახა, რამდენი გზაწვრილი განვლო და რამდენი მწარე ტკივილი არ ასვენებს ახლაც გრიგოლ ჩინალაძეს, ორი შვილის სიკვდილი გაიგო არმიაში ყოფნის დროს და იქ, შორეულ ტრამპალებში გამოიტირა.

მაინც არ შედრკა, გასაჭირს ქედი არ მოუხარა. მსობლიურ ქალაქში წითელი ეარსკვლავის ორდენითა და მრავალი საბრძოლო მედლით მკერდდამშვენებული დაბრუნდა. მშვიდობიან შრომას შეუდგა. იყო მანქანათსაშენი


ქარხნის საამქროს უფროსი, ბათუმის საზღვაო პორტის მექანიზაციის უფროსი, მუშაობდა საჩამომსხმელო ქარხანაში, კურორტ-სამმართველოში, გაზიფიკაციის სამმართველოში...

ორი შვილის მამამ, ორი შვილიშვილის ბაბუამ გრიგოლ ჩინალაძემ დიადი გამარჯვების 35-ე გაზაფხული იზეიმა...

ვეტერანი კვლავ მწყობრშია.

იქ კი, პიატიგორსკში, მმათა განსასვენებელზე არის ცოცხალი კაცის საფლავი, როგორც მუდმივი გახსენება იმ ქარიშხლიანი დღეებისა.

## პ ე ტ ე რ ა ნ ე ბ ი





დიდი სამაშულო ომის პირველსავე დღეებში სევასტოპოლმა მტრის ჭარბი ძალების, განსაკუთრებით ავიაციის თავდასხმა განიცადა.

1941 წლის ნოემბერში ფაშისტები ყირიმში შეიჭრნენ. ისინი ვარაუდობდნენ ერთი დარტყმით დაუფლებოდნენ შავი ზღვის მნიშვნელოვან ბაზას — სევასტოპოლს, მაგრამ შავი ზღვისპირეთის არმიის მამაცმა ჯარებმა და საზღვაო ქვეითმა ნაწილებმა ფლოტის სომალდებთან, სანაპირო ბატარეებთან და ავიაციასთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით არნახული დარტყმა აგემეს მტერს.

1941 წლის დეკემბერში ჰიტლერებმა სევასტოპოლზე მეორე იერიში მიიტანეს, მაგრამ ისიც მარცხით დამთავრდა.

1942 წლის მაისის დამლევს ფაშისტებმა დაიკავეს ჭერჩი და სევასტოპოლის მისადგომებთან თავი მოუყარეს აურაცხელ ცოცხალ ძალებს და დიდძალ ტექნიკას;

სევასტოპოლის მიუვალ ციხე-სიმაგრედ გადაქცევაში ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვის ჩვენს სახელოვან თანამემამულეს, შემდგომში საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილეს, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატს, რსფსრ დამსახურებულ მშენებელს, გმირ ქალაქ სევასტოპოლის საპატიო მოქალაქეს არჩილ გელოვანს, რომელსაც 1977 წლის ივლისში საინჟინრო ჯარების მარშლის წოდება მიენიჭა. მისი დამსახურება სამშობლოს წინაშე აღნიშნული იყო მთავრობის 23 ორდენითა და მედლით. სახელმწიფოებრივი მხედართმთავარი 1978 წლის თებერვალში 62 წლისა მოულოდნელად გარდაიცვალა.

ჰიტლერელთა ვარაუდი — სამ დღეში სევასტოპოლის იერიშით აღების შესახებ — კრახით დამთავრდა. საბჭოთა მეომარ-

ბი 250 დღეს გმირულად იცავდნენ გმირ ქალაქ სევასტოპოლს. ამ ეპოპეას თვალყურს აღევნებდა მთელი მსოფლიო. ჭერჩი, სევასტოპოლი, ნოვოროსიისკი, ტამანის ნახევარკუნძული, ანაპა და სხვა ადგილები საბჭოთა კავშირის ხალხთა შვილებთან ერთად მორწყულია ათასობით ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი მეომრის სისხლით, ყირიმისათვის ბრძოლებში მონაწილე 120 ათასზე მეტი ქართველი მეომრიდან ნახევარზე მეტი გმირულად დაიღუპა. აქედან ორი ათასზე მეტი მზიური აჭარის წარმომადგენელია.

ფაშისტებმა მარტო ჭერჩიში შეიდი ათასი საბჭოთა მოქალაქე დახვრიტეს. აჭინუშკაის სამტეხლოებში წითელი არმიის სუთი ათასზე მეტი დაჭრილი და ავადმყოფი მეომარი, ადგილობრივი მცხოვრებნი, ბავშვები, ქალები, მოხუცები მხეცურად მოახრჩვეს. გადაწვეს მრავალი სოფელი, დაანგრიეს სასოფლოებრივი შენობები. სოფელ ჯანტორაში აღმოაჩინეს გერმანელების მიერ ნაწამები და კოცონზე დამწვარი წითელარმიელის — ზუგდიდელი გრიგოლ სხულუნიას სხეული. როგორც შემდეგ აღვინდა, ტყვედ ჩავარდნილმა გ. სხულუნიამ ჯალათებს არ გაუმხილა საბჭოთა ნაწილების ადგილსამყოფელი, რისთვისაც ცეცხლში ჩააგდეს, მოტეხეს ორივე ხელი. ზურგზე სუთქიმიანი ვარსკვლავი ამოჭრეს. გ. სხულუნიას სიკვდილის შემდეგ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

ფაშისტების მხეცობამ შურისძიების გრძნობით აღავსო საბჭოთა ჯარისკაცები, რომლებიც მზად იყვნენ ახალი ხაზმირი საქმეებისათვის.

დადგა დღე შურისძიებისა.

1944 წლის 8 აპრილს საბჭოთა ჯარები შეტევაზე გადავიდნენ. — 35 დღის განმავლობაში ყირიმი, ელვისებური და-



რტუმების შედეგად გაიწმინდა ოკუპანტთა თარეშისგან.

10 მაისს უკრაინის ფრონტის ჯარებთან ერთად ზღვისპირეთის არმიის მეომრებმა გაარღვიეს გერმანელთა ძლიერ გამაგრებული თავდაცვა და იერიშით აიღეს ციხე-სიმაგრე და დიდმნიშვნელოვანი სამხედრო-საზღვაო ბაზა შავ ზღვაზე — სევასტოპოლი.

გმირი ქალაქის — სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ღირსებული წვლილი შეიტანეს ანაბის სახელობის წითელდროშოვანი 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის მეომრებმა (დივიზიის მეთაური — გენერალ-მაიორი ვ. ძაბახიძე, პოლიტგანყოფილების უფროსი — პოლკოვნიკი ვ. ჯანჭღავა).

გამოჩენილი მხედართმთავრის გენერალ-პოლკოვნიკ პ. ჩანჩიბაძის ნიჭი განსაკუთრებით გამოვლინდა ყირიმში.

ქობულეთის რაიონის სოფელ ლედვას მკვიდრი აბდულ წულუკიძე ფრონტზე წასვლამდე — 1941 წლის სექტემბრამდე — ამ სოფლის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე იყო. 1942 წლის მარტში ახლადფორმირებული 414-ე ქართული დივიზიის 137-ე მსროლელი პოლკის ბატალიონის კომისრად დაინიშნა და აქედან დაწყებული, მისი ბიოგრაფია განუწყრელად დაუკავშირდა მშობლიური დივიზიის საბრძოლო საქმიანობას. ბატალიონის მეთაური კაპიტანი ნიკა ამირიძე გამოცდილი და გულისთადი ოფიცერი იყო, პირველ მსოფლიო ომში წმინდა გიორგის ოთხივე ორდენი დაიმსახურა. მას ახარებდა ა. წულუკიძის სიამაყე, წინდახედულობა, დიდი ორგანიზატორული ნიჭი და, რაც მთავარია, მეომრებისადმი თავდადება, მათი დიდი სიყვარული.

1944 წლის 28 იანვარს ა. წულუკიძე ორგზის მიყენებული მძიმე ჭრილობის შედეგად ბრძოლის ველზე გარდაიცვალა. ყველა დაამწუხრა მისმა დაღუპვამ. იგი ყირიმის მიწას მიაბარეს და სამო საფლავში განისვენებს ქერჩის სამხედრო სასაფლაოზე. ყირიმის 157 სამო

საფლავზე განისვენებს ათასობით ქართველი მეომარი.

ყირიმელი მშრომელები, დიდი სამაშულო ომის ვეტერანები უკვდავყოფენ იმ აღმაშენებელ სახელებს, რომლებმაც თავი შესწირეს ჩვენს წმიდათაწმიდა საქმეს.

30-იანი წლების ბოლოს ჯემალ ბაყურიძე პარტიის ქობულეთის რაიკომის მეორე მდივნად მუშაობდა. 1940 წელს იგი ლენინის სახელობის მოსკოვის ორწლიან პარტიულ სკოლაში გაგზავნეს, მაგრამ მისი დამთავრება არ დასცალდა... ომის დაწყებისთანავე ბატალიონის კომისარობა შესთავაზეს. კურსკი, ბელგოროდი, ყირიმი... საყვარელი კომისარი პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდა მებრძოლებს. ერთ-ერთი გაზედული ომერაციისათვის ქერჩში სახელობის კომისარი წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს, მაგრამ მალე იგი ბრძოლაში დამცა...

ქობულეთელმა ხუსეინ ბეჟანიძემ 1926 წელს წარჩინებით დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი და ოცეულის მეთაურად დაინიშნეს ქართულ დივიზიაში, რომელიც მაშინ ზურგში იდგა. 1938 წლის დასაწყისში დაინიშნა ქედისა და ბათუმის რაიონების სამხედრო კომისრად, სადაც 1941 წლის სექტემბრამდე იმუშავა. შემდეგ ახლადფორმირებული 390-ე მსროლელი დივიზიის 284-ე პოლკის მეთაურად დააწინაურეს და ფრონტზე გაგზავნეს. 1943 წლიდან კი პოდპოლკოვნიკი ხ. ბეჟანიძე 276-ე მსროლელი დივიზიის 871-ე პოლკის მეთაურია და ყირიმში მუხრან აველებს მტერს. მეთაურის მკერდს მთავრობის მაღალი ჯილდოები — 6 ორდენი და 5 მედალი ამშვენებდა.

ხ. ბეჟანიძე 1967 წლის თებერვალში გარდაიცვალა.

მამაცობის განსაკუთრებული მაგალითები გამოავლინა ყირიმის ბრძოლებში 224-ე მსროლელი დივიზიის 143-ე პოლკის კომისარმა, ბათუმის მკვიდრმა აკაკი გიორგაძემ. იგი 19 წლისა იყო, როცა საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვი-



ეს. შემდეგ ზემსახურად დარჩა. მალე თავის პოლკში პოლიტბელად დანიშნეს. 1940 წელს კი ბატალიონის კომისრად დაწინაურეს. იმ წელსვე დაუსწრებლად სწავლობდა ლენინგრადის სამხედრო აკადემიაში, მაგრამ მისი დამთავრება არ დასცალდა. ყირიმის ფრონტს მიაშურა, მუდამ მოწინავეთა რიგებში მყოფი ა. გიორგაძე მძიმედ დაიჭრა და ბრძოლის ველზე დაეცა. მთავრობამ მისი მამაცობა ლენინის ორდენით აღნიშნა.

ქედმოუხრელი კომისრის შესახებ სადესანტო ბრძოლების მონაწილეთა ნაამბოობის საფუძველზე მწერალმა რ. მარგიაშვილმა შექმნა „ბალადა კომისარ გიორგაძეზე“, რომელიც დივიზიის სტამბაში დაიბეჭდა. ის სწრაფად გავრცელდა, სახელმძოვნი კომისრის სანაქებო ოჯახი — მეუღლე, ორი ქალიშვილი და ვაჟი წმიდად ინახვენ სამშობლოს თავისუფლებისათვის გამართულ დაცემული მამის ხსოვნა.


ყირიმისათვის ბრძოლებში მამაცობითა და გამტკიცებლობით თავი გამოიჩინეს აჭარის რესპუბლიკის, წარგზავნილებმა: შაქრო მოისწრაფიშვილმა, მიხეილ დარჩიამ, ვლადიმერ თოიძემ, დიმიტრი დოლიძემ, ჯემალ წითელაძემ, ივანე იუდინმა, გიორგი ჩიჩუამ, მიხეილ დვალისვილმა, მოსე ჩხარტიშვილმა, აკაკი ხობულამ, ლაშარე ციცხლაძემ, გუგული ჩხაძემ, ივანე კვიციძემ, კუკური ჩხარტიშ-

ვილმა, ივანე ტოროტაძემ, ელისე ტულუშმა, ამბერკი ლორიამ, გაბრიელ ჩხიზაიამ, გიორგი მშვიდლობაძემ, თეოდორე ყურაშვილმა, ისმაილ გორგილაძემ, გუგული გაბისონიამ, გერმანე მუჟანაძემ, ალექსანდრე სოფრომაძემ, ვიქტორ ფოცხვერაშვილმა, ბენდო ფხეიძემ, ბენო გიორგაძემ, ნიკოლოზ ჯოსაძემ, შალვა ხანელიძემ, რიზა ჩეიშიშვილმა, მამია კუკულაძემ, ნიკოლოზ ტულუშმა, ვლადიმერ ხიზაძემ, მურად ევგენიძემ, ქსენია კობლაძემ, სერგო ბურჭულაძემ, ნიკოლოზ გოგინაშვილმა, იოსებ დიასამიძემ, ალექსანდრე ვერულიძემ, ქესკინ გუგუნავამ, ასლან ბეჟანიძემ, სიმონ წილოსანმა, კლიმენტ ჩხაიძემ, ელისე ჩხაიძემ, ეზიკი ჩხეიძემ, შევკეთ შერვაშიძემ, მიხეილ გუჯაბიძემ, აკაკი სულაბერიძემ, გიორგი რუსეიშვილმა, აკაკი ვაბელიამ, მიშა ხარებავამ, მიხეილ სიხარულიძემ, ახმედ წუწუნავამ, ვალერიან კლექიანამ, ახმედ მიქელაძემ, კოტე სანაძემ, ვალიკო სალუქვაძემ, დურსუნ შავიშვილმა, ილიას გოგიტიძემ, გიორგი აკოფოვმა, ვალიკო ფდენტმა, კონსტანტინე მაღანიამ, გივი ქანუყვაძემ, შოთა სირაძემ და სხვებმა.

დღეს ომგადასდილთა უმრავლესობა აჭარის სხვადასხვა კუთხეში მოდგაწივობს და შრომაშიც მოწინავეა.

იასონ ცაცავაძე,

გადამდგარი მაიორი, ყირიმის ბრძოლების მონაწილე.





## მკელი კოლხური ჰანგები

### ჩ ა რ ი რ ა მ ა

ჩარი, ჩარი, ჩარირამა,  
ჩარირამა ჩარია.  
შენი ეზოს ავლა-ჩავლა  
ნეტავ, რად მიხარია.  
ჩარი, ჩარი, ჩარირამა,  
ჩარირამა ჩარია.  
ცრემლი თვალებს ჩამილამავს,  
შენ რომ გვერდით ჩამიარ.  
ჩარი, ჩარი, ჩარირამა,  
ჩარირამა ჩარია.  
კაცის გული არის ჩარმა,  
ქალის გული ფალია.  
ჩარი, ჩარი, ჩარირამა,  
ჩარირამა ჩარია.  
სიყვარულმა ჩაიარა.  
და ეს გული მკედარიია.



რისი მტერი, ვისი მტერი,  
ოუ, ნანა, ნანა.  
სიყვარული არ ჯობს განა?  
ოუ, ნანა, ნანა.  
ჩქარა, სანამ გახდი მტვერი,  
ოუ, ნანა, ნანა.  
სანამ ხარობ ამ ქვეყანას,  
ოუ, ნანა, ნანა.  
სიტყვა — მოკლე, საქმე — ბევრი,  
ოუ, ნანა, ნანა.



რა უცებ გამაღარიბე,  
რა უცებ გამომიმეტე.  
რა, დასაკლავი ხარივით  
წამომიქციე იმედი.  
რა უმოწყალოდ დამაზრე,  
შენით ლალი და მდიდარი.  
ვაი, რა უცებ დამაშრე  
ადიდებული მდინარი.


### დარდიანი დავდიხარ

არწივით ვიყავ ლალი,  
სანაგარდოდ მქონდა ცა მე.  
ახლა, შენზე ფიქრით დაღლილს,  
არც დღე მყოფნის და არც ღამე.  
რაც შენ გნახე, შეგიყვარე,  
სიხარულმა მიმატოვა.  
ჩემს დაკეტილ გულის კარებს  
აღებთ შენ და სიმატოვე. •  
ახლა ცრემლით ვიკლავ  
წყურვილს,  
გზაზე საგზლად მიმაქვს ოხვრა.  
არაფერზე მიმდის გული,  
ვეკლავფერი მრჩება ოხრად.  
დარდი რაა, არ ვიცოდი,  
დარდიანი დავალ ახლა.  
იმას ჰქონდეს ჩემი ცოდვა,  
შენი თავი ვინც მანახა.



მიეჩაქჩაქებთ, მიეჩარჩალებთ  
მე და ჩემი ურემი.  
აქეთ ბუსკა, იქით ჩელა,  
გულში — დარდი ულევია.  
ხარებს ღამე მიაქვთ რქებით,  
ურმის ღერძი ჭრიალებს.  
ჩან გული და ხან ფიქრები  
ბორბალივით ტრიალებს.  
ჩემო ბუსკა! ჩემო ჩელა!  
თქვენი ქედით უღლეღით,  
თქვენც დარდივით მიგაქვთ ნელა  
აკაციის უღელი.  
ჭურიან თქვენი სკოლა,

წიგნი — შარა ნაბადას.  
თქვენი ღზინი — ლაფში წოლა,  
ლაქაშებში ნავარდი.  
მე კი ჩელა, მე კი ბუსკა,  
მადნობს დარდი უთქმელი;  
ამ ცხოვრებით მოკლულ გულს  
კლავს  
სიყვარულის უღელიც.  
თუმც ვუყვარვარ, თუმცა მიყვარს,  
მაინც ტირის ეს გული..  
ღარიბი ვარ, მდიდარს მიჰყავს  
ჩემი შეყვარებული.



შეტყუა

მხატვარი გენადი ტულუში.





## ახალი რომანის ერთი თავი

უფროსმა გამოძიძახა. ცოტა პედანტი კაცია და გაგანია სიცხეში, როცა პიჯაკის ჩაცმა სისულელეა, მასთან უბიჯაკოდ და უპალსტუხოდ ვერ შეხვალ. პიჯაკი საკიდარზე თევობით ჩვარივით ჰკილია, ვინიცობაა, თუ გამოგვიძახა, გადავიცვამთ. თხუთმეტი დღეა, უფროსთან არ შევსულვარ, არც ისე საშური საქმე იყო და გამიკვირდა, რატომ მიბარებდა.

პიჯაკი ჩავიცვი. ჯიბეში ჩაჩრილი ჰალსტუხი, როგორც შევძელი, გავიკეთე და, ცოტა არ იყოს, ველავდი. ეს რამდენიმე დღეა, ყველა მატყობს უგუნებობას და მეშინია, ხომ არაფერი გაუგიათ-მეთქი.

უფროსი მარტოდ დამხვდა.

— გამარჯობა, დავით!

— იცოცხლეთ, გრიგორ ივანიჩ!

კაბინეტში ახალთახალი ავეჯი ბზინავდა და იდეალური სისუფთავე იყო. ფანჯრებზე ვეებერთელა ნაყშიან ფარდებს ნიავე არხევდა. უფროსმა თბილი თვალებით შემომხვდა. არა, გაგებული რომ ჰქონოდა, ასე არ შემომხვდავდა.

— როგორ ხარ?... — მეკითხება იგი, — მარტო ცხოვრება არ მოგებზრდა? — თავი გააქნია, — აი, აი, არაა კარგი, შენ ახლა სამი შვილის მამა უნდა იყო!

— გრიგორ ივანიჩ...

— არ თქვა, — სიტყვა გამაწყვეტინა, — ეს მაკლია, ის მაკლიაო.

— არა, მაგრამ...

— ბინა გაქვს, ხელგამართული ცხოვრობ, სხვა რაღა გინდა?!

— არაფერი! — გავიცინე და შევხედე.

— ჰო, ქალებს გადაყევი. მოიყვანე ცოლი, თორემ ეგ ქალები დაგლუპავენ! არაფერი მითქვამს, ყურადღებიანი კაცია, ყველა თანამშრომელის ოჯახს იცნობს, ყველას ხელს უმართავს, ეხმარება. დღესასწაულზე ოჯახებში ჩამოუვლის მად, თითო ჰიქა ღვინოს დაღვეს, დალოცავს და წავა. იგი არ ჰგავს ცხვირ-აწეულ უფროსს, თავში რომ არაფერი უღვეს და გაბლენმილი დადის.

ერთხანს ვდუმდით.

— დავით სოლომონიჩ, — მითხრა მან. — იცი, რატომ გამოგვიძახე?





ანა სიცხეში, როცა  
სტუდიო ვერ შეზღა-  
რე გამოგვიძახა, გად-  
არც ისე საშური საქმე

არც შეეძლო, გაგიკეთ-  
და მატყობს უგუნებობას

ლოლი სისუფთავე იყო.  
უფროსმა თბილი თვა-  
რ შემომხედდა.  
ერება არ მოგებზრდა? —  
ღის მამა უნდა იყო!

ის მაკლიაო.

და გინდა?!

ეს კალები დაგლუბავენ!  
თანამშრომლის ოჯახს  
ულზე ოჯახებში ჩამოუ-  
ვია. იგი არ ჰგავს ცხვირ-  
ნაწილი დაღის.

ნატომ გამოვიძახე?

— არა! — სერიოზულად შეეხედე.  
— გაწინაურებთ!  
ვერაფერი ვთქვა, უბერულობისგან თავი დაეხარე.  
— უფროსი ეკონომისტად გადავიყვანე, ასეთია ჩემი აზრი, ენახოთ, სხვები რას  
იტყვიან, — გაციანა, — შეძლებ?

შეეხედე.

— აბა, რა ვითხრათ?!

— გასაგებია! — თითო დაპკრა მაგიდას, — მოიფიქრე და მიიხარა!

— კარგი!

— ორი დღის ვადას გაძლე!

თავის დაკრებით გამოვეთხოვე, კაბინეტში გონებაარეული დაებრუნდი. სიზა-  
რული და გულისტკივილი — ეს ორი გრძნობა ჩემში ერთმანეთს შეეჭოდა. რამ-  
დენიმე წუთს უძრავად ვიჯექი — თავზე ვფიქრობდი. ტელეფონის ყურმილი ავი-  
ლე და დავერეკე, როგორ ხარ-მეთქი, ვკითხე, კარგადო, მიპასუხა. ხომ არაფერი  
გინდა-მეთქი, არაო, და მეც შეტი ვერაფერი ვკითხე. ერთხანს გაშეშებული ვი-  
ჯექი, ვფიქრობდი. გარკვეულად ვიცოდი, რაზეც ვფიქრობდი, მაგრამ მაინც არ  
მჯეროდა. იყო სინანული და შორეული ზმანება. სულის ამაფორიაქებული ზმანე-  
ბა. ვერ ვიხსენებდი, მუშაობაზეც გული ამიცრუვდა. ხასიათს მიფუჭვდა ჩემი  
ჭაღარა, დამძიმებული სახის ნაკეთობი და სიღურჯეგადარეული ტურნები.

ტელეფონმა დაიწვიალა.

— გისმენ!

ბაუზა.

— ალო!

მეისევ ვიცანი, თინა მირეკავდა.

— შენ ხარ?!

— ჰო, არ მელოდი?

დავიბენი, რა მეპასუხა? მართლაც, არ მახსოვდა, ვიცო, მეტყვიას, საღამოს  
კინოში წაყვითლო.

— დაკავებული ვიყავი!

— ასეა, — მკაცრი ტონით მიიხრა, — შენგან ყველაფერია მოსალოდნელი.

— თინა, არ მეცალა!

— იქნებ არ გესიამოვნა, რომ დაგიირეკე?

— არა, არა, იყო რაღაც!

— რა?

— მაწინაურებენ!

— მართლაც?

— ჰო.

ბაუზა.

— მომილოცავს!

— გმადლობ!

გული მაინც არ მომბრუნებია, ვინანე კიდევ, არ უნდა მეთქვა, ალბათ, აწი  
მეღარ მოვიშორებ. ჩემი სიტყვა გამართლდა — ხმა დაუნახდა, ოდნავ ღელავდა  
და მეუბნებოდა: გუშინ საღ იყო, მოუთმენლად მელოდა, ბევრი იდარდა, რომ  
არ მივედი და კიდევ ათასი რაღაც-რაღაცეები. ნერვიულობისაგან ყურმილი კინა-  
ღამ გამივარდა, ხმა არ გავიცი და მკითხა, ხომ მისმენო? მერე მოვიფიქრე, ამხა-  
ნავი მელოდებო-მეთქი და გამოვეთხოვე. ცოტა ხნის შემდეგ დარეკა.



- მარტო ხარ? — მეკითხება.
- კი!
- რატომ არ მითხარი, როდის შევხვდეთ?

— როდის? — არასოდეს-მეთქი, გავივლე გულში, მაგრამ რომ არ ეგრძნო!

დავუყვავე, — როცა იტყვი!

- დღეს!
- დღეს?! — დავფიქრდი, მიზეზს ვეძებდი.
- იქნებ დრო არ გაქვს?
- კარგი, საღამოს მოვალ! კარგად იყავი!
- ჰო, დროებით.

ყურმილი დავდე და სიბრაზე ყელში მომეხვინა. რა ოხრობამ მათქმევინა, კარგი გოგოა-მეთქი, ახლა არ გინდა, მოიშორო?! გამაცნეს, თვალში მომივიდა და ვთქვი, კარგი გოგოა-მეთქი. გულახდილად ვერ ვიტყვი, რატომ არ შემიძლია მასთან შეხვედრა. დაცარიელებული ვიყავი, გამოფიტული, კრინტს ვერავისთან ვძრავდი. სრულებით დამავიწყდა დაწინაურების სიხარული, სხვა დროს ცას მივწვდებოდი. ერთ კარგ სუფრასაც გავშლიდი, მაგრამ ახლა არ მინდოდა მეფიქრა მასზე და მენერვიულა.

- დავით! — მეძახის თურმე ჩვენი ინჟინერი.
- დავით! — არც მეორეჯერ გამიგონია მისი ხმა.
- არ გესმის? — კარებში იდგა და გაცივებული მიეყურებდა. გონს მოვეკვი, წარბი გავხსენი. მისაყვედურა, ხომ არ დაყრუბულხარ, სამჯერ დაგიძახეო. სიმ-წრით გავიდიმე.

- დავებრდი! — ვთქვი.
  - ჰა, ჰა, ჰა... რა უცნაური ხარ! — კარი მიხურა და ჩემს მაგიდასთან გაჩერდა, — ველარ გცნობ, ხომ არაფერია?!
- იმოქმედა მისმა მეგობრულმა შეკითხვამ, — მხრები ავიჩინე, ვერც ჰო ეუთხარი, ვერც არა.

- მოხდა რამე?
- არა, ისე!
- შენ რაღაცას მალავ, თქვი!
- ჰმ! — ისევ სიმწრით ჩავიდიმე და დავჯექი, ისიც დაჯდა, მაგიდაზე ხელები დააწყო და შემომაჩერდა.

- რა უნდა იყოს? — დავძინე ცოტა ხნის შემდეგ.
  - არა, შენ რაღაცას მალავ!
- ვუთხრა?... ორვჭოფობდი, თითებს მაგიდაზე ვათამაშებდი, ვიგრძენი, სახე მომექუჭურა.

- შალვა, — ხმა გამეზარა, — ჩვენ ხომ მეგობრები ვართ?
- ეჭვი გეპარება?!
- ჰოდა, ერთ საიდუმლოებას გაგანდობ, არავის უთხრა, თანაც უნდა გამიგო, — დავფიქრდი, — იმ საღამოს, როცა ჩვენ „მზიურში“ ვიყავით, ფათურაკს გადავეყარე... ჩემს სადარბაზოში გოგო ეგდო. მთვრალმა ძალა მოვიკრიბე და ხელში ბავშვივით ატატებული სახლში შევიყვანე, ისე დაბეგვილ-ნაწამები იყო, გონს დილამდე არ მოსულა, — შალვას თვალები გაუფართოვდა, ახლოს მოიწია, — შევცდი, უნდა გამეცხადებინა. მერე, გონს რომ მოვეგო, მთხოვა არავისთვის მეთქვა. მეც ვლუმვარ და არ ვიცი, რა მოჰყვება ამ ამბავს.

- ვინაა?
- თბილისში, ტექნიკუმში გამოცდებს აბარებდა, ჩაჭრილა და შინ ბრუნდე-



ბოდა. მატარებელს გაუსწრია, ვიღაცეების „ვოლგაში“ ჩამჯდარა და, ჩვენ წავი-  
ყვანოთ შინ, სამტრედიას რომ გამოცდნენ, გზიდან გადაუხვევიათ და... უცემიათ  
კიდეც იმ ძაღლიშვილებს!

— მერე, აქ საიდან?

— ეს არც მან იცის, ახსოვს მხოლოდ, როცა თვალი გაახილა, გზის პირას  
ვეგლო, ბლაბუბში. არ იცის, როგორ მოხვდა ჩემს სადარბაზოში. ახლა მითხვს,  
არავის არ ვუთხრა და სამუშაო ვუშოვო.

— მშობლები?

— არ ჰყავს, მამიდამ გაზარდა.

— საშინაო, თუ მოაკითხეს?

— სამუშაო მიშოვე და არავისი არაფერი მინდაო, ოთახსაც დაეიქირავეხო.

— „ვოლგის“ ნომერი არ ახსოვს?

— არა, მხოლოდ სახეზე შეუძლია მათი ცნობა. ტანზე ყველაფერი შემოხე-  
ული ჰქონდა, ფული მივეცი და ზოგი რამ იყიდა. ანგელოზია, პირდაპირ საცო-  
დაობაა, მას რომ უყურებ, რა გული უნდა გქონდეს, ბავშვს ასე მოექცე. ძეხნა რომ  
გამოაცხადონ და ჩემთან ნახონ, რა ვთქვა, ვინ დამიჯერებს?!

— აქ საიდან აღმოჩნდა, საოცარია!

— მეც მიკვირს! გზის პირას, ალბათ, თავად გამოიყვანეს, რომ გამეღელს  
ენახა... იქნებ, გზის პირას გონებადაკარგული რომ ეგლო, ჩასვეს მანქანაში  
და წაიყვანეს.

— შეიძლება!

— მერე!... აქ ჩამოიყვანეს?... არა, აქ რაღაც საიდუმლოებაა!

— იქნებ, თვითონ არ ამბობს ყველაფერს.

— არა მგონია, ტყუოდეს.

— შეცდი, მილიციაში უნდა გავცეხადებინა.

— თავისი უბედურება ჰყოფნის, ქვეყანას როგორ გავაგებინო-მეთქი, ბავშვია.  
ჩემს ადგილას სხვაც ასე მოიქცეოდა. თვალს ვერ მოწყვეტ, ისეთია! ახალი კაბა  
რომ ჩაიცვა და თმა დაივარცხა, ნამდვილი ანგელოზია, მაყვალევით შავი თვა-  
ლები აქვს, ღიდრონი...

შალვამ გაოცებით შემომხედა.

— ხომ არ შეგიყვარდა?

— აჰ, სად მე და სად ის? მისი ტოლი რომ ვიყო, მგონი, ყურადღებას არა-  
ფერს არ მივაქცევდი!

ისევ გაოცებით შემომხედა.

— შენ, შენ ხომ არ ეშმაკობ?

— როგორ გეკადრება?!

— ყველაფერი ზდება ცხოვრებაში! ისე, თუ დამიჯერებ, თავიდან მოშორება  
ჯობს, ხიფათს არ გადაეყარო. სწორედ მასეთი მარწყვით გოგონებია საშინო!

— როგორ ვუთხრა, წადი-მეთქი, აბა, სად წავიდეს?! მისთვის სამუშაოს ვე-  
ძებ, ბინასაც დაუქირავებ, შემდეგ რაც უნდა, ისა ჰქნას!

— ჰა, არ გცოდნია, სიყვარული ასე იწყება! — გაიცინა მან.

სიყვარული არ ვიცი, როგორ იწყება, ალბათ, ვერც ვერავინ იტყვის, მა-  
გრამ, რაც ვთქვი, ჯერ საკუთარ თავთან არ მიუფიქრია.

— სიყვარულს თავი დავანებოთ, ის მითხარი, როგორ მოვიქცე?

— მამიდას გააგებინე!

— არ შერება, თავს მოვიკლავო.

— აბა, რა გითხრა?!



— ნურავის ეტყვი. — შევებვეწე.

— არა, არა!

სავონებელში ჩავვარდი, არ გამეშხილა, ჯობდა. ჩემი ბრალია, მილიციას რომ არ გამოვუძახე. სხვა რა?.. არა მგონია, თეამ ცუდი თქვას ჩემზე. ვთხოვ, წერილი გაუგზავნოს მამიდას, მისამართს ნუ მისწერს, გააგებინოს, კარგადაა, მუშაობს და მალე ესტუმრება. ეს აზრი მომეწონა, შინ დაწყნარდებიან და ძებნას არ დაუწყებენ. ვთხოვ, მისწეროს, თითქოს მისამზადებელ კურსებზე დადის და გაისად აუცილებლად მოეწყობა ტექნიკუმში. დავგეგმე და დავმშვიდდი. მაგრამ რატომ არ მინდა თეას წასვლა?.. არ გაეგოთ და არ მოეკითხათ?.. არ ვიცოდი.

კაბინეტში ჩაიკეტე, თვალიდან არ მშორდებოდა თეა. შალვას სიტყვების შემდეგ გულახდილი გავხდი საკუთარ თავთან — ვხედავდი მას მომდიმარს, მესმოდა მისი ტიტინი, მაგრამ წარმოვიდგენდი თუ არა, რაც გადახდა, ვნერვიულობდი, ხელებს ვიფშენებდი და, მაგიდაზე დაყრდნობილი, ფიქრებს მივეცემოდი. გაივლიდა რამდენიმე წუთი და თვალწინ თეა გაცოცხლდებოდა, ვხედავ, ფანჯარაზეა გადმომდგარი, სარკესთან დგას, თმა ჩამოუყრია და საკუთარ ორეულს უღიძის...

რაც უნდა მოხდეს, არ ვეტყვი, წადი-მეთქი. იყოს ჩემთან, ვასწავლი, ჩავაცმევ, ვუბატრონებ და მერე... საკუთარ თავთან ვერ ვთქვი, ბედს ეწიოს-მეთქი, ძნელი აღმოჩნდა, გულზე გამეკენწლა.

ტელეფონმა დაიწერიალა.

— გისმენო!

— დავითი ხარ? — მეკითხება ვიღაც ქალი.

— გახლავართ!

— გამარჯობათ! — ხმა დაინახა.

— გაგიმარჯოთ! ვინ ბრძანდებით, ბოლიში, ვერ ვიცანით.

— ზინა ვარ!

ვერ მოვიგონე და გავიკვირვე.

— ზა, ზა, ზა... — იცინის იგი, — გულმავიწყი ყოფილხართ!

— „ზინა, ზინა... ვის ვიცნობ ზინას?“ ჰო, მომაგონდა.

— ა, თქვენ ხართ?

— დიახ, მომეწონა თქვენი ქალაქი, წყნარი, სუფთა ქალაქია, ხალხიც კარ-

გია, თუმცა...

— თუმცა ზოგი უყურადღებოა, არა? — გავიცინე.

— ჰო!

— მაპატიეთ, ჩემი ბრალი არაა, თორემ... მარტო ხართ?

— მარტო ვარ.

— სასიამოვნოა!

— თქვენ მუშაობთ?

— ასე ვთქვათ!

— ალბათ, დრო არ გაქვთ?

გასაგები იყო მისი შეკითხვა და ვუთხარი:

— თუ ნებას დამრთავთ...

— მოხარული ვიქნები.

— გმადლობთ!

— ოღონდ შეიდი საათის შემდეგ...

გულზე ცაცხლი წამეკიდა. ტელეფონის ყურმილი დავდე, თვალები მიელავა და. საღამოს შეიდ საათზე... საღამოს შეიდ საათამდე დიდი დროა, მთელი სამი



საათი. შინ მისვლას მოვასწრებ, პერანგს გამოვიცვლი, გამოვკონტაქტდები და მივაკითხავ, მაგრამ ჯობს, ჯერ დავურეკო, გარეთ გამოვიყვანო... თეა შინ მარტოა, კარგამოკეტილი, რა ვუთხრა, სად მივდივარ-მეთქი. კინოში?... თეატრში?... წვეულებაში?... არა, ვერ ვეტყვი, გული დაწყდება, იჯავრებს! არ მეტყვის, სად მიდისარო, მაგრამ მარტო დატოვება გამიმძნელდება. შვილის ნახევარზე დავურეკავ, საქმეს შევჩივნი და შემაგვიანდება-მეთქი. სამუშაოს დამთავრებისთანავე ქუჩაში გავედი. შვილის ნახევარი იყო, ენერგიულობდი, გული უკან მეწეოდა და ვერ გადამეწევიტა, დამერეკა თუ არა სასტუმროში. ჭოჭმანში ნახევარი საათი გავიდა. მე ისევ ქუჩაში დავაბოტებდი, წუთებს ვითვლიდი და, რაც დრო გადიოდა, მით უფრო არ მინდოდა სასტუმროში დამერეკა. უნებლიეთ შევბრუნდი და შინისკენ გავემართე, მყისვე გულზე სიმძიმე მომეშვა. უმჯობესია მაღაზიაში შევივლი, რაღაც-რაღაცეებს ვიყიდი და თეას მივუტანი! გაუხარდება, იქნებ დაივიწყოს თავისი უბედურება. ჰო, მხოლოდ ეს მსურდა და სხვა არაფერი...



ტელეფონმა დაიწკრიალა, საძინებელში გავედი და ყურმილი ავიღე.

— გისმენთ!

— გამარჯობა, დავით!

ვიცანი, თინა იყო, გული დამიმძიმდა.

— გავიმარჯოს... ამ დილით როგორ გაგახსენდი?

— მე ყოველთვის მახსოვხარ!

დუმილი ჩამოვარდა.

— დავით!

— გისმენთ!

— დღეს რას აკეთებ?

— რა, რა უნდა გვაკეთო! — ტკეპნით ვუთხარი, სახეზე სიმშურვალე ვიგრძენი.

— საქმე მაქვს, გამოხვალ? — გამომწვევად მითხრა.

— ახლა ავდექი.

— მაშ...

— შემდეგ!

— მაინც?

— როცა მეტყვი.

— კარგი.

— მე... სამ საათზე.

— დროებით. — ისევ გამომწვევად მითხრა.

— კარგი.

— ჰო, დროებით.

ყურმილი დავდე, გული საგულეს არ მქონდა, ვიგრძენი, დღევანდელი სადილის იდილია ჩაიშალა. ვერ მოვიზრებ, თეასთვის რა შეთქვა, სამსახურში მიბარებენ-მეთქი? გონებაარეული შევედი მასთან, თუმცა ვცდილობდი, არ შეეტყო. არ უკითხავს, ვინ იყო, იქნებ გულზე კიდევ გაჰყენწლა ქალურმა ცნობისმოყვარეობამ, მაგრამ არ უკითხავს.

— სამსახურიდან დამირეკეს! — ვთქვი მე. თეა შეცბა, ალბათ, მასაც გულმა უაზრა, სადილის იდილია ჩაიშლებოდა, — სამ საათზე მივდივარ, — საათზე დავიხედე, — თორმეტის ნახევარია, ბაზარში წასვლას მოვასწრებ, — წარბი გავხსენი, მითხარი, რა ვიყიდი?

— ბაზარში სიარულს რომ არ ხარ ჩვეული?! — გაიცინა მან.

— შევეჩვევი!... რა ვიყიდი?



— რაც შენ გინდა!

ბაზარში ერთი საათი დაეყავი, ვიყიდე ქათამი, ტყემალი და მწვანელი გუნჯი, ვეულო იყო, ნაცნობებს ეცინებოდათ — მე და ბაზარი. ადვილი წარმოსადგენია, რა მდგომარეობაში ვიყავი, ხორავი ისე მიმქონდა, არ დაენახათ, რომ ბაზრიდან მოვდიოდი, გულზე მაწვა, თავი როგორ დამეჭირა, რომ არ ეგრძნოთ ჩემი გასაჭირი. ერთი შეხედვით, მოუქნელი, უპრინციპო ვჩანდი, თითქმის ვაჟკაცობისა არაფერი გამაჩნდა და სხვების ფეხის ხმას აყევი, მაგრამ ვიმეორებ, ერთი შეხედვით, თორემ ჩემს დღეში სხვისი ტკუის სწავლება ყურად არ მიმიღია, როგორც მინდოდა, ისე ვიქცეოდი.

კარი თუამ გამიღო, გამოცვლილი მეჩვენა, გახალისებული და მიმნდობი. ხორავი ჩამომართვა.

— მალე მოხვედი! — მითხრა მან.

— ჰო!

— წასვლამდე ისადილებ, თუ?... — დიდრონი თვალებით შემომხედა.

— მოასწრებ?

— კი!

— წასასვლელი ვარ! — ტანზე სიმხურვალე მომედო, შინ გაჩერება აღარ შემეძლო, — მალე მოვალ!

— ხუთზე?

— ჰო, ასე, ექვსზე მაინც. ღვინოს მოვიტან, თითო ჭიქა დაველით!

შევატყვე, ესიამოვნა.

— ღვინოს არ ჭვამ.

— ჩემი ხათრით, ერთ ჭიქას დალევ!

არ შემოუხედავს, მაგრამ ვიგრძენი, ჩვენს შორის გაიბა უხილავი ძაფი, რომელიც ერთმანეთისკენ გვეწეოდა და სულს გვიფორიაქებდა. კარებში რომ გავედო, თვალი დამატანა და მოიწყინა კიდეც, კინაღამ მივბრუნდი, მაგრამ ვიცოდი, შემოიფოლბდა, თინასთან შეხვედრა გადამავეწყდებოდა და ატყდებოდა ტელეფონის წკრაილ და საყვედურები. მივალ და ისე მოვიქცევი, მიხვდეს, მასთან შეხვედრა მაინცდამაინც აღარ მეხალისება... კიბეზე ჩავდიოდი და ვწერვიულობდი, რა ოხრობამ დაარეკინა თინას-მეთქი.

სადარბაზო კარებში მეზობელი ქალი შემხვდა, მომესალმა და, კიბეს რომ შეუყვავა, შეპარვით მითხრა.

— კარგი მეოჯახე ყოფილხარ, დავით!

რა მეთქვა, გავიცინე.

— ხომ არაფერია?

— არა, არა! — მიუგე და ქუჩაში გავედი.

შემთხვევით არ მკითხავდა, ალბათ, თუა დაინახა და, როგორც მეზობელს, ჩვევია, ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო. დღეს თუ ერთმა იცის, ხვალ მეორე გაიგებს, ზეგ კი მთელ ქალაქს ეცოლინება. ვინ მითანაგრძნობს, ვინ მიხვდება ჩემს კეთილშობილებას, გავილანძღვებით, თუას ისე არ გაამტყუნებენ, როგორც მე, ბებრუხანამ ბავშვი გააბრეყავო! ასე იტყვიან, მოდი და, თავი იმართლე.

სამ საათამდე დარეტიანებული დავაბოტებდი ქუჩებში. თინა მოედანთან დამხვდა, შეპარვით ელიმებოდა, ოდნავ დამცინავდაც. ალბათ, რაღაც გაგებული ჰქონდა, გული შემიქანდა, ქუჩაში არ დამიწყოს საყვედურები-მეთქი.

— იქნებ მოგაცდინე, სხვა საქმე გქონდა! — მეუბნება იგი.

ღიას, ასე მითხრა, იქნებ სხვას უნდა შეხვედროდი და მოგაცდინეო.

— არა! — მხრები შეეყარე.



- შენ... შენ ასეთი არ იყავი!
- ვერ ვიტყვი, როდის ვიყავი მისთვის კარგი...
- მუდამ ერთ გუნებაზე არავინაა! — ვუპასუხე მე.
- ღავით, ველარ გცნობ!
- ლოყებზე სიმხურვალე შემომენთო.
- გეჩვენება!
- ცდები!

ჩვენ არ ვცდებოდით, მხოლოდ ვთამაშობდით. სხვა დროს, სხვა შემთხვევა-ში ერთ-ორ თბილ სიტყვას ვეუბნებოდი და სალაპარაკო თემაც შეიცვლებოდა, მაგრამ ახლა ეს არ შემეძლო.

- ცუდად ხომ არ ხარ? — მეკითხება იგი.
- არა! — გავიცინე ნამალაღევად.
- იქნებ?... — ეჭვით შემომხედა.
- ოჰ, თუ ღმერთი გწამს, ნუ იტყვი!

ზედმეტი ქათინაურებია, არ მსურს მასთან გავლა და გათავდა, რაღას ვებო-დიშები! შევატყვე, მასაც აღარ ეხალისებოდა ჩემთან ყოფხა, თუ არ მიდიოდა, უბრალოდ, ქაღური ცნობისმიყვარების გამო — საბოლოოდ დარწმუნებულიყო ჩვენს ურთიერთობაში. ღიმილს აფრქვევდა, მაგრამ ეს ღიმილი ისე ყალბი იყო, როგორც ჩემი ღუმილი.

- დღეს კარგი ფილმი გაღის. — თქვა მან.
- ტანში გამცრა.
- ჰო, ამბობენ... ვერ მოვიცალე.
- დღეს რა საქმე გაქვს?
- ექვს საათზე ამხანაგებს ველოდები — ვიცრუე მე.
- სტუმარი გყავს?

— არა, ისე.

მან გამომწვევად გადმოხედა.

- მხოლოდ მამაკაცები?
- რა თქმა უნდა!
- არ მჯერა!
- ნამდვილად!
- ჰოდა, შენ...

— ხეაღ, ან ზევ წავიდეთ! — ოღონდ ახლა გაცეცლოდი მშვიდობიანად და მეტს აღარ შევხედებოდი, არა, ნამდვილად არ შევხედებოდი. ყველაფერი ეს მტა-რჯველი და აუტანელი იყო.

- ზედმეტი ვიქნები? — შემომამარა.
- არა, მაგრამ...
- მამაკაცები ხართ?

ასეთი სითამაშე ჩემთან ჯერ არ გამოუჩენია. ალბათ, იგი თავის მხრივ მარ-თალი იყო.

- მაშ, დღეს არ გცალია!
- არა!... ნუ მიწყენ, არ ვიცოდი, თუ ღამირეკავდი, თორემ...
- შენ ერთი ჭიქა ღვინო ყველაფერს გორჩენია.
- არ მიყვარს ჩამიება! — გავიცინე, რომ არ წყენოდა.

— ალბათ, თავს გაბეზრებ — გაჩერდა. — ღავით, უგუნებოდ გაპოიყურები, ლაპარაკით მოგაბეზრე თავი, წადი, — სახე დაუნაღვლიანდა, — მგონი, თვალიც



აუწყლიანდა, ასე მომეჩვენა, რადგან პირი მომარდა და ხელში ნაქარგი ცხვირსა  
ხოცი შეატრიალა, — როცა მოიცალო, დამირეკე.

— რა თქმა უნდა, მაგრამ ჯერ ვერ მოვიცლი.

— ცოდო ხარ, არ დაიღალო.. შორს მივდივარ, ნუ დაიზარებ გაცილებას!

— დაზარება რას მიქვია, — შემეცოდა, — ოღონდ საყვედურებს ნუ მეტყვი!

ცისფერი კაბა ეცვა, მკერდდახურული, მხრებამდე შეჭრილი თმა შვეწოდა.  
ცხვირი სწორი, ოდნავ ვრცელი ჰქონდა და მსუქანი ბაგეები — სველი. სახეზე  
სიცივე დაჰკრავდა, ახლა შევნიშნე, ტუჩის კუთხეში ნაოჭი გასდევდა.

— მოვედით. — თქვა და ჩემსკენ შემობრუნდა.

გამოვერკვიე.

— ასე მალე?

— გული დაგწყდა, არა?

— შორს მივდივარო და... ჰო, თუმცა სხვა დროს გავიაროთ, — მივუგე, რომ  
სხვა არაფერი მეთქვა.

— ნახვამდის!

ეს იყო ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა.

იგი უცებ შებრუნდა და სადარბაზო შესასვლელში მიიმალა. ეჩყობოდა, თავს  
ველარ ფლობდა, უმტყუნა ნებისყოფამ. ისეთი გულისტკივილი, სინანული ვიგრ-  
ძენი, მეგონა, სწორედ იგი მიყვარდა და სამუდამოდ დაგკარგე, მაგრამ ეს იყო  
უეცარი, წამიერი განცდა და გონს მაშინვე მოვეგე. ხუთი შესრულებულიყო. შინი-  
სკენ გავემართე და თვალწინ თვა მედგა. იგი, ალბათ, სამზარეულოში ფუსფუსებს,  
ცდილობს, რაც შეიძლება გემრიელი კერძი მოამზადოს და მასიამოვნოს. გონება-  
არეული მიეჩქაროდა შინ და ჩემზე ბედნიერი სხვა არავინ მეგულებოდა.



ოპერაციის შემდეგ.

მხატვარი ნიკოლოზ იაკოვენკო.





## „შენგან ანთებული ქინძილით...“

1915 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს ბუღ-ბული, აკაკი. მთელი ქვეყანა დასტიროდა მგოსანს. ყველგან გაისმოდა სევდიანი გულისშემძვრელი რეკივიმი. საერთო-სახალხო მგლოვიარე-ბამ მოიცვა მთელი საქართველო... საყვარელ მგოსანს გლოვობდა აჭა-რაც, აკაკი ხომ დაუცხრომლად იღვწოდა აჭარის საკეთილდღეოდ და-მას მხურვალე ურთიერთობა ჰქონდა მოწინავე პატრიოტ აჭარლებთან, მათ შორის, უპირველესად ქობულეთელ გულოლა კაიკაციშვილთან. აკაკის ხომ ილიასთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვის ბათუმში პი-რველი ქართული სკოლის დაარსებაში. ქვითინებდა უკვე ღრმად მოხუცებული გულო, ლოცვასავით რომ ბუბუნებდა აკაკის ტკბილ ლე-ქსებს... იგი სათავეში ჩაუყენეს დელეგაციას, აჭარიდან რომ გაიგზა-ვნა თბილისს მგოსნის დასაფლავების სამგლოვიარო ცერემონიაში მონაწილეობის მისაღებად. დიდი ქართველი პოეტის ცხედართან გუ-ლო კაიკაციშვილმა წარმოთქვა შთამავლებელი სიტყვა, რომელიც პირველად ა. წულაძემ 1915 წელს დაბეჭდა აღმანახში „მძური სატ-ყვა მუსლიმან ქართველებს“.

ნამდვილო ქართველო თავადო აკაკი!

ეს რაღაც სხვანაირი ამბავია! დღეს მოყრილია მიწელი საქართველოს ერი; სხვა ერებიც ბევრია მათ შორის და გარს ესხვევიან შენს კუბოს, თით-ქოს რაღაცას გეხვეწებიან: დარჩიო, ანუ გაბარებენ რამეს საქართველოს შესახებ წარსულ დიდ წინაპრებთან; მაგრამ არა მგონია, უენო ხარ, სუ-ლია ცოცხალი და უკვდავი, თორემ ენა და სხეული ვერ მიიღებს იმ შე-დარებას. არა, ვგონებ მისთვის არიან მოსულნი, რომ თაყვანი სცენ, ვითა ცხოველის მყოფელს შენს დიდებულ გვამს.

მეც ამათ რიცხვში ვურევევარ მოხუცებული, უძლური ქართველი ბუსლიმანი, გამოგზავნილი სამესხეთოს მხრიდან, იმ მხრიდან, რომე-ლიც სამას წელზე მეტია მოიტაცა მტერმა და მოაშორა საქართველოს. გამოიგზავნეს და დამავალეს, რომ მათ მაგიერადაც თაყვანი ვსცე შენს დიდებულ ცხედარს და თუ მოვახერხე, ორიოდ სიტყვა ვითხრა...

საქართველომ მუდამ მტერთან ბრძოლაში ატარა თავისი სიცოცხლე, თუ სპარსნი, თუ ოსმალნი და სხვა ერებიც ღვრიდნენ მათ სისხლს და აოხრებდნენ ქართველი ერის სადიდებელ ნაშთებს, და ამგვარად საქართ-ველოს ისტორია, ქართველთა ერის წამების ისტორია არის; მაგრამ წამე-ბულთა შორის განსხვავება არის. სამ მძაში, მტერთან ბრძოლის ღრის, მოხდება, რომ ორი მტრის ტყვიით განგმირული უკან მობრუნებულა,



წყლული მოურჩენია და ღარჩენილა თავის ოჯახში. მესამე კი სულ მტერს წაუყვანია ტყვეთ და ჩაუგდია განუწყვეტელ სატანჯველში, აი სწორედ ქართველმა ერმა, ოსმალეთთან მრავალ საუკუნის განმავლობაში ბრძოლის დროს, დაჰკარგა ერთი მისი ძმა — მხარე სამცხე-საათაბაგო, უპირველესი მისი მხარე, ის მხარე, სადაც იშვა უკვდავი შოთა რუსთაველი და მრავალნი მეგრძოლნი გმირნი და სამას წელზე მეტი იყო, რომ ეს დაკარგული ძმები ქართველებს თვალითაც აღარ უნახავს.

ბოლოს კი წარსულ რუს-ოსმალეთის ომის დროს მოხდა განგება და კვლავ შემოვიერთდით ჩვენს უფროს მოძმე ქართველებს და ვსუნთქავთ ქართველ ერთან ერთად... და ამ დროს, სამასი წლის შემდეგ, სადაც შევი-ნახეთ ქართული დედა-ენა, ჩვენც ველირსეთ დაგვენახა დიდებული აკაკი, სინათლე, რომელიც ვითარცა უკვდავ შენ აღუნთე ქართველ ერს; მაგრამ ჩვენი მხარე მეტად დაბნელებული იყო და ერთი სანთელით ვერ მოეფინება ყველგან სინათლე; და საჭიროა, რომ აქეთ უფრო მრავალი სანთელით შემოვიდნენ, და გევედრები, დაუბარე ამ შენებს, რომ ცალი თვალი და ერთი ხელით სანთელი ჩვენსკენ დაიჭირონ, გვინათონ და გვიპატრონონ, აღვადგინოთ ჩვენი დედა-ენა, გვიხსნან იმ გაჭირვებისაგან, რომელშიდაც ნამეტურ ახლა ვიმყოფებით.

აღარ შეგაჩუხებ. გაცხონოს ღმერთმან... და ვისურვებ, რომ შენფერი შვილი ბევრი გაჩენოდეს საქართველოს, განათლებულს შენგან ანთებული ჟინყლილით.



აკაკის ძეგლი ბათუმში — ოთარ წურჭავას ნახატი.



## კახაბერი

საქართველოს თანამედროვე აღმინისტრაციულ დაყოფაში კახაბერად იწოდება ხელგაჩაურის რაიონის ერთი სოფელი და მისივე სახელის სასოფლო საბჭო, რომელიც, გარდა კახაბრისა, აერთიანებს სოფლებს — ადღია, ანგისა, მინდა, თოდოგაური და მეჯინისწყალი. ეს ბათუმის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ტერიტორიაა, რომელსაც ჩრდილო-დასავლეთით ზღვა ეკვრის, სამხრეთ-დასავლეთით — ჭოროზი, სამხრეთ-აღმოსავლეთით — ხელგაჩაურის სასოფლო საბჭო, აღმოსავლეთით — ურეხის სასოფლო საბჭო, ხოლო ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით — ქალაქი ბათუმი.

ისტორიულად კახაბერი გაცილებით უფრო ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. არც მისი ფიზიკურ-გეოგრაფიული განვრცობაა ინტერესს მოკლებული — „ბათუმის კონცხიდან გონიოს ციხის ნანგრევებამდე“ (აღ. ჯავახიშვილი, საქართველოს გეოგრაფია, ტ. I, 1926, გვ. 15).

კახაბრის, ისე როგორც მთელი ჩვენი ზღვის სანაპირო ზოლის ათვისება, ადამიანს ჯერ კიდევ ადრე — „ახალი ქვის“ ხანამდე დაუწყია. ამ ეპოქის განვითარებული ეტაპი მრავალფეროვანი მასა-

ლებითაა გამოვლენილი მახვილაურის გორა-ნამოსახლარზე, რომელიც 1968 წელს აღმოჩნდა (ს. გოგიტიძე, ახალი ტიპის ქვის საწაფები მახვილაურის ნეოლითური ნამოსახლარიდან, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, VI, თბილისი, 1974, გვ. 4-5 და სხვ.).

მას შემდეგ ამ მხარეში დღემდე უწყვეტად გრძელდება ცხოვრება.

სხვადასხვა დროს კახაბერში კავკასიურ-იბერიული მოდგმის მრავალ ტომს უცხოვრია. ამ ტომთა ნაკვალევს გვამცნობს კახაბრის სუბსტრატული ტოპონიმია, ძველი ავტორები (ბერძენი, ლათინი და სხვ.) და ა. შ.

კახაბრის მხარეს, როგორც მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, არაერთხელ განუცდია ავბედობის სიმძიმე, მაგრამ იმის მსგავსი, რაც გვიან შუა საუკუნეებში გადაიტანა, არასოდეს უნახავს. ამის გამო ძლიერ შეთხელდა მისი მოსახლეობა (ზოგი მტერს შეაკვდა, სხვა — გაიხიზნა...). მოგვიანებით დაცარიელებულ ადგილებს ქურთი მომთაბარეები ეუფლებიან, კიდევ უფრო გვიან კახაბერში ვხედავთ მუჰაჯირ აფხაზებს და სხვებს.

ოსმალთა შემოსვლამდე კახაბ-



არის აზნაურულ სახლებში ცინცადენი მეწინაობდნენ შემდეგ ერთხანს — თავდგირიძენი, გვიან — შარვაშიძენი, ბოლოს — აბაშიძენი.

კახაბერი ეკლესიურად ადრე პეტრელი (ქაჯეთის ციხის) მღვდელმთავრის სამწყსოში ერთიანდებოდა, შემდეგ კი, როცა ამ საეპისკოპოსო კათედრამ ზინოს გადაინაცვლა, ეს მხარეც, როგორც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საკმაოდ დიდი ნაწილი (აჭისწყლიდან მოკიდებული ჭოროხამდე და მთელი ქვემო ხევიც) ზინოს ეპისკოპოსის სამრევლო იყო.

საგეოგრაფიო სახელი „კახაბერი“ ადამიანის საკუთარი სახელისაგან წარმოდგება. ეს კომპოზიტიური წარმოების ანთროპონიმი საკმაოდ ძველი და დასავლურ-ქართული წარმოშობის სახელია. უძველესი წერილობითი ძეგლი, რომელშიც იგი იხსენიება, ნიკორწმინდის განთქმული ტაძრის ხატის ჩარჩოს წარწერაა (XI ს.).

ეს სახელი მრავალ ქართულ ფეოდალურ სახლში იყო მიღებული. მათგან, ჯერჯერობით, უძველესია ბაღვაშთა ის შტო, რომელიც რაჭაში ერისთაობდა. ამ საგვარეულოში ეს პირველი კახაბერი (ერისთავთ-ერისთავ რატი ბაღვაშის ძე, შემდგომ ბერად შემდგარი კარილეს სახელით) იმდენად ღვაწლმოსილი აღმოჩნდა, რომ მისმა შთამომავლობამ წინაპრის სახელი საგვარეულო სახელად აქცია და კახაბერიძედ

იწოდა. ეს სახელი მოგვიანებით დასავლეთ საქართველოს სხვა ფეოდალურ საგვარეულოებშიც დამკვიდრდა — ვარდანძეებში, დადიანებში, უფრო გვიან კი სამხრეთ საქართველოშიც გავრცელდა. მათ შორისაა ჭოროხის ხეობის საკახაბერიძეც. ამ საგვარეულოს სამკვიდრო სოფელია კობალეთი (კირნათის სასოფლო საბჭო). რამდენიმე კომლი გვხვდება სხვაგანაც (სოფ. სიმონეთი, თხილნარის საბჭო, ქ. ბათუმი და ა. შ.).

კახაბერი ფეოდალურ საქართველოში საზოგადო სახელიც იყო და ისეთ კაცს აღნიშნავდა, რომელიც ყოველმხრივი სიკეთითა და სიქველით იყო მომადლებული. ამას დავით გურამიშვილის ბრწყინვალე სტრიქონებიც მოწმობს:

„მე, თუ გინდა, თავიც მომჭრან. ტანი გახდეს გასაბერად, ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად“.

ასეთივე პიროვნებას მიემართება ეს სახელი პოლიკარპე კაკაბაძის დიდებულ კომედიაში „კახაბერის ხმალი“.

კახაბერი მეტად თავისებური ფორმის საგეოგრაფიო სახელია. ანთროპონიმიური წარმომავლობის სხვა ტოპონიმთა კვალად, თითქოს ისიც საო აფიქსალური წარმოებისა უნდა ყოფილიყო (შდრ. საჯავახო, სავანტანგო და ა. შ.), მაგრამ იგი აქ რატომღაც ადამიანის საკუთარი სახელის ფორმითაა დამკვიდრებული.



ამ სახელწოდების უპველასი მოხსენება, ჯერჯერობით, XIX საუკუნის დამდეგს განეკუთვნება, ესაა 1804 წლის ერთი საინტერესო დოკუმენტი, რომელიც „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების“ II ტომშია შესული.

ძლიერ საინტერესოა, რომ აქ კახაბერი „სოფელს“ აღნიშნავს. სოციალური ტერმინი „სოფელი“ ძველ ქართულში რამდენიმე მნიშვნელობით იხმარებოდა, რომელთაგან ერთ-ერთი და შედარებით მოგვიანო ხანისა, იყო „ქვეყანა“.

„ქვეყანა“ ბევრნაირი იყო: სამეფო, სამთავრო, საუფლისწულო... 1804 წლის საბუთში ის „საუფლისწულოდ“ იწოდება, აკაკი წერეთლის „ახმედ-ფაშა კახაბერის“ ნეკროლოგში (1872 წ.) — „სამთავროდ“ და ა. შ.

არც XVIII საუკუნის დიდი ქართველი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი იხსენიებს „კახაბრის“ ქვეყანას და არც უფრო ძველი სხვა წყარო, მაგრამ საერთო ვითარებას თუ გავეთვალისწინებთ, ეს სახელწოდება XVI საუკუნის შუა ხანებიდან უნდა დამკვიდრებულიყო.

კახაბერი ამ მხარეში არაერთ გამოჩენილ პიროვნებას ერქვა, მაგრამ საგეოგრაფიო სახელად მისი ქცევა მაინც XVI საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე კახაბერს უნდა უკავშირდებოდეს.

თუ თქმულება-გადმოცემებს (ჭანურს (ლაზურს), კლარჯულს, ჭობულეთურს და სხვ.) ვერწმუნებით, ეს პიროვნება ოსმალთა პირველი მოძალების წინააღმდეგ მუშლწაუხრელი მებრძოლია. ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, იგი ყოფილა ქართველთა „ჯარის მეთაური“ ბათუმის 1519 წლის ბრძოლაში და გამარჯვებაც მოუპოვებია (მისი, აჭარის ისტორიის კონსპექტი, 1927, გვ. 7.).

1533 წელს ამავე პიროვნებას მონაწილეობა მიუღია ჯიქეთზე ლაშქრობაში (ხ. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, 1923, გვ. 10).

იგივე კახაბერი მტკიცედ ედგა მხარში იმერეთის მეფე შაგრატ III მურჯახეთის ბრძოლაშიც (1535 წ.) და მედგრად იბრძოდა XVI საუკუნის 40-იან წლებშიც. მაგრამ, როცა ქვეყანას საკახაბრო შინაგანი ძალა არ მოსდგამდა, გარეშე მტერმაც იმძლავრა და ჯერ ჭანეთი მოიტაცა, შემდეგ კახაბერი და სხვაც.

სახელისწერო მარცხს არ შერიგებია უკვდავი ქართული სული, კახაბრის სიმბოლურ სახეში რომ ინაკვეთებოდა, და დიდი სიძამადითაც გაარღვია დამპყრობთა მძიმე რკალი. ამ გზით მოიყარა თავი დაშლილმა ქვეყანამ და ისტორიული მიწა-წყლის ნაწილის დაბრუნებაც შეძლო...

იური სისარულიძე,  
პროფესორი.



საქართველოს  
საზოგადოებრივი  
მემორიალი



რესპუბლიკის სახალხო არტისტები იუსუფ კობალაძე (ოტელო) და  
პერაბ ზინიკაძე (იაზო).



ანზორ ზამბახიძე

## ისტორიის ფურცლები

ბათუმის თეატრი ასი წლისაა!

რადენ მრავლისმეტყველია ეს სიტყვები, რა ტევადი, რარიგ სასიხარულო და, ამავე დროს, დამაფიქრებელი!

ეს თარიღი გასულ 1979 წლის 20 ივლისს შესრულდა და, სავსებით კანონზომიერად, ფართოდ აღინიშნება, როგორც დედა-სამშობლოსთან დაბრუნებული აჭარის განვითარების უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტი.

როგორც ცნობილია, სამასი წლის მანძილზე ოსმალთა დამპყრობთა მიერ მითაცებული აჭარის საქართველოსთან შეერთება უაღრესად დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. გულში ჩამწვდომად გაისმა ილიას, აკაკის, იაკობ გოგებაშვილის, ივანე მაჩაბლის, ნიკო ნიკოლაძის, სერგეი მესხისა და სხვათა მოწოდება — დასმარების ძმური ხელი გაეწოდებინათ აჭარისათვის, ყოველმხრივ შეეწყუთ ხელი ახლად შემოერთებულ ქართველებში ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის. ერის თავკაცებს აუცილებლად მიანდათ ბათუმისა და აჭარის დაბა-სოფლებში ქართული სკოლების გახსნა, ხალხისათვის წერა-კითხვის სწავლება, ქართული წიგნების გავრცელება, ქართული წარმოდგენების გამართვა.

ნიშანდობლივია, რომ ჯერ კიდევ პირველი ქართული სკოლის გახსნამდე, 1879 წლის 8 ივლისს (ძველი სტილით), როცა განთავისუფლებიდან ერთი წელიც არ იყო გასული, მაშინდელ ბათუმში ყველა კულტურული წამოწყების მოთავეს — ქეთევან შურულის ინ-

იციატივით, წარმოდგენილ იქნა ზურაბ ანტონოვის კომედია „განა ბიძიამ ცოლი შეირთო?“

ჩვენი ეროვნული კულტურის ისტორიის ეს ფრიად ღირსსახსოვარი ფაქტი დაემთხვა ქართული პროფესიული თეატრის აღორძინებას, 1879 წლის ივნისში დასი აღსდგა. მასში თავი მოიყარეს ჩვენი სცენის საუკეთესო ძალებმა: ნატო გაბუნია-ცაგარელმა, მაკო საფაროვ-აბაშიძემ, ვასო აბაშიძემ, კოტე მესხმა, კოტე ყიფიანმა და სხვებმა. დასმა პირველი სეზონი თბილისში პირველ სექტემბერს გახსნა. მანამდე კი გახტროლში მოაწყო საქართველოს ქალაქებში და გორში, ქუთაისსა და ფოთში გამოსვლების შენდება. ბათუმს ეწვია, ახლად აღდგენილი ქართული თეატრის მსახიობი, შემდგომ ცნობილი დრამატურგი აქესენტი ცაგარელი ბათუმში იმ პირველ სტუმრობაზე წერდა:

„ჩამოვხტით ზღვისპირას, ერთ სასტუმროში, დამოყნის პირდაპირ. აჰ სასტუმროს, მგონია „როსია“ ერქვა. მალე მოსვლისთანავე, ჩვენთან მოიყარა თავი ქართველმა საზოგადოებამ. ესენი ბრძანდებოდნენ რამდენიმე ქართველი მოხალე, სხვადასხვა სამსახურის მოხელენი და ქართველი ოფიცრობა. იმჟამად ბათუმში რამდენიმე ქართველი ეპარობდა. ქართველ ოჯახებს მაშინ ბათუმში მეთაურობდა პატივცემულ ღურმისხან შურულის ოჯახი... დარბაისელი ქეთევან შურულისა არაფერს არ ზოგავდა დასახმარებლად. ჩვენი საქმე გაჩაჩხული იყო. წარმოდგენისათვის ზალაც მოვაწყვეთ, ბილეთებს იტაცებდნენ. ქარ-



თველი საზოგადოების გარდა უცხოელ-  
ლებიც, მეტადრე ქართველი მაჰმადიან-  
ები ბევრი დადიოდა“.

ქართული დასის სექტაკლებმა გან-  
საკუთრებით ღრმა შთაბეჭდილება და-  
ტოვა ქართველ მაჰმადიანებზე. მათ სა-  
შუალება მიეცათ გაცნობოდნენ ქართ-  
ველი ხალხის კულტურულ მაჩისებებს,  
ქართველი ინტელიგენციის მეწინავე ნა-  
წილის შეხედულებებს ეროვნული პო-  
ლიტიკისა და სხვა მნიშვნელოვან საკი-  
თებზე.

ასე გაცოცხლდა ძველი სანახაობითი  
კულტურის ტრადიციები ჩვენს მხარე-  
ში. გაიბა შინაგანი კავშირი, რომელიც,  
კაცმა რომ თქვას, მიუხედავად ძნელბე-  
დობისა, არც გაწყვეტილა... დიახ, შე-  
საძლრა ხათეატრო საქმემ აქ იმიტომაც  
შოიდა ფეხი ერთბაშად, რომ ეს და-  
საწყისი კი არა, აღდგენა, აღორძინება  
უფრო იყო. განა ქეთევან ჟურულის პი-  
რველ სცენისმოყვარეთა წრის წინა-  
მორბედად არ გვევლინება ბათუმიდან  
12 კილომეტრზე მდებარე აფხარუნტ-გო-  
ნიოს უძველესი თეატრონი?

1882 წლის დამდეგს იმავე ქ. ჟურუ-  
ლის თაოსნობით შეიქმნა სცენისმოყ-  
ვარეთა წრე, რომელსაც ერთი თუ ორი  
წარმოდგენა გაუმართავს და შემოსავა-  
ლი მთლიანად ქართული სკოლის შესა-  
ნახ ფონდში გადაურიცხავს. შემოსავა-  
ლი კი საკმაოდ ხელშესახები ყოფილა,  
რაკი მოსახლეობა ინტერესით და თანა-  
გრძნობით შეხვდა როგორც წარმოდგე-  
ნას და მის მიზანს, ისე, საერთოდ, თვით  
იდეას ბათუმში ქართული დასის არ-  
სებობისა.

მოპოვებულმა წარმატებამ ქეთევან  
ჟურულს და მის თანამოაზრეებს გაღა-  
აწყვეტინა სისტემატური მუშაობა გაე-  
ჩაღებინათ. და იმავე 1882 წლის დეკა-  
მბრის მიწურულს, ამ დაულალავი, ქვე-  
ლმოქმედი მანდილოსნის მეცადინეო-  
ბით ჩამოყალიბდა „მუდმივ სცენისმო-  
ყვარეთა წრე“, რომლის მთელი შემო-  
სავალი ისევ წერა-კითხვის გამავრცე-

ლებელი საზოგადოების სკოლას უნდა  
მოხმარებოდა.


მალე ამ წრეს შეუერთდა ბათუმში საზოგადო-  
მხედრო სამსახურში გამწესებული ახა-  
ლგაზრდა ოფიცერი დავით კლდიაშვი-  
ლი, შემდგომ გამოჩენილი მწერალი,  
რომელიც ბათუმში გატარებული 26  
წლის მანძილზე, მუდამ გულმხურვალედ  
მონაწილეობდა თეატრალურ ცხოვრე-  
ბაში, როგორც მსახიობი, რეჟისორი,  
ორგანიზატორი, კონსულტანტი.

ახლადშექმნილი წრის პირველი სპე-  
ქტაკლი — გიორგი ერისთავის კომედია  
„გაყრა“, რომელშიც დ. კლდიაშვილი  
გაბრიელის როლს ასრულებდა (როგორც  
თვითონ წერს, საკმაოდ სუსტად და ამი-  
ტომ შემდგომ ხელი აუღია მსახიობობა-  
ზე), გაიმართა 1883 წლის 21 თებერ-  
ვალს. წრემ 90-იან წლებამდე იარსება  
და დროგამოშვებით მკურებელს უჩვენ-  
ებდა როგორც ქართულ ორიგინალურ,  
ისე ნათარგმნ პიესებს, მათ შორის მო-  
ლიერის „ძალად ექიმს“. წარმოდგენები  
იზარტებოდა ქართული სკოლის დარბა-  
ზში, რომელიც სულ 120 კაცს იტევდა.

სათეატრო შენობის საკითხი ნწავედ  
დაიხვა, მით უფრო, რომ ქართველ სცე-  
ნისმოყვარეთა გარდა წარმოდგენებს მა-  
რთავდნენ ბათუმში მცხოვრები სხვა  
ეროვნებათა წარმომადგენლები: რუსე-  
ბი, სომხები, უკრაინელები, ამასთან  
სულ უფრო ხშირად ჩამოდიოდნენ საგა-  
სტროლოდ ქართული და რუსული პრო-  
ფესიული დასები. ეს საქმეც მოგვარდა  
1891 წელს.

ახლანდელ ბარათაშვილის ქუჩაზე, ცი-  
რკის შენობის ადგილას, რკინეულობით  
მოვაჭრე ფრანგ მარშოს ჰქონდა უზარ-  
მაზარი საწყობი ეზოთი. ჩამოსული  
რუსული დასის ანტრეპრენიორმა ტომ-  
სკიმ იჭარით აიღო იგი და, მაშინდელი  
მოთხოვნების კვალობაზე, საკმაოდ კარგ  
თეატრად გადააკეთა. დარბაზში 850 და-  
საჯდომი ადგილი იყო. შემდგომ იგი კი-  
დეც უფრო კეთილმოაწყობ ბათუმელმა  
ადვოკატმა იურკევიჩმა. ასე გაჩნდა ბა-  
თუმის ცნობილი „რკინის თეატრი“, რომ  
მელსაც ეს სახელი იმიტომ დაერქვა, რომ





მის ადგილზე ადრე რკინეულობის საწ-  
ყოლი იყო, იგი სამ ათეულ წელიწადს  
ემსახურებოდა ბათუმელებს. შმავესკის  
თეატრის (ახლანდელი საქალაქო კულტ-  
ურის სახლი) აგებამდე აქ მართავდნენ  
სპექტაკლებს როგორც ადგილობრივი  
სცენისმოყვარენი, ისე საგასტროლოდ  
ჩამოსული დასები. ბარემ ისიც გავიხ-  
სენათ, რომ 1924 წლის დეკემბერში  
„რკინის თეატრი“ თოვლმა ჩაანგრია,  
მისი რესტავრაცია საქალაქო საბჭოს  
აღმასკომმა მიწანშეწონილად არ სცნო  
და აქ აშენდა ცირკის შენობა.

„რკინის თეატრში“ მართავდა წარმო-  
დგენებს ქართული დრამატული წრე,  
რომელსაც 1880 წლიდან, დავით კლდი-  
შვილთან ერთად, ხელმძღვანელობდა  
სტეფანე ხარაზიშვილი.

სწორედ სტეფანე ხარაზიშვილის,  
თეატრის ამ დაუღალავი ენთუზიასტის  
დამსახურება იყო, რომ წრე მრავალ-  
ჩიტიზაციის, საქმოდ ძლიერი გახდა,  
წარმოდგენების გამართვასაც რეგუ-  
ლარული ხასიათი მიეცა.

რეპერტუარში იყო აკაკის „პატარა  
კახა“, გიორგი ერისთავის კომედიები,  
აქსენტი ცაგარლის „რაც გინახავს, ვე-  
ღარ ნახავ“, „ხანუმა“, „ციმბირელი“,  
„ლევის ქალი გულჯავარ“, „ქართველი  
ღვლა“, ალექსანდრე ყაზბეგის „ქეთევან  
წამებული“, „არსენა“, ვალერიან გუ-  
შაძის „და-ძმა“, „აღლემი“, გაბრიელ  
სუნდუკიანის „პეპო“, ვოდვეილები.

წარმოდგენებს დიდძალი მაყურებელი  
მსწრებოდა. მაგრამ, რაკი ძირითად  
კონტინენტს მუშები, მოსწავლეები,  
ინტელიგენცია შეადგენდა (ბურჟუა-  
ზია თეატრს „არ სწყალობდა“) და,  
ამის გამო, ბილეთები იაფად იყიდებო-  
და, შემოსავალი იმდენად მცირე იყო,  
რომ ხარჯებს ძლივს ფარავდა. სცენის-  
მოყვარენი, რა თქმა უნდა, უსასყიდ-  
ლოდ მუშაობდნენ. თუკი წარმოდგე-  
ნიდან რაიმე თანხა დარჩებოდა, ეს სა-  
ქველმოქმედო და კულტურულ წამო-  
წყობებს ხმარდებოდა. ამ წრემ თითქმის  
15 წელი იმუშავა და დიდად შეუწყო

ხელი ჩვენს ქალაქში ქართული კულ-  
ტურის მტკიცედ დამკვიდრებას.

ჩვენი საუკუნის დამღეგს, როგორც  
ცნობილია, ბათუმში მანათასმდე  
ცხოვრები იყო და იგი ამიერკავკასიის  
ერთ-ერთ მსხვილ სამრეწველო ცენტ-  
რად ითვლებოდა. ქალაქის სოციალურ-  
პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი ცვლი-  
ლებები მოხდა. მუშათა კლასი სერიო-  
ზულ ძალად ჩამოყალიბდა. რევო-  
ლუციური მოძრაობის გაძლიერების, მუ-  
შების პოლიტიკურ გათვითცნობიერე-  
ბას, ბუნებრივია, მოჰყვა კულტურული  
დონის ამაღლებაც. გაძლიერდა ლტოლ-  
ვა სულიერი ფასეულობებისადმი. პრო-  
გრესულმა მოღვაწეებმა, იმთავითვე,  
თეატრი მუშათა რევოლუციური სული-  
სკვეთებით აღზრდის საშუალებად მი-  
იჩნიეს. ამ თვალსაზრისით საგულისხ-  
მოა ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონ-  
და 1902 წლის 19 ივლისს. ამ დღეს  
ბათუმელმა მუშებმა ქარხნების მეპა-  
ტრონებს წარუდგინეს მოთხოვნები,  
რომლებიც რეალურად საშუალო დღეს-  
თან, ბავშვების უფასო სწავლების შე-  
მოღუბასთან ერთად თეატრის გახსნა-  
საც ითვალისწინებდა.

უკვე 1901 წელს, თბილისის მუშათა  
დრამატული წრის, ეგრეთ წოდებული  
„ავტალის აუდიტორიის“ მსგავსად,  
ბათუმშიც შეიქმნა მუშათა დრამატული  
წრე, რომლის თაოსანი და პირველი  
რეჟისორი იყო მუშა მოსე წეროძე.  
წრის მიზანი იყო მუშებისათვის, საერ-  
თოდ, ქალაქის მოსახლეობის დემოკრა-  
ტიული ნაწილისათვის უფასო წარმო-  
დგენების გამართვა სოციალური უთა-  
ნასწორობის წინააღმდეგ ბრძოლის ამ-  
სახეელი ნაწარმოებებით, ხოლო ფა-  
სიანი წარმოდგენებისა — პოლიტიკური  
პატიმრების, გადასახლებულთა და მა-  
თი ოჯახების დასახმარებლად. აღსა-  
ნიშნავია ისიც, რომ წრეს უშუალოდ  
ხელმძღვანელობდა რსდმპ ბათუმის კო-  
მიტეტი.

1904 წელს დავით კლდიაშვილისა და  
სტეფანე ხარაზიშვილის ხელმძღვანელო-  
ბით მოქმედი სცენისმოყვარე ინტელი-



გენტო წრის დაშლის შემდეგ, მისი ბევრი გამოცდილი წევრი მუშათა დრამატულ კოლექტივს შეუერთდა. ესენი იყვნენ: პელაგია სიხარულიძე, დარიკო აღხანიშვილი, ოლია ბახტურიძე, ბარბარე ავალიშვილი, ნესტორ კალანდარიშვილი, შემდგომ საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი მარიამ ლოლუა და სხვები. გადახალისებულმა მუშათა თეატრმა წარმოდგენების გამართვა „რკინის თეატრში“ დაიწყო, უკვე მთავრობის ნებართვით. ხელმძღვანელებად პროფესიონალები იწვევდნენ. რამდენიმე სექტაკლის დაღმა განახორციელა წრეში შალვა დადიანმა, 1905-1907 წლებში კი მას სათავეში ედგა ალექსანდრე წუწუნავა. არსებითად ეს იყო ბათუმში პროფესიული თეატრის დაარსების მეორე ცდა, რომელიც, ისე როგორც პირველი (მოდინის წლების დამდეგს), წარუმატებლად დასრულდა. მიუხედავად ამისა, ბათუმის მუშათა თეატრმა დიდი როლი შეასრულა ჩვენს ქალაქში სათეატრო საქმის მკვიდრ ნიადაგზე დაყენებაში.

ბათუმელთა მომსახურებაში, მათი თეატრალური გემოვნების ჩამოყალიბებაში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქუთაისის თეატრმა, რომელიც სისტემატურად ჩამოდიოდა ბათუმში სავსტროლოდ. ქუთაისის თეატრს კი მაშინ ხელმძღვანელობდა ჩვენი სცენის სიამაყე ლადო მესხიშვილი.

1912 წლის 15 სექტემბერი, ეს თარიღი ბათუმის თეატრის ისტორიაში ისევე დიდმნიშვნელოვანია, როგორც 1879 წლის 8 ივლისი — სცენისმოყვარეთა პირველი წარმოდგენის გამართვის დღე და 1937 წლის 18 მარტი — მუდმივი თეატრის გახსნის დღე! მხედველობაში გვაქვს „მოგზაური დასის“ პირველი წარმოდგენა, ეს იყო მესამე ცდა ბათუმში პროფესიული თეატრის დაარსებისა. ცდა, რომელიც წარმატებით დაგვირგვინდა და, ცხადია, დიდი როლი შეასრულა ჩვენს ქალაქში თეატრალური ხელოვნების განვითარებაში. ეს საშვილო-შვილო საქმე დაკავშირებულია გამოჩე-

ნილი მწერლისა და მრავალმხრივი თეატრალური მოღვაწის შალვა დადიანის სახელთან. ამ ფაქტს თანამედროვე მშვენივრად გრძნობდნენ და აფასებდნენ. მით უფრო, რომ „მოგზაური დასის“ დაშლის შემდეგაც (მისი ერთადერთი სეზონი გაგრძელდა 1913 წლის 24 თებერვლამდე) შალვა დადიანი ბათუმში დარჩა და, როგორც რეჟისორმა და მსახიობმა, მუშაობა განაგრძო ივანე მესხის ხელმძღვანელობით დაარსებული დრამატული საზოგადოების დასში.

მომდევნო წლებში, პირველი მსოფლიო ომის თუ უსახსრობის მიუხედავად, თეატრი ხან წყვეტდა მუშაობას, ხან განახლებდა სოფელში. სხვადასხვა დროს წრეები შექმნეს ანდრონიკე ჯაყელმა, ალექსანდრე წუწუნავამ, კონსტანტინე ანდრონიკაშვილმა, ვალერიან შალიკაშვილმა.

1918 წლიდან, როცა ბათუმს ჰერ თურქეთი და გერმანია, ხოლო შემდეგ ინგლისი დაეპატრონენ, თეატრი ვიღას ახსოვდა! პორტო-ფრანკოდ გამოცხადებულ ქალაქში კულტურული ცხოვრება, ფაქტობრივად, ჩამკვდარი იყო. 1920 წლის ივლისში, ჩამოყალიბდა „სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე“, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ვასო ურუშაძე. მაგრამ იგი კანტიკუნტად თუ ახერხებდა წარმოდგენების გამართვას. ამიტომაც წერდა „ბათუმის ფურცელი“, „ბათუმი საქართველოს ერთ-ერთი დიდი ქალაქია და აქ თეატრის არსებობა მუდმივი უნდა გავხადოთ“.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე დღეებში ბათუმის რევკომმა სავანგებო ყურადღება დაუთმო ხელოვნებას, კერძოდ, თეატრს. 1921 წლის 24 მარტს, რევკომმა განიხილა სათეატრო შენობების ნაციონალიზაციის ამ შენობებში დაბანაკებული ჯარის ნაწილისაგან მათი განთავისუფლების დაფინანსებისა და სხვა საკითხები. სერგო ქავთარაძე მიუთითებდა: „საოლქო კომისარიატთან არსებული ხელოვნების განყოფილება მოვალეა, რაც შეიძლება მალე გაშალოს მუშაობა ბათუმის თე-





ტრალურ-შატვრულ ცხოვრებაში“. ხე-  
ლოვნების განყოფილებასთან შეიქმნა  
დარგობრივი სექციები. თეატრალური  
სექციის გამგედ დაინიშნა მსახიობი მი-  
ხეილ გელოვანი. სათეატრო შენობები  
განთავისუფლდა ჯარის ნაწილისაგან  
და ერთი მათგანი, ყოფილი შმავესკის  
თეატრი, გადაეცა ქართულ დრამატულ  
დასს, რომელშიც, გაზეთი „უწყებების“  
ცნობით, ჩარიცხეს მარო მდივანი, ნი-  
ნო ჭავჭავაძე, ალექსანდრა დარჩა-  
ვარნელი, ემანუელ აფხაძე, შალვა ბე-  
ჟუაშვილი, აკაკი ვასაძე, კირილე მაქა-  
რაძე, გიორგი შურულის, შალვა ღამბა-  
შიძე, აკაკი ჭავჭავაძე, დავით მგალო-  
ბლიშვილი და სხვები. რეჟისორები —  
ალექსანდრე ყალაბეგიშვილი და ალექ-  
სანდრე გუგუშვილი, თეატრის კომისა-  
რი — ვასო ურუშაძე.

ბათუმის საბჭოთა თეატრის ისტორია  
დაიწყო 1921 წლის პირველ აპრილს, იმ  
დღეს დასმა პირველ სპექტაკლად უჩვე-  
ნა ოქტავე მირბოს დრამა „უანი და მად-  
ლენა“. პირველ წარმოდგენაზე, რეჟიო-  
ნის ვანკარგულეობით, შესვლა უფასო  
იყო. ეს პირველი, საგაზაფხულო სეზო-  
ნი 15 ივნისამდე გაგრძელდა. ერთ-ერთ  
სპექტაკლში, კერძოდ, ვალერიან შალი-  
კაშვილის „გადატრიალ მუხაში“ მონაწი-  
ლეობა მიიღო რუსთაველის თეატრის  
მსახიობმა, წარმოშობით ბათუმელმა  
გიორგი დავითაშვილმა.

აქვე უნდა აღინიშნოს ცხრაასიანი  
წლების მოსკოვის სამხატვრო თეატრის  
რეჟისორის, 1928 წელს მოსკოვის ქარ-  
თული დრამატული სტუდიის დამაარსე-  
ბლის, ქეთევან შურულის პირველი სცე-  
ნისმოყვარული წარმოდგენის მონაწი-  
ლის ლევან მჭედლიშვილის ვაჟის ვახ-  
ტანგ მჭედლიშვილის და ასევე ბათუმის  
მკუდრი, მეიერჰოლდის თეატრის რე-  
ჟისორის გიორგი შურულის აქტიური  
მონაწილეობა ამ პერიოდის ბათუმის  
თეატრალურ ცხოვრებაში.

ადგილობრივი ხელისუფლება იმათი-  
თვე ზრუნავდა თეატრისათვის მტკიცე  
საფუძვლის შესაქმნელად. ამ გზაზე გა-  
დადგმული პირველი ნაბიჯი იყო 1924

წელს გახსნილი დრამატული სტუდია  
მიხეილ ქორელის ხელმძღვანელობით.  
1926-28 წლებში ორი ჩინებული სე-  
ზონი გაიმართა აკაკი ფალავას მეთაუ-  
რობით. ამ წლებში ბათუმის დასს შეე-  
მატნენ ვერიკო ანჯაფარიძე, მარო მეს-  
ხიშვილი, რეჟისორი ნიკო გოძიაშვილი.  
დიდი წარმატებით დაიდგა ლოტარის  
დრამა „მეფე არლეკინი“, ბ. ლავრენი-  
ოვის „რღვევა“, შ. დადიანის „გუშინ-  
დენი“, მ. ჭავჭავაძის „კვაჭი კვა-  
ჭანტირაძის“ ინსცენირება.

მომდევნო ორი სეზონის განმავლობა-  
ში კი, როგორც ცნობილია, ბათუმელ  
მეყურებელს ემსახურებოდა კოტე მარ-  
ჯანიშვილის მიერ შექმნილი ქუთაის-  
ბათუმის თეატრი და მაშინდელ ბათუ-  
მელებს ბედნიერება ჰქონდათ დამტკ-  
ბარიყვნენ მისი ბრწყინვალე სპექტაკ-  
ლებით.

1930-31 წლების სეზონში შედგენილ  
დასში, რომლის ხელმძღვანელად გამო-  
ღვინაშვილი მოიწვიეს, გამოჩნდა პირ-  
ველი აქარელი მსახიობი. ეს იყო ამაჟ-  
მად საქართველოს სახალხო არტისტი  
იუსუფ კობლაძე.

მომდევნო სეზონში სამხატვრო ხელ-  
მძღვანელის შერჩევა გაძნელდა. ამ სიძ-  
ნელიდან ბათუმის თეატრი ისევ უკვე  
თბილისში გადასულმა ყოფილმა ქუ-  
თაის-ბათუმის თეატრმა გამოიყვანა:  
იგი დათანხმდა დახმარება გაეწია ბა-  
თუმის თეატრისათვის და აფიშებსა და  
პროგრამებზე გაჩნდა წარწერა — „აქა-  
რისტანის სახელმწიფო დრამა სახალხო  
არტისტის კოტე მარჯანიშვილის თეატ-  
რის ხელმძღვანელობით“. სეზონის გან-  
მავლობაში ამ დასმა მეყურებლებს უჩ-  
ვენა მარჯანიშვილის თეატრის რეჟისო-  
რების ნიკო გოძიაშვილისა და დოდო  
ანთაძის მიერ მარჯანიშვილის გეგმით  
განხორციელებული ხუთი დადგმა,  
მათ შორის კარლო კალაძის დრამა „ხა-  
ტიჯე“.

როგორც ვხედავთ, საბჭოთა ხელისუ-  
ფლების პირველ ათწლეულში ბათუმის  
თეატრალური ცხოვრება საქმაოდ ინტე-  
ნისიური იყო, მაგრამ ესეცა: შემოქმე-



დებიტის მუშაობას არ ჰქონდა მთლიანობა, სტაბილურობა. ამის მიზეზი კი საკუთარი კადრების არყოლა იყო. დასი სისტემატურად იცვლებოდა, იცვლებოდნენ ხელმძღვანელებიც, რაც აფერხებდა ერთიანი შემოქმედებითი სახის ჩამოყალიბებას, სარეპერტუარო პოლიტიკის უფრო გამიზნულად წარმართვას.

მუდმივმოქმედი პროფესიული თეატრის დარსება ყოველთვის იყო აჭარის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის დაუცხრომელი ზრუნვის საგანი. და, აი, 1932 წელს რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, გამოჩენილმა ქართველმა რეჟისორმა სანდრო ახმეტელმა ითავა ბათუმის თეატრისათვის მსახიობთა მომზადება. შეარჩიეს და თეატრის სტუდიასთან შექმნილ „აქართულ სექციაში“ ჩარიცხეს ოცზე მეტი ახალგაზრდა. ამავე დროს ისინი რუსთაველის თეატრის მსახიობებად ითვლებოდნენ და, თეორიულ ცოდნასთან ერთად, იღებდნენ პრაქტიკული მუშაობის ჩვევებს ქართული სცენის გამოჩენილი ოსტატების მხარდაშპარ.

ამ დროს კი, 1934 წელს, ბათუმში კომკავშირის ინიციატივით ჩამოყალიბდა მუშა-ახალგაზრდობის თეატრი. პირველ დადგმად მან მაყურებელს უჩვენა შალვა დადიანისა და თეატრის ხელმძღვანელის შოთა მანაგაძის პიესა „ჩვენი ქვეყნის ქალიშვილები“, დაწერილი აჭარისწყლის პილდროფეტროსადგურის მშენებლობის თემაზე. იმავე წელს შოთა მანაგაძე შეცვალა ახალგაზრდა რეჟისორმა შალვა ინასარიძემ, რომელიც მოსკოვის თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დაუბრუნდა მშობლიურ ქალაქს და, აქედან მოკიდებული, მთელი ორმოცი წლის მანძილზე, დაუღალავად ემსახურებოდა ბათუმში სათეატრო საქმის აღმავლობას.

„აქართული სექციის“ სადიპლომო სპექტაკლის პრემიერა თბილისში გაიმართა 1936 წლის 5 აპრილს. ეს იყო გოლდონის კომედია „სასტუმროს დიასახ-

ლისი“. დადგმა განახორციელა დიმიტრი ალექსიძემ, რომლისთვისაც ეს პირველი ხათლობა იყო ქართულ სცენაზე. „სასტუმროს დიასახლისი“ დაიწყო ბათუმის ახალი თეატრის ბრწყინვალე ისტორია“, წერს ამასწინათ გამოცემულ წიგნში „ბათუმის თეატრი“ ქართული თეატრის ცნობილი მკვლევარი გრიგოლ ბუნსიაშვილი.

დიმიტრი ალექსიძის ხელმძღვანელობით მომზადდა სტუდიელთა მეორე ნაშუშევარიც — გიორგი მდივნის დრამა „ბრმა“ (მხატვარი — დიმიტრი თავაძე, სუბიკა — ივანე გოკიელისა). ეს ნაშუშევარი სუთჯერ დიდი წარმატებით წარმოადგინეს რუსთაველის თეატრის სცენაზე, 1937 წლის 18 მარტს კი „ბრმიტვე“ გაიხსნა პირველი სეზონი ბათუმში. პრემიერამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებელზე. ეს გამარჯვება იყო!

„18 მარტი, აჭარაში საბჭოთა ხელოვნულების დამყარების დღე, წერდა „ახალგაზრდა კომუნისტი“, წელს სხვა მრავალ გამარჯვებასთან ერთად, აღინიშნა ბათუმში სახელმწიფო თეატრის გახსნით. საღამოს 9 საათზე თეატრის შენობა აივსო საუბიშო გახსნაზე დასახურებად მოწვეული სტუმრებით. აქ იყვნენ ჩაის პლანტაციების და ციტრუსების სტახანოვლები, ნავთის გადამამუშავებელი ქარხნის საუკეთესო ადამიანები, ნავსადგურის წარჩინებული მუშები, სახელოვანი რკინიგზელები, მეცნიერ-მუშაკები, მოწაფეები და ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრიდან ჩამოსული სტუმრები. დამთავრდა საუბიშო ნაწილი. გაიხსნა ზარის ხმა. დარბაზში ჩაქრა სინათლე. აჭარის სახელმწიფო თეატრში გაიხსნა პირველი აჭარელი მსახიობების ხმები.. ასე დაიწყო პირველი სეზონი“.

ქეთევან შურულის პირველი სცენის-მოყვარული წარმოდგენიდან 58 წელი სრულდებოდა..

ნუცა ფსაკაძე, ნუნუ თეთრაძე, ლილი აფხაზვა, იუსუფ კობაღაძე, მერაბ ხინიკაძე, ზორბეგ ლლონტი, ხასან მე-



რელიქიე, ალექსანდრე სარჯველაძე, ედ-  
ნარ შაძილაძე, ესედ ცივაძე, ისკენდერ  
კაიკაციშვილი, სულეიმან თურმანიძე,  
გიორგი ახვლედიანი, აკაკი შკელაძე,  
მიხეილ წიგნაძე... აი, ის მსახიობები  
რომელთაც სანდრო ახმეტელის, აკაკი  
ვასაძის, აკაკი ხორავას, შოთა აღსაბაძის,  
დიმიტრი ალექსიძის ხელმძღვანელობით  
ვაიარეს აქტიურული ოსტატობის სკო-  
ლა და პირველ მერცხლებად მოველინენ  
ბათუმის ახალ თეატრს. მათ შეუერთდ-  
ნენ ალექსანდრა გარნელი-დარჩია, მე-  
დეა ქორელი, მარგარიტა ქილარაშვი-  
ლი, შალვა ბეჟუაშვილი, კოწო დო-  
ლონაძე და ბუხუტი ზაქარიაძე.

თეატრის პირველ სამხატვრო ხელმძ-  
ღვანელად დანიშნა არჩილ ჩხარტი-  
შვილი, რეჟისორად — შალვა ინახარიძე,  
რეჟისორ-ოპერატორად — შალვა ხომე-  
რიკი.

მას შემდეგ 43 წელი გავიდა.

ამ წლის მანძილზე ბათუმის სახელმ-  
წიფო დრამატული თეატრი ჩამოყალიბ-  
და საქმაოდ ძლიერ შემოქმედებით კო-  
ლექტივად. თანდათან გაიზარდა მისი  
ხვედრითი წილი ქართულ თეატრალურ  
ცხოვრებაში, ამაღლდა დასის პროფე-  
სიულ დონე, გაფართოვდა მისი თვა-  
ლსაწიერი.

დღეს უკვე საყოველთაოდ ცნობი-  
ლია, თუ რა თეატრალურ ქალაქად იქ-  
ცა ბათუმი განვლილი ერთი საუკუ-  
ნის მანძილზე. დიას, ბევრ, მასზე გა-  
ცილებით დიდ ქალაქს დაამშვენებდა  
ბათუმის თეატრალური ტრადიციები,  
ბათუმური სეზონები, ანტრეპრიზები,  
ზეიმები, რომ არაფერი ვთქვათ ცალ-  
კეულ დაღმგებზე. სცენურ სახეებზე,  
სწორედ აქ რომ დაიბადნენ, სხვადასხვა  
დროს.

მართლაც და, რამდენი გამოჩენილი  
მსახიობისა და რეჟისორის შთაგონებუ-  
ლი შემოქმედების მოწამე ყოფილა  
სხვადასხვა თაობის ბათუმელი მაყუ-  
რებელი! მგზნებარე სანდრო ყაზბეგი,  
უბადლო ნატო გაბუნია-ცაგარელი, „სი-  
ცოლის მეფე“ ვასო აბაშიძე, ალექსან-  
დრე წუწუნავა, დიდებული ნინო ჩხეი-

ძე და მარო მღივანი, განუშეორებელი  
ვერიკო ანჯაფარიძე, შალვა ღამბაშიძე.

დიდი ილიასა და აკაკის, სერგეი მეს-  
ხის, კოტე ყიფიანის, ლადო მესხიშვი-  
ლის, შალვა დადიანის და სხვა დიდი  
მოდვეწების დარად, ერისკაცობის საყა-  
დრისი გულისსმირებით ეკიდებოდნენ  
ბათუმში თეატრის წინსვლა-აღმავლობას  
კოტე მარჯანიშვილი და სანდრო ახმე-  
ტელი, მიხეილ ქორელი და აკაკი ფა-  
ლავა, დიმიტრი ალექსიძე, არჩილ ჩხარ-  
ტიშვილი და ბევრი სხვა თვალსაჩინო  
მოდვეწე ქართული თეატრალური ხე-  
ლოვნებისა. და, მაინც, სავსებით კანო-  
ნიერად ბათუმის ახალი თეატრი სწორ-  
უპოვარი ახმეტელის, რუსთაველის თე-  
ატრის პირმშოდ ითვლება.

ქეშმარიტად ნოყიერ ნიადაგზე აღ-  
მოცენდა იგი, დღეს რომ აჭარის დიდი  
მოჭირნახულის ილია ქავჭავაძის სახელს  
ატარებს და წმიდად ინახავს ბათუმის  
თეატრალურ ტრადიციებს, ყველაფერს  
აყეთებს, რომ შეურყვნელად განაგრ-  
ძონ ეს სასახელო ტრადიციები, შექმ-  
ნას „ბრმისა“ და „მოკვეთილის“, „ზაგ-  
რატიონისა“ და „კიკვიძის“, „ოდიშის  
მეფის“, „ოტელოს“ ბადალი სპექტაკ-  
ლები.

განუზომელია ბათუმის სახელმწიფო  
თეატრის როლი და მნიშვნელობა მშრო-  
მელთა იდეურ და ესთეტიკურ აღზრდა-  
ში. პირველივე სეზონიდან იგი ხალხის  
ცხოვრებით ცხოვრობდა, ისწრაფვოდა  
ყოფილიყო მისი გულისტემის, მისი აზ-  
რებისა და ოცნების გამომხატველი.

სამასზე მეტი დაღმგიდან, რაც კოლექ-  
ტივის ამ 43 წელიწადში განუხორციე-  
ლებია, უმრავლესობა თანამედროვე თე-  
მაზე იყო შექმნილი, საბჭოთა სინამდ-  
ჯელეს ასახავდა. განსაკუთრებული ყუ-  
რადღება ექცეოდა ისეთ პიესებს, რომ-  
ლებიც ასახავდნენ ჩვენი მხარის — სა-  
ქართველოს ამ უძველესი და განუყო-  
ფელი კუთხის სოციალისტურ ყოფას,  
თუ ავბედიის ისტორიას. ამასთან, თეა-  
ტრის რეპერტუარში მუდამ საპატიო



ადგილი ექირა რუსული და მსოფლიო კლასიკური დრამატურგიის ნიმუშებს, თანაედროვე რუსი და სხვა მოძმე რეჰსუბლიკების წყურალთა ნაწარმოებებს.

დიდი დამსახურება მიუძღვის ბათუმის თეატრის დრამატურგთა ადგილობრივი კადრების წარმოჩენაში. სწორედ ამ კოლექტივთან შემოქმედებითი ურთიერთობით შეიქმნა ამირან შერვაშიძის, ვალერიან კანდელაკის, პარმენ ღორიას, ფრიდონ ხალვაშის, ალექსანდრე ჩხაიძის, შოთა როყვასა და სხვების დრამატული ნაწარმოებები, უფრო ადრე კი — სიმონ მთვარაძის ტრაგედია „თევრათ“, გიორგი მდივნის დრამა „სასშობლო“ და სხვა პიესები.

ბათუმის თეატრის აუდიტორია მართლ ბათუმელებით როდი შემოიფარგლება. იმთავითვე იგი მთელი სერიოზულობით ეკიდებოდა აქარის რაიონების მშრომელთა მომსახურებას და ხალხისათ უმართავდა მათ გასვლით სექტაკლებს, რითაც დაბასოვლების მცხოვრებთა საერთო მოწონებას იმსახურებდა. ეს კარგი ტრადიცია მომავალშიც ინტენსიურად უნდა გაგრძელდეს. ასევე გულთბილად ხვდებიან ბათუმელთა გასტროლებს ქუთაისში, სოხუმიში, მახარაძეში, დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში.

თეატრის ისტორიას ამშვენებს თბილისში ექვსგზის წარმატებით გამართული გასტროლები, გამოსვლები მოსკოვში, კრემლის თეატრის სცენაზე და

რიგაში, ახალგაზრდული სპექტაკლების საკავშირო ფესტივალზე, გამარჯვებული სოციალისტური ქვეყნების ხალხთა დრამატურგიის ფესტივალებში. რუსთაველის თეატრის შემდეგ, იგი მეორე დრამატული დასია საქართველოში, ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ რომ გავიდა და უცხოელ მაყურებელს უჩვენათავისი ხელოვნება. მხედველობაში გვაქვს 1973 წლის ნოემბერში ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში გამართული საგასტროლო ტურნე, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად. შემოქმედებითი ურთიერთკავშირი მეგობარ ბლაგოვეგრადის ნიკოლა ვაპცაროვის სახელობის თეატრის კოლექტივთან, უმჯველია, შემდგომ გაფართოვდება და სარგებლობას მოუტანს ორივე მხარეს, ამ ქალაქების მაყურებლებს.

წინ დიდი შემოქმედებითი გეგმები და ამოცანებია. ექვსგარეშეა, ბათუმის თეატრი ღირსეულად გადაწყვეტს ამ ამოცანებს, შეძლებს ამ გეგმების რეალიზაციას და კვლავაც იქნება ერთ-ერთი მოწინავე ქართული საბჭოთა თეატრი. ივნისის დამდეგს კი იგი, თავის მაყურებელთან ერთად, ზეიმით აღნიშნავს ბათუმში პირველი ქართული წარმოდგენის გამართვის, მამასადამე, თეატრის არსებობის ასწლოვან იუბილეს და მომავლის იმედითა და რწმენით, ღირსეულს გრძნობით, ტრადიციების საკადრისად განაგრძობს მეორე ასწლოვულთავისი სახელოვანი ისტორიისა!





მიხეილ გუვილოვაძე

„საღმადმოსაოლონო მუშაობის გზა კომკავშირში“

ვინც სოჭის მიწაზე ფეხს დადგამს, „ნიკოლოზ ოსტროვსკის სახლსაც“ ეწევა. ახე ეძახიან ყოფილ ორეხოვას მკურნალ ქუჩაზე მდებარე პატარა შუშაბანდიან სახლს, რომელსაც ორიგინალური მემორიალური დაფა ამკობს. ეზოს წინ პატარა სვეტი იუწყება, რომ 1923-1935 წლებში აქ ცხოვრობდა რევოლუციის დიდი მებრძოლი, გამოჩენილი საბჭოთა მწერალი ნიკოლოზ ოსტროვსკი.

სამუდამოდ სარცელს მიჯაჭვული მწერალი არაღამიასურა ნებისყოფით, შესაშური თაგვადებით ზუსტობდა წიგნზე, რომელიც საბჭოთა ახალგაზრდობის საყვარელი ნაწარმოები გახდა და მის ავტორს საქვეყნოდ გაუთქვა პაზელი.

დიდი მწერლის სახლ-მუზეუმში მრავალი საინტერესო დოკუმენტი ინახება. მათ შორის არის წერილები და გამომგზავრების საქართველოდან. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო კატალოგი 4818-ე, 4819-ე და 4820-ე ნომრებით დაცული დოკუმენტები, რომლებიც აჭარიდან გაგზავნილი აღმოჩნდა.

ეს არის საქართველოს ალკ აჭარის საოლქო კომიტეტის ორგანოს — „ახალგაზრდა ლენინელის“ რედაქციის ორი წერილი საბჭოთა ახალგაზრდობის საყვარელი მწერლისადმი და გაზეთის 1935 წლის 1 დეკემბრის ნომერი, რომლის მასალების უმრავლესობაც ნიკოლოზ ოსტროვსკის ეძღვნება.

დღევანდელმა ახალგაზრდობამ შეიძ-

ლება არც კი იცოდეს რაიმე გაზეთ „ახალგაზრდა ლენინელის“ შესახებ, რომელიც 1933 წლის 11 ოქტომბერს დაარსდა, როგორც საქართველოს ალკ აჭარის საოლქო კომიტეტის დეკლარირებული ორგანო. იმავე წლის 1 დეკემბრიდან მან გამოსვლა დაიწყო, როგორც ექვსდღიურმა გაზეთმა, 1937 წლის 9 მარტიდან კი საქართველოს ალკ აჭარის საოლქო და ბათუმის საქალაქო კომიტეტების ორგანო გახდა.

„ახალგაზრდა ლენინელი“ დიდი სამამულო ომის დაწყებამდე გამოდიოდა და თვალსაჩინო როლს შეასრულა აჭარის კომკავშირული ორგანიზაციის ცხოვრებაში.

1935 წლის მიწურულს გაზეთის რედაქციას ნიკოლოზ ოსტროვსკისთან კავშირი დაუშერბია. ბათუმიდან დიდ მწერალს ასეთი შინაარსის წერილი მიუღია: „ძვირფასო ამხანაგო ოსტროვსკი! „ახალგაზრდა ლენინელის“ რედაქცია მოგესალმებათ აჭარის კომკავშირელების სახელით, ჩვენთან ამჟამად მიმდინარეობს „მოლოდინი რაბოჩის“ მასალების განხილვა თქვენი წიგნისა და თქვენს შესახებ. ვაპირებთ მოვიწვიოთ ბათუმის კომკავშირული აქტივი, რათა გავარჩიოთ „როგორ იწრთობოდა ფოლადი“. ოღონდ არც ბიბლიოთეკაში, არც მაღაზიებში არ იშოვება თქვენი წიგნი“.

მეორე წერილში გულითადი მადლობის სტრიქონებია: მწერალს აჭარის კომკავშირელების თხოვნა შეუსრულებია



— მათთვის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ გაუგზავნია.

„მივიღეთ თქვენი ძვირფასი საჩუქარი — ჩვენი ახალგაზრდობისათვის ფახლადუდებული წიგნი „როგორ იწრთობოდა ფოლადი“. გულითადად გმადლობთ.

ამასთან გიგზავნით ჩვენი გაზეთის სპეციალურ ნომერს, რომელიც ეძღვნება თქვენს შემოქმედებასა და გმირულ ცხოვრებას. საღამოს გითვლიან ჩვენი კომპავეზირელები და მშრომელი ახალგაზრდობა“.

„ახალგაზრდა ლენინელის“ 1935 წლის 1 დეკემბრის ნომრის პირველ გვერდზე გადმობეჭდილია გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ სარედაქციო სტატია „მშობლიური წიგნი“. მასში დასმულია კომპავეზირულ ორგანიზაციებში „როგორ იწრთობოდა ფოლადის“ ფართო პოპულარიზაციის საკითხი. „ყოველმა კრპავეზირელმა უნდა წაიკითხოს ეს წიგნი, — ნათქვამია სტატიაში. — შევისწავლოთ ოსტროვსკი როგორც ადამიანი, როგორც ბოლშევიკი და როგორც მწერალი — ეს არის ჩვენი აღმზრდელი მუშაობის ერთ-ერთი ამოცანა. ამ წიგნის შესწავლა კომპავეზირის ისტორიაში ჩაახედვებს ყოველ ახალგაზრდას. კიდევ უფრო შეაყვარებს ჩვენს დიდებულ სამშობლოს და კიდევ უფრო შეაძულებს მას გათავსირებულ კლასობრივ მტერს“.

გაშლილი შიდა გვერდები დაბეჭდილია ანშლაგით „საბჭოთა ახალგაზრდობის ფოლადისებურად გამოწრთობისათვის“ და რუბრიკით „ნ. ოსტროვსკი. „როგორ იწრთობოდა ფოლადი“. აქ მოთავსებულია ნიკოლოზ ოსტროვსკის წერილი ი. ბ. სტალინისადმი ლენინის ორდენით დაჯილდოვებასთან დაკავშირებით, მისი სიტყვა „ბედნიერი ცხოვრება“, „სამშობლოს სამაჟო შეილის ბიოგრაფია“, რომელსაც ოსტროვსკის პორტრეტი ახლავს, საკავშირო ალკაცენტრალური კომიტეტის მდივნის ა. კოსარევის მისალმება „ლენინური კომპავეზირის ღვიძლ შეილს“. სათაურით

„მწერალი-ბოლშევიკი“ ქვეყნდება ოსტროვსკის შემოქმედებითი თვითნაგარიში საკავშირო კომპარტიის (საბჭოთა კომიტეტის) ბიუროზე. თვითნაგარიშს აქვს წიგნის ილუსტრაციები.

ყველა ეს მასალა თანამედროვე მკითხველისათვის კარგად არის ცნობილი და მათ შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. შევესებით მხოლოდ ამ გვერდებში მოთავსებულ რამდენიმე აღწერილობრივ მასალას. ინფორმაციაში „წიგნი ითარგმნება ყველა ენაზე“ მოტანილია „როგორ იწრთობოდა ფოლადის“ ბეჭდვის სტატისტიკური მონაცემები 1935 წლის მიწურულისათვის. ეს მონაცემები, რომელიც პირველად ჟურნალმა „მოდოლია გვარდიამ“ 1932 წელს გამოაქვეყნა, იმავე წელს გამოცემილმა „მოდოლია გვარდიამ“ დასტამა 10 ათას ეგზემპლარად. იგი წლის შემდეგ გამოცემილმა ნაწარმოებმა მეორედ გამოიშვა 30-ათასიანი ტირაჟით, იმ წელიწადს კი, როცა აჭარის კომპავეზირული გაზეთის რედაქციამ მწერალთან მიმოწერა გამართა, მკითხველს ჯერ კიდევ არ მიეღო „როგორ იწრთობოდა ფოლადის“ მესამე რუსული გამოცემა 100 ათასი ეგზემპლარის რაოდენობით. ბუნებრივია, წიგნის შოვნა ჭირდა და ამიტომ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა „სახელგამს“ დავალა მისი ქართულად თარგმნა და გამოცემა.

გაზეთი მოუწოდებს, რომ ფართოდ შემოიღონ პრაქტიკაში ოსტროვსკის წიგნისადმი „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ მიძღვნილი ლიტერატურული საღამოების ჩატარება ბიბლიოთეკებთან, წითელ კუთხეებსა და ქონსამკითხველოებთან ერთად.

საყურადღებოა გაზეთის იმავე ნომერში მოთავსებული განცხადება: „ამ დღეებში „ახალგაზრდა ლენინელის“ რედაქცია საქართველოს ალკა აჭაროლკომთან ერთად განათლების მუშაკთა ხალხში საქალაქო პარტიისათვის აწყობს



ანს. ნ. ოსტროვსკის რომანის „როგორ იწრთობდა ფოლადი“ ლიტერატურულ განხილვას. მოხსენებას გააუქმეს ანს. დ. ღუმბაძე.

ამჟამად ქალაქის კომკავშირულ ორგანიზაციებში მიმდინარეობს ანს. ოსტროვსკის რომანის კითხვა და საუბრები მწერლის შემოქმედებისა და ცხოვრების ხაზით.

ამ მასალების გაცნობის შედეგად ვრწმუნდებით, რომ ბათუმის კომკავშირულ ორგანიზაციებში დიდი მწერლის მიერ გამოგზავნილ წიგნის ეგზემპლარს კითხულობდნენ და ქალაქის კომკავშირ-

ული აქტივის კრებისათვის მოხსენება აქ ეგზემპლარის მისეღვით დაწერა შესაძლოა, თბილისში, დავით ღუმბაძის არქივში, აღმოჩნდეს „როგორ იწრთობდა ფოლადის“ ავტორისეული ეგზემპლარი აჭარის კომკავშირელებისადმი.

გვინდა დავძინოთ, რომ უკვე 1936 წლის იანვრის ბოლოს გაზეთმა „ახალგაზრდა კომუნისტმა“ გამოაქვეყნა მწერალ როდინ ქორჟიას პატაკი, რომ მან დაამთავრა წიგნის „როგორ იწრთობდა ფოლადი“ ქართულად თარგმნა და ეს ნობათი საქართველოს კომკავშირის XII ყრილობას მიუძღვნა.



ჯარისკაცი

მოქანდაკე შამუდ ბოლქვაძე



# „გორღ“ ლენინური კომპარტიის პრემიის ლაურეატი



როდესაც ლაპარაკია ქართულ ცეკვებზე, მათი წარმოშობის ისტორიაზე და მათს შემოქმედ ხალხზე, ძალაუვნებურად ჩვენს წარმოსახვაში კინოკადრებივით გაიელვებენ ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი კულტურის, სულიერი მემკვიდრეობისა და რაინდული წარსულის აღმნუსხველი სურათები, რომლებიც ნათელყოფენ, თუ საიდან მოდის ქართული ცეკვებისათვის დამახასიათებელი ვაჟკაცური ცეცხლოვანება, რაინდული კდემამოსილება, სინაზე, სინატიფე, გამოსახვის ფორმათა კეთილშობილური მრავალსახეობა, შინაარსის სიუჟეტურობა, კომპოზიციური სრულყოფილება.

და მაინც, ცეკვა, თუნდაც ცეკვის სურვილი, ადამიანში შემთხვევით არ იბადება. ქართველი კაცისთვის ოდი-თან იყო ცეკვაც და სიმღერაც ცხო-

ვრების თანაზიარი და თანამგზავრი. ასეა დღესაც.

ასე იყო მაშინაც — 1945 წელს... დაჭრილ ჯარისკაცებს, საავადმყოფოები და პოსპიტალები ვეღარ იტევდა. თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შენობის მხოლოდ ნახევარი ეკავა სასწავლო კაბინეტებს, დანარჩენი სამხედრო ლაზარეთს ჰქონდა დათმობილი.

სწორედ მაშინ დაიწყო პირველად საკითხი ღირექციის წინაშე — ოფიციალურად ჩამოყალიბებული ინსტიტუტში მოცეკვავთა ანსამბლი. და ვიდრე ხელმძღვანელობა გადაწყვეტილებას სისრულეში მოიყვანდა, ამ დარგში საკმაოდ კომპეტენტურმა სტუდენტებმა ჯიმშერ ქაჯაიამ და გიორგი დოლიძემ თავი მოუყარეს ცეკვით დაინტერესებულ ახალგაზრდებს, თვითონვე დადგეს ცეკვები და პირ-



ველი კონცერტები სწორედ დაჭრილებს ჩაუტარეს.

მოცეკვავეთა ამ თაობას დღესაც ახსოვს მეომრების მაღლიერი სახე. ამ დღეებში შვება და სიხარული მიჰქონდათ მათ დაჭრილებისათვის.

მაღლე სტუდენტებს ხელმძღვანელად მოეწვინათ ქართული ცეკვების ცეცხლოვანი შემსრულებელი, საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი ნიკოლოზ გარუჩავა, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ანსამბლის ფორმირებაში.

1950 წელს ინსტიტუტში მოვიდა ახალი თაობა. ნ. გარუჩავამ შეარჩია ახალბედა სტუდენტები. შემდგომში მშვენიერი მოცეკვავეები — ელგუჯა გორდელაძე, ნოდარ მამფორია, სოსო ჭავჭავაძე, ბესიკ სვანიძე. განსაკუთრებით ამ უკანასკნელზე ამყარებდა დიდ იმედებს და არც შემცდარა. ბესიკ სვანიძემ იმთავითვე გამოიჩინა თავი, როგორც ნიჭიერაა სტუდენტმა, ცეკვის ხელოვნებით გატაცებულმა, კორექტულმა და ზრდილმა ახალგაზრდამ.

ბ. სვანიძე, ვიდრე სატყეო-საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტი გახდებოდა, თავის მშობლიურ ქალაქში — ბათუმში ეზიარა საცეკვაო ხელოვნებას ემელიან დოლიძის, ალექსანდრე ჯიჯეიშვილის, ენვერ ხაბაძის, კუკური გოგიბერიძის ხელმძღვანელობით. ერთდროულად იყო პიონერთა სასახლის მოცეკვავეთა და აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლების მოცეკვავე-სოლისტი.

ნ. გარუჩავამ ბესიკს სტუდენტობის პერიოდიდანვე დააკისრა ასისტენტობა. სულ მალე პედაგოგმა გულდამშვდებით გადაუღოცა მას ანსამბლის ხელმძღვანელობა და თბილისის სამტრეხიდან არსებულ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში გადავიდა ქორეოგრაფად.

ბ. სვანიძის საღადგმო მოღვაწეობის პერიოდიდან დაიწყო კოლექტი-

ვის შემოქმედებითი წინსვლის ახალი ხანა.

ბ. სვანიძის თავდაუზოგავი შრომის შედეგად ანსამბლმა თავისი ხელოვნებით მოხიბლა არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ უცხოეთის მაყუობლებიც.

უცხოეთამდე კი ჩვენი ქვეყნის რომელ კუთხეში არ ყოფილას!

ანსამბლი ყველა სარაიონო, საქალაქო და რესპუბლიკური ოლიმპიადის მონაწილეა, 1960 წლიდან კი სისტემატურად მონაწილეობს საკავშირო ღონისძიებებში. შედეგებზე მოგითხრობთ ინსტიტუტის ბუხერში დაცული მასალები: დიპლომები, სიგელები, ფოტო-დოკუმენტები, მაყურებელთა მადლობის ბარათები.

ანსამბლის პირველი გასტროლები საზღვარგარეთ შედგა 1960 წელს ფინეთში, როცა ამ ქვეყნის დემოკრატიული ძალების ინიციატივით მოწვეობილ ახალგაზრდობის საერთაშორისო ბანაკში მიიღეს მონაწილეობა. პირველი მღელვარება და უცხო ქვეყნის მაყურებელთან შეხვედრის შიში ჭეშმარიტი გამარჯვებისა და აღიარების სიხარულმა შეცვალა. მას აქვეთ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში საგასტროლო მოგზაურობისას მაყურებელთა ტაში, ერთსულოვანი აღტაცება მგვზურობთ ყველგან, უქებენ ოსტატობასა და სილამაზეს, რაინდულ თავდაჭერას. სიღარბაისლეს. უცხოეთის მაყურებელი წყაროს წყალივით ეწაფება ჩვენი ეროვნული ქორეოგრაფიის შეურყენელ სილამაზეს.

ამავე პერიოდში იმოგზაურა ანსამბლმა ბულგარეთში, კუბაში, პოლონეთში, სუდანში, იაპონიაში, თურქეთში.

1971 წელს მოსკოვის მეფუტკრეობის 23-ე კონგრესის მონაწილეთაგან გამართულ კონცერტზე მისი რეჟისორის დაჟინებული მოთხოვნით ანსამბლს დაუკანონდა თავისი შესაფერი სახელი — „გორდა“, დიახ, „გორდა“! რეპერტუარის ერთ-ერთი



საუკეთესო ცეკვის „ხევსურული სუ-  
იტის“ ატრიბუტის — გორდა ხმლის  
სახელი მოაგონებდეს მაყურებელს  
მოცეკვავეთა მიერ ღირსეულად განკ-  
ვლილ ხელოვნების გზას.

1972 წელს გამართულ მოსკოვის  
ტელეფესტივალში „გორდა“ გამარჯ-  
ვებულთა დასკვნით კონცერტზე პირ-  
ველი ადგილი დაისაკუთრა. იგი  
ტელეფესტივალის ლაურეატი გახდა.  
ამასთან დაკავშირებით გაერთიანება  
„ეკრანში“ გადაიღეს ფილმი-კონცერ-  
ტი — „ცეკვას გორდა“. საერთოდ,  
ანსამბლის კონცერტებს ხშირად უჩ-  
ვენებენ საკავშირო ტელევიზიის  
პროგრამითაც და ინტერვიზიითაც.

„გორდა“ წარმატებით მონაწილეო-  
ბდა საერთაშორისო ფესტივალებში  
„ზოლონეთში“ (1974 წ.), გერმანიის დე-  
მოკრატიულ რესპუბლიკაში (1964 წ.),  
საფრანგეთში (1977 წ.), საიდანაც  
ყოველთვის ლაურეატის წოდებით  
ბრუნდებოდა.

ანსამბლი შეიღვზის მონაწილე და  
ლაურეატია საკავშირო ფესტივალები-  
სა. 1978 წლის აგვისტოში კუბის  
დედაქალაქ ჰავანაში გამართულ ახა-  
ლგაზრობისა და სტუდენტთა ფეს-  
ტივალზე „გორდას“ წევრები ღირსე-  
ულად იცავენ ჩართულ ხელოვნე-  
ბას. ისინი კუბის ფესტივალის ლაუ-  
რეატებიც გახდნენ.

1968 წელს კოლექტივს მიენიჭა  
„სახალხო ანსამბლის“ წოდება. 1972-  
73-74 წლებში იგი ზეითნიდ ფლო-  
ბდა რესპუბლიკაში წლის საუკეთესო  
იგივემოქმედი ქორეოგრაფიული ანსა-  
მბლისათვის დაწესებულ დ. ჯავარი-  
შვილის ვარდამაველ პრიზს, რომე-  
ლიც 1975 წელს სამუდამოდ დაისა-  
კუთრა.

1973 წელს კოლექტივმა საქარ-

ველოს კომპაგშირის პრემია დაიმსა-  
ხურა.

ანსამბლში სამოცამდე სტუდენტი  
მოცეკვავეა გაერთიანებული. ყოველ  
საღამოს — ინსტიტუტის კლუბში ზო-  
გჯერ გვიან ღამემდეც ისმის ქართუ-  
ლი საცეკვაო აკომპანემენტი. მაგრამ  
ბ. სვანიძეს, თავისი მასწავლებლის  
ნ. გარუჩავას მსგავსად, სამართლია-  
ნად მიაჩნია, რომ მართო ცეკვა რო-  
დი კმარა. ცეკვას მაშინ აქვს ფასი,  
როცა სწავლა, შრომა და სანიმუშო  
ყოფაქცევა აღამაზებს მას. ანსამბლში  
არა ჰყავთ არცერთი ჩამორჩენილი  
სტუდენტი, წესრიგზე ზომ ლაპარაკიც  
არ უხდებათ. აქ მოსული ახალგაზრდა  
მთელი გულით და სინდისით ეუფლე-  
ბა ცეკვის ხელოვნებასაც და სწავლა-  
საც.

„გორდას“ წარმატებებს დიდი ხა-  
ნია შეეჭვივანენ, მაგრამ სულ სხვა  
იყო სიზარული, რომელიც სულ ცო-  
ტა ხნის წინ ანსამბლის საკავშირო  
ლენინური კომპაგშირის პრემიით და-  
ჯილდოებამ გამოიწვია.

ახალგაზრდული ანსამბლისათვის  
ეს განვლილი გზის დიდი შეფასებაა  
და კიდევ აღმასვლის უტყუარი საწი-  
ნდარი.

ანსამბლი ამჯერად ემზადება ოლი-  
მპიადა-80-ის საზიმიო ცერემონიალ-  
ში მონაწილეობის მისაღებად. აგრეთ-  
ვე იაპონიაში საგასტროლოდ. ერთ-  
ხელ კიდევ ხვეწენ ცეკვებს, მოძრაო-  
ბებს, ილეთებს; კიდევ ერთხელ სია-  
მოვნებით იმეორებენ ათასჯერ განმე-  
ორებულს, რათა კიდევ უკეთესი და  
ილვარე იყოს ის დღესასწაული, რა-  
საც იწვევს მაყურებელში მათ მძერ  
ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნე-  
ბის დემონსტრირება.

დაგელოცოს მომავლის გზა, „გორ-  
და“!





## ავთანდილ ღიასაშვილი იოსებ ბაქირიშვილი

# „იშავ სანუგუნოდ სსენებულ“

ეს სიტყვები ამოღებულია მეზნე-  
ბარე მამულიშვილის ზუსეინ ბეჟანი-  
ძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ნეკრო-  
ლოგიდან, რომელიც 1883 წლის მარ-  
ტში გამოქვეყნდა გაზეთ „დროებაში“.

ზოგი რამ მის შესახებ გავიგეთ  
1979 წლის დამლევს ბათუმში გამო-  
ცემული კრებულიდან „ჩამოთქვი, ჩე-  
მო ჩონგურო“, რომელიც ფილოლო-  
გიის მეცნიერებათა კანდიდატებმა  
აზიზ ახვლედიანმა და ემენ დავითა-  
ძემ შეადგინეს.

მათი მასალებით, ხ. ბეჟანიძე 1823  
წელს დაბადებულია ჩაქვში. დიდგვა-  
რიდანთა განათლებული შთამომავალი  
იყო და ხალხური მეღვქმეც. ის ერ-  
ის სატიკვართა მკურნალი გახლდათ,  
გულსა და სისხლში გამჯდარი ჰქონ-  
და პატრიოტული სულისკვეთება და  
აჭარის განთავისუფლების ფიქრში  
ათენებდა.

ერთ-ერთი პირველი აღუდგა მუჰა-  
ჯირებს, მათი უკან მობრუნება სცადა.  
თურქ მოხელეთა ნდობით აღჭურვილ  
ბჭვს მოუსმინეს. ერის გულმხურვალე  
პატრიოტის სიტყვას მაშინ უდიდესი  
წამოქმედების ძალას მისი მართალი  
გული და უზადო მამულისშვილობა  
ანიჭებდა.

მათივე ცნობით, ხ. ბეჟანიძის სიტ-  
ყვა ხმალივით ჭრიდა. საუბარში იყე-  
ნებდა ანდაზებსა და შაირებს, აფო-  
რიზმებს, სხვისი რომ შემოაყლდებო-  
და, შივა და შივ თავისასაც გაურევ-  
და. ლექსად ჩამოქნილ სტრიქონებს და

მისი მოსაუბრე თუ მოკამათე უმაღ-  
ლამყოლი ხდებოდა.

ერთგულებისათვის მეფის მთავრო-  
ბამ ბეჟანიძეს მაიორის წოდება მია-  
ნიჭა და პეტერბურგში მიიწვია.  
უკან გამობრუნებისას 60 წლის მო-  
ხუცი გაცივდა, მძიმედ დაავადდა და  
გარდაიცვალა. ეს იყო 1883 წელს.

გაზეთმა „დროება“ ასე დაიტირა  
სახელოვანი მამულიშვილი: „ბეჟანი-  
ძემ მთელი „ვეფხისტყაოსანი“ ზეპი-  
რად იცოდა. კარგი მკითხველი და  
წესის მცოდნე იყო... მზიარული და  
მოღზინე, ყოველისფრად წარმოვიდ-  
გებოდათ, როგორც ნამდვილი, კარგი  
გულის თავადიშვილი... არც სახელი,  
არც რომელიმე გარეშე პატივი, არც  
საჩუქარი, ჯილდო ან სასყიდელი იყო  
მისი შრომის წამქეზებელი. მისი და  
მისთანა მსგავსთა შრომამ ნაყოფი  
მოუტანა ჩვენს ქვეყანასა და ბათუმის  
მაზრის ხალხი გადაარჩინა გადასე-  
ლას, განადგურებას, ამოწვევებს უც-  
ხოეთში გადასახლებისათვის.“

ვერც არავითარი ცრემლი, ვერც  
არავითარი მეტყველი ენა და კალამი  
ვერ გამოსახავს შენსა და მსგავსთა  
ღვაწლს, კეთილთა კაცთა ზუსეინ-ბეგ,  
რაც საშვილიშვილოდ საუკუნოდ მო-  
სახსენებელი, საქართველოს საისტო-  
რიოდ სლადადებელი, მშობლიური  
ქვეყნისათვის ძვირფასი საქმე მოიმო-  
ქმედე, ასიათასი შვილი გადაურჩინე  
ღელა-ქვეყანასა. იფავ უკვლავ მაგა-  
ლითად ჩვენის შთამომავლობისათვის.  
იფავ საუკუნოდ სხენებული შენ პატი-



ოსანო, ერთუგლო შვილო შენის ქვე-  
ყნისა“.

ა. ახვლედიანი და ე. დავითაძე თა-  
ვიანთ წიგნში ხ. ბეჟანიძის შემოქმე-  
დებით მოღვაწეობასაც ეხებიან. თა-  
მარ მეფისადმი მიძღვნილი ლექსი  
„ათასი კაბა ყმა მყავდა“ უნიკალუ-  
რია მთელი ქართული ხალხური პო-  
ეზიის საგანძურში, ამიტომაც შეტა-  
ნილია საისტორიო სიტყვიერების თი-  
ოქმის ყველა მნიშვნელოვან გამოცე-  
მაში.

ეს ლექსი 1879 წელს ჩაუწერია  
პეტრე უმიკაშვილს და გაზეთ „დრო-  
ებაში“ გამოუქვეყნებია. შემდეგ კი  
გიორგი წერეთელსა და თედო სახო-  
კიას. აი ლექსიც:

ათასი კაბა ყმა მყავდა  
ყველანი ოქროს ღილითა.  
ვაჭმევდი დედალ სოხოზა,  
ვასმევდი ბროლის ჭიჭითა.  
ვინც, რომ შემეზა, შევები  
ალაღითა და ჯიქითა,  
აწე თქვენ იცით, მეფენო,  
ვინც ღარჩით ამის იქითა.

აი, ამ ლექსის ავტორი სწორედ  
ხ. ბეჟანიძეა, მან ლექსი შექმნა მა-  
შინ, როცა სამუჰაჯიროდ აყრილი და  
სინამდვილისაგან გულგატეხილი თა-  
ნამემამულეების დაშოშმინებას ცდი-  
ლობდა და საამისოდ, როგორც ჩვეუ-  
ლებრივ ხდება, წარსულის საგმირო  
ფაქტები გამოიხმო.

უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ლექსი  
სასიქადულო მამულიშვილმა ზ. ჭიჭი-  
ნაძესაც ჩააწერინა, ამ ვარიანტში „ვა-  
სმევდისა“ და „ღარჩის“ ნაცვლად  
არის „ვასომდი“ და „ღარჩეთ“.

ახლა გავცენოთ სხვა მასალებს,  
რომლებიც ხ. ბეჟანიძის მამულიშვი-  
ლობასა და დიდსულოვნებაზე ღაღა-  
დებენ. რუსეთის გამარჯვების შედე-  
გად, 1878 წლის 25 აგვისტოს განმა-  
თავისუფლებლები აჭარაში შემოვიდ-  
ნენ. ამით აღსრულდა ქართველი ხა-  
ლხის დიდი ხნის ოცნება. ამ ისტო-  
რიული მოვლენის აღსანიშნავად საქა-


რთველოს საუკეთესო წარმომადგენ-  
ლებმა აჭარისა და მეზობელი ქვეყნის  
ხეების 16 დელეგატს შერიფ ხანშია-  
შვილის თავკაცობით იმავე წლის 14  
ნოემბერს თბილისში გულთბილი და-  
რბაზობა გაუმართეს. აქ იყვნენ სე-  
რგეი მესხი, გიორგი წერეთელი, აკა-  
კი წერეთელი, პეტრე უმიკაშვილი  
და სხვები.

ხუსეინი ძმისშვილ ხასანთან ერთ-  
ად მარცხნივ ეჯდა თამადას — გრი-  
გოლ ორბელიანს, მარჯვნივ შერიფ  
ხიმშიაშვილი იყო. ორბელიანის გა-  
სოხვლის შემდეგ საპასუხო სიტყვა  
აჭარის დელეგაციის უხუცეს წევრს  
ხ. ბეჟანიძეს მისცეს. მან „წმინდა  
ქართული ენით“ გამოთქვა აღფრთო-  
ვანება თანამემამულეებთან შეერთების  
გამო და მადლობა გადაუხადა ესოდენ  
თბილი მიღებისათვის. უფროსი ძმები  
ხარო, დაკარგულები დაგიბრუნდით,  
მოგვხედით და გვიპატრონეთ, გვიძ-  
მეთ და სწავლა-განათლება ჩვენშიც  
გაავრცელეთ, ერთგულებას კი მო-  
მავალშიც დაგიმტკიცებთ.

ხ. ბეჟანიძეს მოუხიბლავს რუსეთ-  
ის არმიის ოფიცერი, ჟურნალისტი  
და ისტორიკოსი ალექსანდრე ფრენ-  
კელიც, რომელიც ვანსათავისუფლებ-  
ლებს შემოქვეყა აჭარაში და მის  
მკვიდრთ ქებით აღსავსე წიგნი „ჩუ-  
რქუსუსა და ბათუმის ნარკვევები“  
უძღვნა. იგი 1879 წელს გამოქვეყნ-  
და.

აი სწორედ ამ წიგნში ა. ფრენკელი  
მოუთითებს, რომ ს. მესხთან ერთად  
ბათუმში ხ. ბეჟანიძის ოჯახში დაბი-  
ნავებულან. ხუსეინი, მისი ძმები  
ფერათი, მემედი, ძმისშვილები თეო-  
ფილე, შევქეთი, ხასანი, მურადი, ჰა-  
იდარი და სეფერი სანდო, სახელგაუ-  
ტეხელი არიან, გაიხარეს აჭარის გა-  
ნთავისუფლებით. მისივე ცნობით,  
1879 წელს რუსეთის მოხელეებმა იწ-  
ყეს მასალების შესწავლა ბათუმში  
რკინიგზის შემოსაყვანად. მაღალი რა-  
ნის მოხელეებმა და კაპიტალისტე-  
ბმა ხმაური ატყეხეს ხაზის ზღვისპირ-





რას გავყვანის გამო. ეს დაარღვევს ჩვენს მყუდროებას, აგარაკებზე არ შეგვერგება დასვენებაო.

რკინიგზას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კუთხის განვითარებისათვის. ამის გამო ბეჟანიძემ არ დააყოვნა და ა. ფრენკელს აცნობა, თუ ასეა, მაშინ რკინიგზა ჩაქვიდან კაპრეშუმზე გავლით, ე. ი. ჩემს მამულში გავიყვანოთ. იგი მიწისათვის ფულს არ ითხოვდა, მაგრამ მეფის ხაზინამ სახსრების ნაკლებობის გამო 1883 წელს გამოიყვანა რკინიგზის ის ხაზი, რომელიც ახლაც მოქმედებს.

ხ. ბეჟანიძეს ეკუთვნოდა ჩაქვი შემოგარენებით, სოფელი სახალვაშო და მახინჯაური. ადრე მას და ძმებსაც წართვეს საბუთები, რომ ისინი მოდემით აჭარის ერისთავები არიან და ციხისძირიდან მოყოლებული ტერიტორია მათ ეკუთვნოდათ.

ამის თაობაზე წერს ს. მესხი: მისივე ცნობით, ბეჟანიძე — ბეჟანიშვილი თავისი ამალითა და დეპუტაციით დახვდა განმათავისუფლებლებს ჩაქვში 1878 წლის 25 აგვისტოს. ს. მესხი მას გავლენიან ბეგად მიიჩნევს, მოსაზრება რჩევა-დარიგებას ეკითხება, მისი წყალობით ბევრი არ გადასახლდა ოსმალეთში. ზუსეინი ჩინებულად ლაპარაკობს ქართულად, მის ოჯახში ყველამ იცის მშობლიურ ენაზე კითხვაო.

აღსანიშნავია, რომ ფრანგი მოგზაური ჟან მურიე თავის ნაშრომში „ბათუმი და ჭოროხის აუზი“ მიუთითებს: მდინარე ყოროლისწყლის შესართავში იყო ნანგრევები ძველი სასახლისა და კოშკისა, რომლებიც ბეჟანიშვილებს ეკუთვნოდათ.

ჩვენი აზრით, ცხადია, „დროებაში“ გამოქვეყნებული უკვე ხსენებული წერილი ასევე ს. მესხის დაწერილია. იგი ხომ 1883 წელსაც ამ გაზეთის რედაქტორი იყო, მეგობრობდა ზუსეინთან.

ცნობილია ისიც, რომ ხ. ბეჟანიძის მამულებში სანიმუშოდ იყო განვითა-

რებული მევენახეობა და მეხილეობა, მეციტრუსეობაც. სერგეი მესხი, დიმიტრი ბაქრაძე, გიორგი წერეთელი და სხვები წერენ, რომ ჩაქვური ღვინო ოსმალეთშიც იყო განთქმული, მსხალი და სხვა ხილი სამეგრელო-იმერეთში და სხვაგან გაჰქონდათ. მაგრამ ბოლო წლების არსახულმა ყინვებმა, დაავადებების გავრცელებამ, 1877-1878 წლების ომმა და მუჰაჯირობამ ეს დარგები გააჩანაგაო, ამიტომაც ხ. ბეჟანიძე სიხარულით შეხვდა ცნობილ ბოტანიკოსსა და ისტორიკოსს ნიკოლოზ ზეიდლიცს, რომელმაც თავგამოდებით დაიწყო იმის ქადაგება, რომ, თუ აჭარაში მშვენიერად ხარობს ფორთოხალი, მაშინ ჩაის კულტურაც მოიკიდებს ფეხსო. გადაწყდა, პირველი ჩაის პლანტაცია ჩაქვში გაეშენებინათ. ამიტომ იყო, რომ ხ. ბეჟანიძემ ამ საშვილიშვილო საქმისათვის ნაკვეთები არ დაიშურა და ზეიდლიცს უწყალობა. იმასთან დაკავშირებით, რომ იგი მეცნიერულ მოღვაწეობას დაეწეოდა, მიწა ენთუზიასტ ალექსანდრე სოლოვოვს დაუთმო, რომელმაც მისი და სხვათა რეკომენდაციებით 1885 წლის გაზაფხულზე ჩაქვში, ხ. ბეჟანიძის მამულში, რომელიც დღეს ლეინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაა, გააშენა პირველი სამრეწველო დანიშნულების ჩაის პლანტაცია, რითაც დასაბამი მისცა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანეს დარგს.

იმხანად ოსმალები აწიოკებდნენ სომხებსა და ბერძნებს. მათი ნაწილი აჭარას მოაწყდა. ხ. ბეჟანიძემ შეიცოდა ბერძნები, რომელთა წარმომადგენლებთან კავშირიც ჰქონდა და თავისი ერთი სოფელი, კერძოდ, დღევანდელი ქვედა აჭყვა თითქმის მთლიანად მათ დაუთმო. — ისინი კეთილსინდისიერები არიან, თურქეთში მეციტრუსეობასა და ზელოსნობას მისდევენ, მაშასადამე, აქაც განავითარებენ, აღადგენენ ამ დარგებსო, —



ფიქრობდა სხვა ხალხების პატივისმცემელი და მოყვარული მამულიშვილი. რაოდენ სასიამოვნოა, რომ მალღიერმა ბერძნებმა ყოველივე ეს 1908 წელს ქალაქ ათენში მშობლიურ ენაზე გამოქვეყნებულ წიგნში აღნიშნეს. ამ წიგნს ჰქვია „ბერძნები კავკასიაში“, ხოლო ავტორია ისტორიკოსი ილია კალფოილუ.

ბ. ბეჟანიძის ლექსს თამარ მეფეზე და მისი გვარის წარმომავლობას ეხება ჩვენი კუთხის მეისტორიე და უანგარო მეგობარი ზაქარია ჭიჭინაძე. წიგნში „ისტორია ოსმალეთის ყოფილ საქართველოსი“ იგი გვაუწყებს, რომ ბეჟანიძეები ადრე პირმსახურაძეებად იწერებოდნენ. თამარ მეფეს პირფარეშებად ემსახურებოდნენ, რაც ქართულ-რუსული და თურქული ენებისა და ხალხური ლექსების კარგმა მცოდნემ სულეიმან ბეჟანიძემაც დაუდასტურა. შემდეგ ზ. ჭიჭინაძე წერს, რომ პირფარეშიძენი XII საუკუნეში აღორძინდნენ. „თამარ მეფის მიერ დაჯილდოვებული იქნენ გვარიშვილობით ნიშნად ერთგულებისა და მათ ჩაბარდათ ზენდიდის ციხე. ადრე ისინი დიასამიძედ იწერებოდნენ, პირფარეშის ძეობა კი თამარ მეფისაგან მიიღეს.

სპარსეთის მეფე შაჰთამაზმა მოაოხრა სამცხე. ათაბაგის მეუღლემ შვილებით ყვარყვარეთი, მანუჩართა და ბექით აჭარას შეაფარა თავი, სწორედ მაგარ და ცნობილ ზენდიდის ციხეს, რომელიც ამ მხარის გამგებელ პირფარეშიძეს ეკუთვნოდა, მან შეკრიბა მთელი აჭარის ვაჟკაცები და რჩევა ქნეს, რათა მზად ყოფილიყვნენ შაჰის მოსაღოდნელი შემოსევისათვის. ეს 1575-1576 წლებში მოხდა, სპარსელებთან ბრძოლაში პირფარეშიძეთა წარმომადგენლებიც დღემდე ღალან“.

აქვე შენიშნავს, რომ ოსმალების ბატონობისას ამ გვარის ცნობილი წარმომადგენელი ბეჟანი გამუსლიმა-

ნდა და ბეჟანიძე-ბეჟანოღლუ ანუ ბეჟანიშვილად დაიწერა.

ბეჟანიძეები ძველთაგანვე დიდი გავლენით სარგებლობდნენ აჭარაში. მათი წინაპრები თამარ მეფეს პირფარეშებად, ანუ ხელზე მოსამსახურეებად ედგნენ. ამიტომაც მსახურაძეებად დაიწერნენ, შემდეგ ამ გვარში დაწინაურებული ბეჟანი, რის გამოც მისი შვილები ბეჟანიშვილები, მოგვიანებით შთამომავალთა ნაწილი ბეჟანიძეები გახდნენ, ხოლო სხვები მსახურაძეებიო, — კკითხულობთ ზ. ჭიჭინაძის სხვა წიგნში.

საგულისხმოა, რომ გვარი მსახურაძე შემორჩენილია შუახვეის რაიონში, ბეჟანიძე კი აჭარის ყველა რაიონშია გავრცელებული. სხვათა შორის, ხუსეინს ზოგიერთი ავტორი ბეჟანიშვილად მოიხსენიებს. გამოცხადებული არ უნდა იყოს ის, რომ თამარ მეფისადმი შთამომავლობით გადმოცემულმა სიყვარულმა, მასთან ბეჟანიძეთა ურთიერთობამ დააწერინა ლექსი „ათასი კაბა ყმა მყავდა“.

იმასაც დავძენთ, რომ თავდადებული მამულიშვილის შერიფ ზიმშიაშვილის დედა ბ. ბეჟანიძის ნათესავი იყო (დ. მამულაძე, „შერიფ ზიმშიაშვილი“).

დასასრულ ის გვინდა ვთქვათ, რომ კარგი იქნება, სოფელ ზედა ულიანოვკის იმ უბანს, რომელსაც ყოფილი მეპატრონის დივიტის სახელი რატომაც დღემდე შემორჩა, აგრეთვე დაბა ჩაქვის ერთ-ერთ ქუჩას ბ. ბეჟანიძის სახელი მიეკუთვნოს, ხოლო ბათუმში იმ ადგილას, სადაც მისი სახლი იდგა, გაკეთდეს მემორიალური დაფა იმის აღნიშვნითაც, რომ აქ ჩერდებოდნენ აჭარის დიდი მეგობრები ს. მესხი, ვ. წერეთელი, ა. ფრენკელი, ნ. ზეიდლიცი და სხვები.

დაბოლოს, ვფიქრობთ, რომ სახელგანთქანი მამულიშვილის შთამომავლები გამოეჩნადურებიან ამ ნარკვევს და ახალ მასალებს მოგვაცვდიან.



# საქართველო თან გვასლდა ყველგან

ნომბერი დაებედა „ხიდს“ საზღვარგარეთული პრემიერების თვედ. ასე იყო ბულგარეთში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში. ახლაც სანომბროდ ვარ მიწვეული გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ჯერჯერობით მხოლოდ ის ვიცი, რომ ბერლინის გამომცემლობა „ჰენშელმა“ თარგმნა „ხიდი“. ერთი ეგზემპლარი გამომიგზავნეს კიდეც. თან შემატყობინეს, პიესა დასადგმელად მიიღეს როსტოკისა და სტენდალის თეატრებში. როსტოკის შესახებ საკმაოდ ბევრი მსმენია. საქართველოს საზღვარო სანაოსნოს გემები ხშირად უშვებენ ღუზას ამ სანავსადგურო ქალაქში. იქაურ თეატრებზეც წამოვიტახე ზოგი რამ. მაგრამ სტენდალის შესახებ აქამდე არაფერი გამეგონა. კაცმა რომ თქვას, ასეთი ქალაქის არსებობაც არ ვიცოდი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მოგვიანებით ერთ გაზეთში წავაწყდი ინფორმაციას სტენდალის სპორტულ ცხოვრებაზე. არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ჩინებული ფეხბურთის გუნდი ჰყოლიათ. ისიც შევიტყვე, დიდ ფრანგ მწერალს ანრი ბეილს ამ ქალაქში მცხოვრები მისი მეგობარი პოეტის პატივსაცემად დაურქმევია ეს ლიტერატურული უსიკვდილობა — სტენდალი...

„ხიდის“ პრემიერას დაესწრება აჭარის ასრ ჯანმრთელობის მინისტრი რამაზ სურმანიძე — ამ ორი ქვეყნის მეგობრობის საზოგადოების აჭარის განყოფილების თავმჯდომარე. ჩვენი მასპინძელია გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური საბჭო, კერძოდ, ამ საზოგადოების მდივანი

კულტურის დარგში ჰელმუტ შეფერი, რომელიც ამ ორიოდე წლის წინათ იმყოფებოდა ბათუმში და სწორედ მაშინ დაინტერესდა „ხიდი“.

როგორც შევითქვეთ, ჩვენ ორკაციან დელეგაციას ელის არა მარტო პრემიერა სტენდალში, არამედ საკმაოდ საინტერესო მოგზაურობა და შეხვედრები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

პრემიერამდე რამდენიმე დღით ადრე ჩავვდივით ბერლინში.

ყოველ ახალ ქვეყანასთან, ახალ ქალაქთან შეხვედრა, ბუნებრივია, მდეღვარებას იწვევს, მაგრამ ბერლინის სულ სხვაა, მით უფრო ჩემი თაობისათვის, რომელმაც გადაიტანა მეორე მსოფლიო ომის მთელი სიმძიმე. ერთი თვალის გადავლებით, ბერლინის თითქოს არც ეტყობა ომის ნაკვალევი, ნანგრევებზე წამომართულა ახალი თანამედროვე ქალაქი, რომელიც მჩქეფარე ცხოვრებით ცხოვრობს, მაგრამ აქა-იქ მაინც შეხვდებით ნახევრადღანგრეულ შენობებს, რომელთა აღდგენა გეგმავთომიერად მიმდინარეობს. წიგნებში ამოკითხული თუ ეკრანზე ნანახი ცოცხლდება მეხსიერებაში, როცა თვალს ავლებ ბრძოლის ქარ-ცეცხლში გამოვლილ ადგილებს და თან ისმენ მასპინძელთა მონათხრობს, რომ, მაგალითად, აი, ამ პროსპექტზე დააბიჯებდნენ ფაშისტ მოიერიშეთა რაზმები, აქ იყო ჰიტლერის მიწისქვეშა რაიხსკანცელარია, ხოლო მეტროს იმ სადგურში ფაშისტებმა ვერაგულად შეუშვეს მდინარე შპრეე და სასიკვდილოდ გასწირეს თანამემამულეები...

ერთ დღეს მასპინძლებმა მიგვიპა-



ტიყეს ტელეკომუნიკაციების რესტორანში, სა-  
იდანაც მთელი სივრცე-სივრცით გა-  
მოჩნდა ორად გაყოფილი ბერლინი.  
მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალის-  
ტური სამყარო, პირველ რიგში, თვით  
ბონის მთავრობა, არაფერს იშურებს,  
რათა დასავლეთ ბერლინი გადაქცი-  
ოს კაპიტალიზმის სარეკლამო ვიტ-  
რინად, მბრუნავი რესტორნის ფართო  
ფანჯრებიდან ჩვენ გარკვევით ვხედა-  
ვდით, რომ იქეთა მხარეს ჯერ კიდევ  
ვერ მოეშუშებინა ნაომარი ჭრილო-  
ბები, თვით რაიხსტაგის შენობაც კი  
საყველპუროდაა შეკეთებული, მისი  
გუმბათებიდან და არქიტექტურული  
თითქმის აღარაფერია დარჩენილი.  
მაგონდება, სწორედ იმ დღეებში  
ბონის პოლევოიო დაწერა, რაიხსტა-  
გი პარიკმოხდილ მელოტ ქალს ჰგა-  
ვსო. დასავლეთ ბერლინის უდიდეს-  
მო პეიზაჟს ვერ შევლის კაპიტალის-  
ტური პრესის მაგნატის — შპრინგე-  
რის მიერ აღმართული ცათამბჟენი  
ეკრანით, რომელზეც შებინდებიდან  
დილაძე ინთება ანტისოციალისტუ-  
რი, ანტისაბჭოთა „სიახლენი“. რაიხ-  
სტაგის ზილვა გაორებულ გრძნობას  
იწვევს: ამ შენობაში ისახებოდა მსო-  
ფლიოს დაპყრობის, აღმდგენი მასო-  
ბრივი განადგურების გიჟური გეგმე-  
ბი, ამავე დროს კი გული სიამაყით  
გვესება, რომ რაიხსტაგის გუმბათზე  
სხვებთან ერთად ფაშიზმზე გამარჯ-  
ვების დროშა აღმართა ქართველმა  
კაცმა მელიტონ ქანთარიაძე.

ჩვენ ვიყავით პოტსდამში, სადაც  
გამარჯვების შემდეგ, 1945 წლის ივ-  
ლის-აგვისტოში მიმდინარეობდა დი-  
დი სახელმწიფოების მეთაურთა კონ-  
ფერენცია. მასში მონაწილეობდნენ  
სტალინი, ტრუმენი, რომელმაც, რო-  
გორც ვიცე-პრეზიდენტმა, გამარჯვ-  
ებამდე სამიოდე თვით ადრე გარდაც-  
ვლილი რუზველტი შეცვალა ამერიკის  
შეერთებული შტატების პრეზიდენ-  
ტის პოსტზე, და ჩერჩილი, რომლის  
ადგილი კონფერენციის მიმდინარეო-  
ბის დროს დაიკავა დიდი ბრიტანე-

თის ახლადარჩეულმა პრემიერ-მინი-  
სტრმა ეტლიმ.

ცეცელიენჭოფის სასახლეში, სადა  
ყოფილია მეორე მსოფლიო ომის ამ-  
სახველი მეტად შთამბეჭდავი გამო-  
ფენა და კონფერენციის მიმდინარე-  
ობის მასალები. რა თქმა უნდა, აქ  
ყოველივე ხელუხლებლად და დაცული  
და ამიტომ, რომ ტურისტები და ექს-  
კურსანტი არ აკლია ამ ისტორიულ  
ადგილს.

პოტსდამში ვინახულეთ აგრეთვე  
სანსუის უიშვიათესი არქიტექტუ-  
რული ანსამბლი თავისი სასახლე-  
ებით, სურათების უნიკალური გამო-  
ფენით, ქანდაკებებით, პარკებითა და  
ვენახის ზვრებით. აქ ერთ-ერთ მემო-  
რიალურ დაფაზე აღბეჭდილია, რომ  
ომის დამლევს აქაურობა განადგუ-  
რებისაგან გადაარჩინეს საბჭოთა არ-  
მიის მეტრძოლებმა.

ყველა ქალაქში, სადაც კი ჩვენ ჩა-  
ვიდით, გვხვდებოდნენ გერმანია-  
საბჭოთა კავშირის მეგობრობის  
საზოგადოებისა და ადგილობრი-  
ვი თეატრის წარმომადგენლები.  
ერთი მეტად საინტერესო კაცი  
დაგვხვდა ერფურტში. როცა სა-  
ხელი ვკითხე, მან უბის წიგნაკი გა-  
მომართვა და ქართულად ჩაწერა:  
„ჰორსთ ბენეკენშტაინი“. ჰორსთი  
პროფესიით ისტორიკოსია, რამდენ-  
ჯერმეა ნამყოფი საქართველოში, რო-  
დესაც მუშაობდა სადისერტაციო თე-  
მაზე: „გერმანული იმპერიალიზმის  
პოლიტიკა კავკასიაში“. 1975 წელს  
დაუცავს დისერტაცია იენის უნივერ-  
სიტეტში, რომელიც მეგობრობს  
თბილისის უნივერსიტეტთან. მისი  
მეგზურობით დავათვალიერეთ ერ-  
ფურტის ღირსშესანიშნაობანი, პი-  
რველ რიგში კი ნამდვილი „ტურისტ-  
ტული მექა“ — ქალაქი ეიზენახი, სა-  
დაც ბახის სახლ-მუზეუმში ბევრი  
რამ ახალი გავიგეთ ამ გენიალური  
კომპოზიტორის შესახებ, მოვისმინეთ  
მისი ფუგები. ვიყავით ვარტბურგის  
ციხე-სიმაგრეში, რომელიც დაკავში-



რეპულია დიდი გერმანელი რეფორმატორის მარტინ ლუთერის სახელთან, ვაგნერიის ცნობილი ოპერის „ტანგეიზერის“ შექმნასთან, გერმანიის ისტორიის ბევრ მნიშვნელოვან მომენტთან.

ვაიმარი ნამდვილი ქალაქი-მუზეუმი და მის დათვალიერებას, რატომ უნდა, ერთი და ორი დღე არ ეყოფა, მაგრამ ჩვენ არ შეგვეძლო არ მოგვეჩვენებინა ის სახლები, სადაც ცხოვრობდნენ და თავიანთ უკუდავ ნაწარმოებებს ჰქმნიდნენ ვოეთე და ფერენც ლისტი. ვაიმარში, შილერის სახლს რომ ვათვალიერებდით, თავი მოვიწონეთ ქართულ სცენაზე ამ გენიალური დრამატურგის პიესების დადგმის ტრადიციებით, რუსთაველის თეატრი და სანდრო ახმეტელის „ყაჩაღები“ მოვიგონეთ, ისიც დავირდით მუზეუმის მესვეურთ, შევეცდებით, რაიმე პატარა ექსპონატი მოგაწოდოთ. გულით გავიხარეთ, როცა აქ შილერის პიესების ქართული თარგმანიც ვნახეთ. ისიც შევიტყვეთ, რომ „ყაჩაღები“ რუსულად პირველად ქართველ ზანდუკელთა შთამომავალს სანდუნოვს უთარგმნია.

მოგზაურობის დროს თითქოს საქართველო თან გვახლდა ყველგან, ან ჩვენში ნამყოფ გერმანელს ვხვდებოდით, ან კიდევ ქართველი კაცის ნაკვალევს. ერფურტის ერთ-ერთ კინოთეატრში გვიჩვენეს ქართული კინოსადმი მიძღვნილი გამოფენა, „ელი-სოდან“ დაწყებული, დამთავრებული ლანა ლოლბერიძის ახალი ფილმით „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, რომელსაც სწორედ იმ დღეებში უჩვენებდნენ ეკრანებზე. თითქმის ყველა ოჯახში ვხვდებოდით ქართულ სუვენირებს, ხოლო ერთ მაღაზიაში ფიროსმანის ჩინებული რეპროდუქციები ვნახეთ. როდესაც პორტოს ოჯახში ვესტუმრეთ, „წინ წყაროს“ ჰანგი მოგვსმა და ასე გულში ჩამწვდომი არასოდეს მოგვჩვენებია ეს სიმღერა ჰამლეტ გონაშვი-

ლისა და ანსამბლ „რუსთავის“ შესრულებით.

მთელი ამ მოგზაურობის დროს ჩვენ საოცარ სიბოძასა და ყურადღებას ვგრძნობდით ყოველ ქალაქში, სრულიად უცნობი ადამიანებისაგანაც კი. მასხოვს, შაბათს ორი საინტერესო ფეხბურთის მატჩი იყო დაგეგმილი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები ლაიფციგში დებულობდა ჰოლანდიელებს, ხოლო თბილისში ჩვენს ნაკრებთან ამხანაგური შეხვედრა უნდა გაემართა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდს. ბერლინელმა მასპინძლებმა ამაზეც იზრუნეს. ჩვენი გულშემატკივრობის ამბავი აცნობეს მაგდებურგელებს და ამ ქალაქის კულტურის სასახლეში სუფრა ტელევიზორის წინ დაგვხვდა გაშლილი... ისე კი, ორივე მატჩის შედეგმა სტუმრებსაც და მასპინძლებსაც გული დაგვწყვიტა. გამომშვიდობებისას, შთაბეჭდილებათა წიგნი რომ დაგვიდეს წინ, მაგდებურგეში ჩვენამდე ჩასული მედიტონ ქანთარიასა და კინოდრამატურგ რეზო გაბრიაძის ჩანაწერები აღმოვაჩინეთ.

ერფურტის სასტუმროში ჩემი სახელი შემომესმა და ვიდაც კაცი გალიმებული სახით გამოემართა ჩვენსკენ. ისე მოულოდნელი იყო ეს შეხვედრა, რომ უცებ ვერც კი ვიცანი ლიტველი მსახიობი მიხეილ ევდოკიმოვი. ამ რამდენიმე წლის წინათ ვილნიუსის თეატრში დადგმულ „ხიდში“ იგი პროკურორ ირაკლი რაზმაძის როლს ასრულებდა. ახლა ევდოკიმოვი ამ თეატრის დირექტორია და ერფურტში ჩამოსულა იმასთან დაკავშირებით, რომ ორი დამძობილებული ქალაქის თეატრები ერთმანეთთან მეგობრობენ. სწორედ იმ დღეებში ლიტვური პიესის პრემიერა გაართულა ერფურტში, ხოლო მალე გერმანულ რეჟისორს ელოდნენ ლიტვის დედაქალაქში. ბუნებრივია, სიტყვა „ხიდზე“, სტენდალის პრემიერ-



რაზე ჩამოვარდა. ერფურტის თეატრის ხელმძღვანელები დაინტერესდნენ პიესით. ევლოკიოვმაც არ დაიშურა კეთილი სიტყვა.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ჩვენი დრამატურგიის პროპაგანდა, მისი გაცნობა სხვა ქვეყნებისა და ხალხების თეატრებისათვის ვერაა სათანადოდ მოგვარებული. საკუთარი გამოცდილება მაღაპარაკებს ამას. ზოგჯერ ავტორი ჩვენი ქვეყნის თეატრებში დადგმული მისი პიესის შესახებაც არაა სათანადოდ ინფორმირებული. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში რომ მივემგზავრებოდით, ვისარგებლეთ სასაზღვრო ქალაქ ბრესტში მატარებლის ხანგრძლივი შეჩერებით და ლეგენდარული გმირი ციხე-სიმაგრის სანახავად წავედით. უცებ მანქანიდან თვალი მოგვარი აფიშას წაწერით: „თავისუფალი თემა“. ბრესტში ამ პიესის დადგმის შესახებ არაფერი ვიცოდი. სპექტაკლი, რა თქმა უნდა, ვერ ენახეთ, მხოლოდ რამდენიმე წუთით შევხვდით თეატრის ხელმძღვანელებს, პიესის დამდგმელებს და სპექტაკლის მონაწილეებს. ვიმეორებ, ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, მით უფრო, რომ ქართული დრამატურგია სულ უფრო ფართო ყურადღებას იპყრობს საკავშირო და საზღვარგარეთულ სარბიელზე.

„ხიდი“ ბარე ათ ენაზე მინახავს, მათ შორის, საზღვარგარეთაც, მაგრამ, თავისთავად ცხადია, მაინც ველავადი. როგორც შემდეგ გვითხრეს, ლელავდნენ მასპინძლებიც, მით უფრო, რომ „ხიდი“ პირველი ქართული პიესა იყო სტენდალის თეატრის სცენაზე. ხოლო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მანამდე მხოლოდ გუგა ნახუცრიშვილის „ნაცარქექია“ დაედგათ. თეატრის დირექტორი (რომელსაც გერმანიაში ინტენდანტს ეძახიან) ულრიხ ჰამერი დათქმულ დროს მთელი ოჯახით დაგვხვდა სასტუმროში. მეუღლეს და

ქალიშვილიც საკმაოდ გამართულად ლაპარაკობდნენ რუსულად. სტენდალში ორდღიანი ყოფნის პროგრამა გაგვაცნეს, ხვალ დილიდან მეგზურობას თქვენი თანამემამულე გაგიწევთო, გვითხრეს. მართლაც, მეორე დღეს გვესტუმრა ჯულია აბრამიანი, თბილისში დაბადებული სომეხი ქალი, რომელიც შემდეგ ცხოვრობდა ბაქოში, იქ გაიცნო და თავისი ბედი დაუყავშირა გერმანელ ინჟინერს ვერნერს. ჯულია სტენდალის სკოლაში ასწავლის რუსულ ენას და ლიტერატურას, ამასთან საბჭოთა მოქალაქეების ჩასვლის დროს დიდი სიამოვნებით კისრულობს გიდისა და თარჯიმნის როლს. თავისთავად ცხადია, მისი მშობლიური კუთხიდან ჩასული სტუმრების მიმართ ჯულიამ განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინა.

სტენდალში არაა დიდი თეატრი, მაგრამ მისი პროფესიული დონე საკმაოდ მაღალია. ერთ ჭერქვეშ მუშაობენ დრამატული და საოპერო დასები, საბალეტო ჯგუფი, ორკესტრი. რეპერტუარში აქვთ შექსპირიც და მსუბუქი მუსიკალური კომედიაც. ჩვენს ჩასვლამდე „ხიდი“ უკვე რამდენჯერმე ეთამაშათ. მაყურებელი კმაყოფილიაო, გვითხრეს. ჯულიამ სახელდახელოდ გვითარგმნა გაზეთებში დაბეჭდილი რეცენზიები. მაგრამ, ბუნებრივია, თეატრის კოლექტივისათვის საინტერესო იყო პიესის ავტორის აზრი. სპექტაკლმა ჩემზე სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა. უკვე მერამდენეჯერ გამოცა იმან, რომ უცხოური თეატრისა და მისი მაყურებლისათვის ახლობელი აღმოჩნდა პიესის პრობლემატიკა, შორეული საქართველოს ერთ-ერთ პატარა ქალაქში დანგრეული ხიდის ისტორია და ამ ამბავთან დაკავშირებული ადამიანთა ბედი. თუმცა, არც დამდგმელი რეჟისორი ბერნ გუჰერტი და არც მარიკა ჩოდრიშვილის როლის შემსრულებელი მარტინა კრომპოლცი არასოდეს ყოფილან საქართველოში, სა-




ერთოდ, საბჭოთა კავშირში. სპექტაკლის შემდეგ გამართულ მეგობრულ შეხვედრაზე ერთმანეთს გავუზიარეთ ჩვენი მოსაზრებანი პიესაზე, სპექტაკლზე, თანაქმედროვე დრამატურგიის, თეატრის როლსა და ამოცანებზე საზოგადოების ცნობრებაში, ადამიანთა ღვაწლურებაში. მასპინძლები დაინტერესდნენ ჩემი სხვა პიესებით და გამოთქვეს „თავისუფალი თემის“ დადგმის სურვილი, როსტოკში კი „ხიდის“ პრემიერა ამ გაზაფხულზეა ნაპარაუდები.

ბერლინში დაბრუნებულმა, კვლავ განვაგრძეთ დედაქალაქის ღირსშესანიშნაობათა გაცნობა. მართლაც რომ საბჭოთა არმიის გამარჯვების ბადალი მემორიალია გაშენებული ცენტრალურ პარკში, რომელიც აქ მოსულთ მოავონებთ, თუ რა მსხვერპლის ფასად დაუვდა საბჭოთა ხალხს, მსოფლიოს ეს გამარჯვება. ამის შესხენება მით უფრო საჭიროა აქ, ბერლინში, ვინაიდან პარკიდან არც თუ ისე შორს, ბრანდენბურგის ჭიშკარს იქით, უკვე სხვა სამყაროა, სხვა გერმანია...

წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე მსოფლიოში ერთადერთმა პერგამის არქიტექტურულმა მუზეუმმა, სადაც თავმოყრილია ანტიკური ხანის უნიკალური ექსპონატები. ერთ ვეებერთელა დარბაზში ისეთი კიბეები და კოლონებია, რომ მის ფონზე ქართველი ოიდიპოსების გამოჩენა ვინატრეთ. ვიყავით აგრეთვე ბერთოდ ბრესტის მუზეუმში,

მოვინახულეთ ამ დიდი დრამატურგისა და თეატრის რეფორმატორის საფლავი, „კომიშე თქერის“ სცენაზე ვნახეთ ფელზინშტეინის მიერ დადგმული მუზიკლი „მევიოლინე სახურავზე“.

ყველგან, გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებაში თუ კულტურის სამინისტროში, თეატრალურ საზოგადოებაში თუ მოსკოვში დაბრუნების შემდეგ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოში გამართული მიღების დროს საუბარი მიმდინარეობდა მეგობრული და საქმიანი კონტაქტების განვითარებაზე, მწერლური და თეატრალური ურთიერთთანამშრომლობის კიდევ უფრო განმტკიცებაზე. ბერლინში უკვე იცოდნენ, რომ შ. რუსთაველის ნახელობის თეატრში დადგმულმა ბერთოდ ბრესტის „კავკასიური ცარცის წრემ“ 1979 წლის სახელმწიფო პრემია დაიმსახურა. რუსთაველეს მოუთმენლად ელიან გერმანიაში, მით უფრო, რომ მათ ოფიციალური ურთიერთობა აქვთ ბერლინის „ბერლინერ ანსამბლთან“, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ იმყოფებოდა თბილისში. თეატრალურ საზოგადოებაში შემოგვთავაზეს უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარება ქართველ კოლეგებთან, შემოქმედებით მუშაკთა დელეგაციების გაცვლა. ასე, რომ, სტუმარ-მასპინძლები ერთმანეთს დაცვილდით ახალი შეხვედრების ღრმა რწმენით.





რამაზ სურმანიძე

## „კუნძულ სახალისის“ ქართველები

დიდი რუსი მწერალი ანტონ ჩეხოვი, ჩვენი ვარაუდით, საქართველოში ჩამოვიდა 1881 წლის ბოლოს ან 1882 წლის დასაწყისში, ხოლო მეორეჯერ — 1888 წელს. ყირიმიდან წამოსული მწერალი იყო ახალ ათონში, სოხუმში, ფოთში, ბათუმში, თბილისში. აქედან იგი ჩავიდა ბაქოში. განზრახული ჰქონდა დასდგომოდა იმერკასპიის გზას, შემდეგ წასულიყო ბუხარისა და სპარსეთისაკენ, მაგრამ მისმა თანმხლებმა ძმის გარდაცვალების ცნობა მიიღო და მოგზაურობა შეწყდა.

ა. ჩეხოვის ეპისტოლარული მემკვიდრეობა მდიდარია კავკასიაში მოგზაურობის შთაბეჭდილებებით. მწერალი პირად წერილებში თითქმის ყველა მგობარსა და ახლობელს ურჩევდა, საქართველოში წადით, იმდენ ახალ შთაბეჭდილებას მიიღებთ, თავი სიზმარში გეგონებათო, პირადად მე, ერთი თვე რომ დავრჩე აფხაზეთში, შესანიშნავ ზღაპრებს დავწერო.

ორიოდე წლის შემდეგ მწერალმა მეტად შორეული და სახიფათო მოგზაურობა — კუნძულ სახალისის ნახვა გადაწყვიტა. ამ მოგზაურობის მიზანზე მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ა. ჩეხოვის წერილში ა. ს. სუვოროვისადმი, ეკითხულობთ: „მივდივარ საესეებით დარწმუნებული, რომ ჩემი მოგზაურობა ვერ შეიტანს ძვირფას წვილის ვერც ლიტერატურაში და ვერც მეცნიერებაში: ამისათვის არ მეყოფა

არც ცოდნა, არც დრო, არც პრეტენზია... მე მინდა დავწერო რაღაც 100-200 გვერდი და ამით ნაწილობრივ მაინც გადავუხადო ვალი ჩემს მედიცინას!.. ეს სტრიქონები მეტად თავმდაბლურად გვეჩვენება, როცა „კუნძულ სახალისის“ ეკითხულობთ. იგი არის მაღალმხატვრული ნაწარმოებიც და სამეცნიერო ნაშრომიც, რომელშიც თანაბრადია შერწყმული მხარის ისტორიული, გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული, სამედიცინო-გეოგრაფიული, სოციოლოგიური და სხვა ძვირფასი ცნობები.

ერთი შეხედვით, თვით ა. ჩეხოვის მოგზაურობაში არაფერია გასაკვირი. რა მოხდა, მწერალი წავიდა კუნძულზე და იქაური ცხოვრება შეისწავლა. მაგრამ თუ ა. ჩეხოვის იმდროინდელი ჯანმრთელობის მდგომარეობას გავეცნობით, დავრწმუნდებით, რომ ეს მოგზაურობა ნამდვილი გმირობა იყო. 1884 წლიდან ფილტვების ტუბერკულოზით დაავადებულ მწერალს სისხლიანი ხველება ჰქონდა. ამაზე მეტყველებს სწორედ სახალისზე გამგზავრების წინ დაბეჭდილი მისი წერილი „რუსკაია მისლის“ რედაქციისადმი: „მე პასუხს არ გავცემდი ცილისმწამებლებს, მაგრამ ამ დღეებში ხანგრძლივი დროით რუსეთიდან მივემგზავრები და შესაძლოა, ველარასოდეს დავბრუნდე“... აქ, რა თქმა უნდა, მწერალს მხედველობაში აქვს შერყეული ჯანმრთელობა, რომელსაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეეძლო ეღალატა. ა. ჩე-



ხოვს, მაღალკვალიფიციურ ექიმს, არ შეეძლო არ სცოდნოდა მის ორგანიზმში დაბუდებული მძიმე სენის არსებობა. შემთხვევით არ სწერდა იგი თავის ძმას ალექსანდრეს, რომ სიკვდილის საათს ვერ ავცდებოდა, ცოტა დრო დაგვრჩა სიცოცხლისათ.

მიუხედავად ამისა, მწერალს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი სახალისზე წასვლა. მოგზაურობა 1890 წლის 21 აპრილს დაიწყო და 81 დღე გაგრძელდა. ეს იყო მძიმე და სარისკო გზა, ღია ოთხთვალით, წვიმასა და გაუვალ ტალახში, აუტანელ სიცხესა და ნოტიო სიცივეში. თვით კუნძულზე ა. ჩეხოვი დარჩა 92 დღე. (უკან დაბრუნებას 59 დღე მოუხდა). ამ ხნის მანძილზე მან გაიარა მთელი კუნძული ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, იყო თითქმის ყველა დასახლებულ პუნქტში და გაეცნო გადასახლებულთა ცხოვრებას, ერთპიროვნულად აღწერა მთელი კუნძულის მოსახლეობა, შეადგინა 10000-ზე მეტი ანკეტა, მათ შორის 2.122 ბავშვისა. ყველა მათგანში პასუხი გაცემულია 12 კითხვაზე. ეს არის უზარმაზარი სამედიცინო-სოციოლოგიური გამოკვლევა.

სახალისის მკაცრ ჰავას სასოწარკვეთილებამდე მიჰყავდა გადასახლებულნი. ხანგრძლივი ცუდი ამინდები მათ უსასრულოდ ეჩვენებოდათ. მწერალი სამართლიანად შენიშნავს, ასეთი ამინდი დამთრგუნველად მოქმედებს ადამიანის აზროვნებაზე, რის გამო იძულებულია ლოთობას მიჰყოს ხელით. „აღბათ, ამინდის გავლენითაა, ზოგი გულგრილი ადამიანი მკაცრი რომ ხდება, ბევრი სულით კეთილი და სუსტი მთელი კვირებით და თვეებით მზეს რომ ვერ ხედავს, სამუდამოდ კარგავს უკეთესი ცხოვრების იმედს“. ეს პირველ რიგში კავკასიის ლაღი ბუნების შვილებს ემართებოდათ. ამიტომ, არცაა გასაკვირი, რომ ისინი ყოველ ღონეს ხმარობდნენ, ყოველ მცირე შესაძლებლობასაც არ კარგავდნენ, ამ ჯოჯოხეთისაგან თავის დასაღწევად.

„უფრო ხშირად ისინი გარბიან, ვის-

თვისაც უფრო მეტად საგრძნობია სახალისისა და მათი სამშობლოს კლიმატის სხვაობა“, შენიშნავს მწერალი, ხოლო გაქცევის მიზეზებს იგი ხედავს მთელ რიგ სოციალურ პირობებში, რომელთა შესაცვლელად საჭიროა ციხის წესების გაუმჯობესება, საავადმყოფოების და სკოლების გახსნა, გადასახლებულთა ოჯახის უზრუნველყოფა და სხვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, „ასეთი მდგომარეობა არათუ გამოასწორებს პატიმარს, არამედ გადააქცევს მას მხეცად, ხოლო ციხეს — სამხეცედ“.

გადასახლებულთა დიდ უკმაყოფილებას იწვევდა საქმის გამოძიებისა და გასამართლების გაჭიანურება თვეებით და ზოგჯერ რამდენიმე წლითაც. ალექსანდროვსკის ციხეში მწერალს შეუშინებია „ქართველი, რომელიც... უკვე ხუთი თვეა ზის ამ ბნელ ჯურღმულში და ელოდება გამოძიებას, რომელიც ჯერჯერობით არც დაწყებულა“.

გადასახლებულები ძირითადად ქოხებში იყვნენ შეყუთულნი. მწერალს გულს უკლავს ცხოვრების ელემენტარული პირობების უქონლობა. ყოველგვარ ავეჯზე ლაპარაკიც ზედმეტია. ადგილობრივმა ადმინისტრაციამ არათუ პატიმრებს, თვით ბერ ირაკლისაც კი ვერ მოუწახა შესაფერისი ბინა. მას საცხოვრებლად შესთავაზეს ზედამხედველთა ჯიხური, მაგრამ უარი განაცხადა. კარგ ამინდში მოედანზე ლოცულობდა, ხოლო უამინდობის დროს — ნებისმიერ ქოხში.

გადასახლებულთა სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს რომ განიხილავს, ა. ჩეხოვი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას შემდეგ ფაქტზე: აქ გადასახლებულ მამაკაცებს ცოლად ჰყოლიათ თავისუფალი მოქალაქენი, მიუხედავად მათი ეროვნული და სარწმუნოებრივი განსხვავებისა. ალექსანდროვსკში მწერალი შეხვედრია რუს ქალს, რომელიც სუფრასთან ყირგიზებისა და კავკასიელების დიდ კამპანიას ემსახურებოდა. „მე მის თანამეცხედრედ ჩავწერე თათარი, მაგრამ ქალმა თქვა, იგი ჩეჩენიაო, შენიშნავს მწერალი. რუსების გარდა



ქმრებთან საცხოვრებლად ნებაყოფლობით ჩამოსულან თათრები, ებრაელები, ბოშები, პოლონელები, გერმანელები. ბერ ირაკლის ა. ჩეხოვისათვის უამბნია ერთ ქართველ ქალზე, რომელიც ცოლად ჰყავდა გადასახლებულ იაკუტს. ორივემ ცუდად იცოდა რუსული ენა.

გადასახლებულები მწარე ხევდრის შემსუბუქებას იმაში ხედავდნენ, რომ თავიანთ თანამემამულეებთან ერთად იკრიბებოდნენ, ერთმანეთს არ მიატოვებდნენ შრომის დროს, პირად საკუთრებასაც ერთად ქმნიდნენ, როგორც ეს დიდ ოჯახში, ღვიძლ ძმებს შორის ხდება ზოლმე. ეს არ გამოპარვია ა. ჩეხოვის მახვილ თვალს.

კატორღელთა სწავლა-განათლებაზე ფიქრიც ზედმეტი იყო. წერა-კითხვის ცოდნასაც რომ თავი დავანებოთ, კუნძულ სახალინზე გადასახლებულებმა არ იცოდნენ ცხოვრებისეული ელემენტარული საკითხები და თავისი დაბადების წელიც კი. მწერალი აღწერს შეხვედრას ერევნელ სომხებთან, რომლებმაც „არ იცოდნენ თავისი ასაკი. ერთმა მათგანმა ასე მიპასუხა: „შესაძლოა ოცდაათი-სა ან შესაძლოა უკვე ორმოცდაათისაც ვარო“.

წერა-კითხვის უცოდინარობის გამო გადასახლებულების მაგივრად სამშობლოში გასაგზავნ ბარათებს სპეციალური მწერლები წერდნენ. მათში ისინი აღწერენ პატიმართა უიმედო ცხოვრებას, სიღატაკს და მწუხარებას. ერთ-ერთი ასეთი მწერალი იყო ქართველი ქელბაქიანი.

ჰუმანისტი მწერლის აღშფოთებას იწვევს გადასახლებულთა სამედიცინო დახმარების სავალალო მდგომარეობა. კუნძულის ადმინისტრაციას არ ცდილობდა ოდნე მიაწვდინა გაუქმებულებს იგი, პირდაპირ, თითქოსდა ხელოვნურად ქმნიდა ისეთ პირობებს, რომლებიც ხელს შეუწყობდა ბევრი საშიში დაავადების გავრცელებას. კარსაკოვსკი საავადმყოფოს დათვალიერებისას ა. ჩეხოვმა შემაზრგენი სურათი იხილა: ერთ ოთახში იყვნენ მოთავსებული 14 ათამანი-

ნი და სამი სულთ ავადმყოფი. ამ უკანასკნელთაგან ერთი იქვე დაავადებულა ათამანიტით. „ამ სულთ ავადმყოფები ციხის ექიმის განკარგულებით კოცონზეც რომ დაწვან, ესეც არ არის გასაკვირი, რამეთუ აქაური საავადმყოფოს წესები ცივილიზაციას ჩამორჩება სულ ცოტა ორასი წლით“. — აცხადებს ა. ჩეხოვი.

მოგზაურობისას მწერალი ასეთი სურათის მოწმეც გამხდარა: წყაროსთან სილაზე გულწასული იწვა მოხუცი კავკასიელი. ორ მის თანამემამულეს ხელი მოეკიდა ავადმყოფისათვის და დაბნეულად იქეთ-აქეთ იცქირებოდნენ, შველას თხოულობდნენ. მწერალმა გასინჯა ავადმყოფი და შემდეგი ჩანაწერი გააკეთა: „მოხუცი გაფიტებულიყო, ხელები გაციებოდა, მაჯა სუსტი ჰქონდა... როცა ჩემს თანმხლებ ექიმს ვუთხარი, ურიგო არ იქნებოდა, ვალერიანის წვეთები მაინც მიგვეცა მოხუცისათვისო, მან მიპასუხა, ვოევოდის ციხის ფერშლებს არავითარი წამალი არ აქვთო“.

პროცენტულად დაავადებულები კავკასიელთა შორის მეტი იყო. ისინი ხშირად უჩიოდნენ „გულის დაავადებას“.

გადასახლებულთა ზრუნვაზე ა. ჩეხოვის მოწოდება უყურადღებოდ არ დარჩენილა. მეტად საყურადღებო ფაქტია კატორღელ ქართველთა მეცადინეობა სახალინზე ქართული ბიბლიოთეკის გახსნის შესახებ. 1897 წელს გაზეთ „მწყემსში“ გამოქვეყნდა ვანო ცუცხაშვილის წერილი, რომლითაც იგი იტყობინებოდა სახალინზე მცხოვრებ სამასამდე ქართველის სურვილს — მშობლიურ ენაზე დაბეჭდილი წიგნების კითხვისა და ამ საქმეში დახმარების საჭიროების თაობაზე. ვ. არდიშვილს მოუგროვებია ორასამდე სხვადასხვა ქართული წიგნი და ქველმოქმედთათვის მიუმართავს, შემომწირველთა გვარები გაზეთში გამოქვეყნდებოთ. იმავე წელს ვ. არდიშვილი სწერს, რომ 384 ცალი წიგნი უკვე გაგზავნა სახალინზე თავისი ხარჯით.

როგორც ჩანს, სახალინზე ქართული



ბიბლიოთეკის გახსნის ინიციატორი და მისი პირველი გამგე ყოფილა ვანო არდიშვილის ახლო ნათესავი, შესაძლოა ძმა, ალექსანდრე გიორგის ძე არდიშვილი. „ეს რამდენი ხანია სახალისის კუძულზე გადმოხვეწილი ქართველები შევეუდექით ქართულ წიგნთსაცავ-სამკითხველოსა და პირველი დაწყებითი სკოლის აგებას, მაგრამ ჩვენ, როგორც ხელმოკლე, სიღარიბეში მყოფ ქართველებმა, მარტო სასურველად ვერ შევძელით“, ამიტომ ითხოვს დაეხმარონ, რათა „რითაც საშუალებას მოგვცემენ ამ შორეულს ქვეყანაში მივაწოდოთ გონებას მასალა მსურველ ქართველთა მკითხველებს, რომ ფიზიკური სასჯელი გონება-ზნეობის წვრთნა-ვარჯიშობით შეიმსუბუქონ და სულიერად თავისი ადამიანური ელფერი არ დაკარგონ. სახალისის უფასო წიგნთსაცავის სამკითხველოს დამაარსებელი ა. გ. არდიშვილი“.

როგორც ვხედავთ, ქართველი ინტელიგენცია თითქმის იმსჯე იმეორებს, რასაც საჭიროდ თვლიდა დიდი რუსი მწერალი.

ა. ჩეხოვი ჩვეული ოსტატობით აღწერს კატორღელთა არაადამიანურ შრომას. როგორც უკვე ვთქვით, კატორღის პირობებს განსაკუთრებით კავკასიელები ვერ ეგუებოდნენ, მათ დატანჯული სახე აქვთო, შენიშნავს მწერალი. იგი პირადად გაცნაობრა ჩვენს თანამემამულეებს, რომლებმაც შესჩივლეს, ზამთრობით ხელფეხი გვეყინება, სანამ მორებს საგუშაგომდე მივიტანდეთო.

კატორღელთა ცხოვრების ერთი ყველაზე დიდი სატანჯველი ბორკილები იყო. ათეულ წლებს გადასახლებული ბორკილებდადებული ატარებდა. ამ სასჯელისაგან პატიმარი თავისუფლდებოდა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. იმპერატორი საოჯახო დღესასწაულისა თუ სხვა ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით გამოსცემდა ხოლმე ბრძანებას, რათა გადასახლებულთა გარკვეული ნაწილი გაეთავისუფლებინათ ბორკილებისაგან. ა. ჩეხოვი აღწერს შემთხვევას, როცა მისი იქ ყოფნის

დროს, 1890 წლის 19 ივლისს, კუნძულზე ჩამოვიდა ამურის გენერალ-გუბერნატორი ბარონი ა. კორფი. ალექსანდროვსკში მან დაამკაფილა ზოგიერთი პატიმრის თხოვნა ბორკილის ახსნის თაობაზე. მართალია, მწერალი არ ასახელებს ბორკილახსნილთა გვარებს, მაგრამ ამ შემთხვევას უნდა უკავშირდებოდეს ჩვენი ოჯახის ერთი წევრის — მამაჩემის ბიძის სეფერის ბიოგრაფია. იგი ჯერ მანჯურიაში, ქალაქ ხარბინში იყო გადასახლებული. გაქცევა სცადა, მაგრამ შეიპყრეს, ახლა კუნძულ სახალისზე გადასახლეს და ბორკილები დაადეს. ხანდაზმულების თქმით, როდესაც რუსეთის მეფეს ვაჟი შეეძინა, მანიფესტი გამოსცა ზოგიერთ კატორღელზე ბორკილების აყრის შესახებ. „ბიძაჩემი ღენერალმა ქორფამ გაათავისუფლაო“, — ამბობს მამაჩემი. „ქორფა“ იგივე ა. კორფი უნდა იყოს. მან კუნძულ სახალისზე აღასრულა იმპერატორის ნება, შეწყალება მამაჩემის ბიძისაც შეეხო. მართალია, ბორკილები აყარეს, მაგრამ თთხი წელი მაინც დარჩა სახალისზე, შემდეგ სულთი ავადმყოფი სახლში დაბრუნდა და 1899 წელს გარდაიცვალა.

კუნძულზე ყველა ერთმანეთს „ძმას“ ეძახოდა, რადგანაც ერთად იყოფდნენ ჭირსა და ტანჯვას, მაგრამ, როგორც ა. ჩეხოვი აღნიშნავს, საერთო მაინცდამაინც ბევრი არაფერი ჰქონდათ რა. მათი ეროვნება, სარწმუნოება და ენა სხვადასხვა იყო. „მოხუცები აკვირდებიან ამ სიჭრელეს და მწარე ირონიით ამბობენ: რა საზოგადოება შეიძლება იყოს, როცა ერთსაღამავე სოფელში ცხოვრობენ რუსები, უკრაინელები, თათრები, პოლონელები, ებრაელები, ყირგიზები, ქართველები, ბოშები“. ასეთი მდგომარეობა იყო, მაგალითად, ქვემო არმუდანში, „აქაური მცხოვრებლები, — ამბობს მწერალი, — ეს არის რუსების, პოლონელების, ფინელების, ქართველების, მშვიერ და ტანსაცმელშემოკლავი ადამიანების რაღაც უწყსრიგო ბრბო, რომელიც აქ მოსულა არა თავისი სურვილით ან შემთხვევით, არამედ, თით-



ქოსდა, გემის კატასტროფის შემდეგ“.

მწერალს აინტერესებს რუსეთის სხვადასხვა გუბერნიიდან ჩამოსულთა რიცხოვრები შემადგენლობა და წერს, რომ კუნძულ სახალინზე მუდმივ მცხოვრებ 5.791 კაციდან დაბადების აღვილად კავკასიის გუბერნიები დასახელა ორას-ცამეტმა ანუ 3,6 პროცენტმა. კავკასიელების სიმცირეს მწერალი იმით ხსნის, რომ ისინი მალე კარგავენ ძალ-ღონეს, სულით ეცემიან და ტოვებენ თავთავიანთ დაუმთავრებელ სახლებსო.

სამაგიეროდ ციხეებში კავკასიელები გაცილებით მეტ პროცენტს შეადგენდნენ, რასაც ა. ჩეხოვი იმით ხსნის, რომ ისინი საკატორღო ვაღს ვერ ამთავრებდნენ, ხშირად გარბოდნენ, მათ შორის განსაკუთრებით მაღალი იყო სიკვდილიანობა.

მწერლის ჩასვლამდე ორი წლით ადრე შექმნილა დასახლებული პუნქტი „კრასნი იარი“, სადაც 90 კაცი ცხოვრობდა, აქედან 7 კავკასიელი. მათ „მიუტოვებითა მუშაობა, შეყუჟულან ერთ ქოხში და სიცივისაგან ითოშებიან, თუმცა ჯერ მხოლოდ 2 აგვისტოა!“.

მწერალი ცდილობს კუნძულის ბინადარნი დააჯგუფოს არამარტო ეროვნულ-ტომობრივ, არამედ სარწმუნოების მიხედვითაც: „ჩემს მიერ ჩაწერილთა შორის მართლმადიდებელნი 86,5 პროცენტს შეადგენენ, კათოლიკები და ლიუთერანები — 90 პროცენტს, მაჰმადიანები 2,7 პროცენტს, დანარჩენები იუდეველები და სომეხ-გრიგორიანელები არიან“.

მწერალი ჩვეული პროფესიული ოსტატობითა და მეცნიერული კეთილსინდისიერებით აღწერს კუნძულ სახალინის აბორიგენების — გალიაკების (ნიგხების) და აინოს ტომის ანთროპოლოგიურ ნიშნებს, ადათ-წესებს, ეთნოგრაფიას, ხასიათს და სხვ. ამასთან კრიტიკულად განიხილავს ორივე ტომის ანთროპოგენეზზე მიძღვნილ მეცნიერულ თეორიებს. ზოგი მოგზაური და მეცნიერი გილიაკებს მიაკუთვნებდა კავკასიურ ტომებს, რაც, ა. ჩეხოვის სიტყვით, ემყარება მათს

მხოლოდ გარეგნულ მსგავსებას და არ არის დასაბუთებული მეცნიერულად. ცარიზმისდროინდელი მოგზაურებმა ზოგი ცნობილი მეცნიერებიც კი ვერ ანსხავებდნენ კავკასიის ერებსა და ტომებს და ზოგიერთი ფაქტის აღწერისას ხელალებით ხმარობდნენ ტერმინ „კავკასიელს“, ან ერთი ტომის ამათუიმ ნიშანს მიაწერდნენ მეორეს, რითაც უხეშ შეცდომებს უშვებდნენ. მათგან განსხვავებით, ა. ჩეხოვი შესანიშნავად ერკვევა არამარტო კავკასიის მოსახლეობის ძირითად ეროვნულ შემადგენლობაში, არამედ იცნობს მცირერიცხოვან ტომებსა და ხალხებს. ნაწარმოებში ცდილობს ზუსტად დასახელოს ის ტომი და ხალხი, რომელსაც მიეკუთვნება კატორღელი; მაგალითად, ქართველი, სომეხი, თათარი, ჩერქეზი, ჩეჩენი და ა. შ.

კავკასიის ხალხთაგან მწერალი განსაკუთრებით ხშირად ეხება ქართველებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ კუნძულზე ქართველთა რიცხვი სხვებთან შედარებით დიდი იყო. (ა. ჩეხოვის მიერ მოწოდებული მასალებისა და იმდროინდელი ქართული პრესის გაცნობის შედეგად, სავარაუდოა, რომ მწერლის მოგზაურობის დროს კუნძულზე ქართველთა რიცხვი 300 სულს აღემატებოდა). საყურადღებოა, რომ ა. ჩეხოვი თავის ნაწარმოებში ქართველების გარდა არ ასახელებს არცერთ კავკასიელს გვარს.

ქართველები ბევრი ყოფილან სოფელ ანდრეი-ივანოვსკში. აქაურთა შორის ა. ჩეხოვი ასახელებს აზნაურებს ქუთაისის გუბერნიიდან — ძმებს ალექსი და თეიმურაზ ჩიქოვანებს, ძათი მესამე ძმა ჭლეტით გარდაიცვალა. ა. ჩეხოვს დაუთვალეირებია მათი საცხოვრებელი და ჩაუწერია, ქოხში არავითარი ავეჯი არა აქვით. მწერალი აღწერს 1880 წლის სექტემბერს ქართველ ქელბაქიანთან შეხვედრას.

როცა გაქცეულთა შესახებ იწყებს თხრობას, ა. ჩეხოვს მაგალითად მოჰყავს თბილისის სემინარიის მოსწავლე, დეკანოზ ჩუდეცის მკვლელი იოსებ ლაღიშვილი: „ცნობილი ლაღიევი, გადმო-



სახლებული ტფილისის სემინარიის რექტორის მკვლელობის გამო და კორსაკოვსკში მასწავლებლად მყოფი, გაქცეა 1890 წლის აღდგომის დღეს კატორღელ ნიკოლსკისთან, მღვდლის შვილთან და სამ მაწანწალასთან ერთად. მალე, აღდგომის დღესასწაულის შემდეგ, თითქოს დაუნახავთ სამი მაწანწალა ნაპირ-ნაპირ გადადიოდა მურავიოვის პოსტისაკენ, მაგრამ მათთან ლაღიევი და ნიკოლსკი უკვე აღარ იყვნენ; მწერალი დაასკვნის, უდავოა, მაწანწალებმა დაითანხმეს ახალგაზრდა ლაღიევი და მისი ამხანაგი ერთად გაქცეულიყვნენ, გზაზე მოკლეს ისინი, რათა ხელში ჩაეგდოთ მათი ფული და ტანსაცმელი.

ნაწარმოების პირველ ვარიანტში ა. ჩეხოვი უფრო სიფრთხილეს იჩენს და სიტყვა „უდავოს“ ნაცვლად ამბობს: „თუ ეს ხმები მართალია, მაშინ, ალბათ“... ე. ი. ლაღიშვილის სიკვდილი მას დადასტურებულად არ მიაჩნია და მოჰყავს ცნობა იმის შესახებ, რომ მისისიზის მარჯვენა მხარეს ცხოვრობენ სახალინიდან გაქცეული კატორღელებიო. სხვათა შორის, ეს დასტურდება ქართული პრენითაც. 1890 წელს „ივერია“ წერდა, რომ „იოსებ ლაღიშვილი, რომელსაც 20 წლით კატორღა ჰქონდა გადაწყვეტილი და გაგზავნილი იყო სახალინის კუნძულზე... გაქცეულა ნავითო, მიუღწევია ერთს უცხო ქვეყნის გემამდე და ამ გემით გადასულა ამერიკაშიო“. „ივერიის“ ცნობა შემდგომმა გამოკვლევებმაც დაადასტურა.

საინტერესოა, რომ ა. ჩეხოვი გვარის — ლაღიევის გამოყენებას ფიქრობდა თავის მოთხრობაში „დუელი“, რომლის წერა სახალინიდან დაბრუნებისთანავე

დაიწყო და 1891 წლის აგვისტოში დაამთავრა.

სამწუხაროდ, „კუნძულ სახალინის“ გამოცემლები და რედაქტორები გაუფრთხილებლად მოეპყრნენ ლაღიშვილის როგორც გვარს, ისე პიროვნებას. მე-10 ტომის საძიებელში ნათქვამია: „ლაღიევი სახალინელი მაწანწალააო“, მაშინ, როდესაც ა. ჩეხოვი გარკვევით სწერს, რომ ლაღიშვილი კორსაკოვსკში მასწავლებლად მუშაობდაო.

გაქცევის მიზეზად პირველ რიგში მწერალი სამშობლოს სიყვარულს თვლის, კატორღელი არას დაგიდევთ გაქირვებას, ავადმყოფობას, სიბრმავეს, სიყრუეს და სირცხვილს, ოღონდაც სახლში მოკვდესო, ამბობს მწერალი და ასკვნის: დარწმუნებული ვარ, რომ 50-100 წლის შემდეგ სამუდამო სასჯელს ისეთივე უაზრობად და უხერხულობად ჩათვლიან, როგორც ახლა ჩვენ ვთვლით ნესტოების მოგლეჯას და მარცხენა ხელზე თითის მოჭრას... როცა შემთხვევა მქონდა მესაუბრა კავკასიელებთან კავკასიაზე... და ვაკვირდებოდი მათ მოღუშულ, ცრემლით მოელვარე თვალებს და ვისმენდი მათ ოხვრას... ჩემთვის ნათელი იყო, რომ სახალინი მატერიალიდან 100 მილზეც რომ ყოფილიყო დაშორებული, მაშინაც კი ლტოლვილები ზღვაში ჩაცვივდებოდნენ ტივებზე და გაჩერებულ კარკაპებზე“.

როგორც აღვნიშნეთ, „კუნძული სახალინი“ ვრცელი და საინტერესო ნაშრომია. ავტორის ამ ნაწარმოებმა ძალზე მალე მოაღწია რუსეთის ყველა მკითხველამდე, გაუღვივა მათ ინტერესი სახალინზე მცხოვრებთა მიმართ, შექმნა საზოგადოებრივი აზრი მეფის ხელისუფალთა დანაშაულებრივ მოქმედებაზე.





აჭარა და მთელი სამხრეთ საქართველო ქვისთაღიანი ხიდებისა და საკომუნიაკაციო საშუალებათა სიმრავლით გამოირჩევა. თაღიანი ხიდების ნაწილი დღევანდლამდე შემორჩა და პრაქტიკულად გამოიყენება, ნაწილმა კი ნაშთების სახით მოაღწია ან სრულიად გაქრა. ორიგინალური კონსტრუქციის ქვისთაღიანი ხიდები ძველი საინჟინრო ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშებია, რომლებიც ორგანულად იყო შერწყმული მთავარ და მეორეხარისხოვან სამიმოსვლო გზებთან. ისინი ფეოდალიზმის ხანაში სამეურნეო და კულტურული ცხოვრების დაწინაურების კვალდაკვალ განსაკუთრებით ინტენსიურად შენდებოდა და დიდმნიშვნელოვან როლს თამაშობდა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

შემთხვევითი არ არის, რომ მკვლევარები, რომლებიც აჭარაში მოგზაურობდნენ ოსმალთა ბატონობის დროს, მისი განთავისუფლებისა და დედამამშობლო საქართველოსთან დაბრუნების შემდეგ, ან სხვა არხებით იცნობდნენ აჭარას, დიდ ყურადღებას მიაქცევდნენ აგრეთვე ქვისთაღიან ხიდებს, შიდა სამომსვლო და გარე ქვეყნებთან დამაკავშირებელ გზებს, რომელთაც სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობაც ჰქონდათ. მოგზაურ-მკვლევართა ცნობები აჭარის ძველი ხიდების შესახებ ცალკე ნაშრომშიც აისახა (ნ. კვეზერელი-კობაძე. საქართველოს ძველი ხიდები, თბ., 1972).

მიუხედავად ამისა, მკითხველს დღემდე არ ჰქონდა ისეთი ნაშრომი, რომელშიც აჭარის ძველი ხიდების, შიდა სამიმოსვლო და გარე ქვეყნებთან დამაკავშირებელი გზების ისტორია შედარებით ვრცლად და მრავალმხრივ იქნებოდა შესწავლილი. ამ ნაკლს მნიშვნელოვნად ავსებს შალვა ვარშანიძის ნაშრომი „გზები და საგზაო ნაგებობანი ძველ აჭარაში“, რომელიც შარშან გამომცემ-

ლობა „საბჭოთა აჭარამ“ დასტამბა (რედაქტორი ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი დავით ხახუტაიშვილი).

სარეცენზიო ნაშრომის პირველ თავში დახასიათებულია აჭარის შიდა სამიმოსვლო და გარე ქვეყნებთან დამაკავშირებელი გზები.

ძველ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, ავტორი საცხებით სწორად მიუთითებს, რომ აჭარისათვის დამახასიათებელი გზები ერთ-ერთი უძველესია კავკასიაში. იგი უმთავრესი გზების რიცხვში აქცევს იმ ტრასებს, რომლებიც აჭარის ზღვისპირეთში, აჭარისწყლის, ჭოროხის, მაჭახლის და კინტრიშის ხეობებზე გაივლიდა. ზღვისპირეთის ტრასა, ავტორისეული დახასიათებით, ძველი საქართველოს საგზაო ქსელის ყველაზე არსებითი ნაწილი იყო, რომლითაც ქარავნები მიმოდრიდნენ შავი ზღვისპირა ჩრდილო კავკასიასა და სამხრეთის ქვეყნებში. ამ გზით უკავშირდებოდა ლაზიკა რომაულ პროვინციებს, ბერძნულ ახალშენებს. ეს გზა და მასზე მდებარე ქალაქები/და ნავსადგურები რომში შედგენილ მეოთხე საუკუნის რუკაზეც აღუნიშნავთ. რომელთა ასეთი ყურადღება აღნიშნული გზისადმი მისი დიდი სავაჭრო-ეკონომიკური მნიშვნელობით აიხსნება. ამ გზით უმოგზაურია არა ერთ მწერალს, ისტორიკოსს, სამხედრო თუ სხვა სახის მოღვაწეს (პეროდოტე, პლინიუსი, სტრაბონი, არიანე და სხვ.) და მათ ძვირფასი ცნობები დაუტოვებიათ აქაური მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაზე, მეურნეობასა და კულტურაზე.

ნაშრომი გვაცნობს, რომ არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა შავი ზღვისპირა აჭარიდან ჭოროხის ხეობით (სახმელეთო, სამდინარო) ართვინისაკენ მიმავალ გზას. დაწვრილებით არის დახასიათებული აჭარისწყლის ხეობით მიმავალი ცენტრალური სახმელეთო გზა, რომელიც თავის მხრივ ორ მთავარ შტოდ



იყოფოდა. ერთი გოდერძის უღელტეხილით სამცხე-ჯავახეთში გადადიოდა, მეორე სხალთისა და მარიტის ხეობით შავშეთსა და ქვაბლიანს უკავშირდებოდა. შ. ვარშანიძე იმოწმებს აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ტრაპიზონიდან გონიოს გამოვლით დიდაჭარას მოსული ანდრია მოციქული სამცხეში გოდერძ-ქვაბლიანის გზით უნდა შესულიყო. ნაშრომიდან ისიც ირკვევა, რომ აჭარისწყლის ხეობის ცენტრალური გზით შოთა რუსთაველის ეპოქაში გაცხოველებული მიმისვლა უნდა ყოფილიყო უფრო შორეულ პროვინციებთან, ამის დასადასტურებლად ავტორს მოაქვს ცნობა აბუსერძე ტბელის თხზულებიდან (XIII ს.), სადაც ნათქვამია, რომ ცხმორისიდან (ქედის რ.) სამოვარზე წასულნი, რომლებიც ხელოსნები უნდა ყოფილიყვნენ, თბილისში, სომხეთსა და სპარსეთის ნაპირებამდე აღწევდნენ. შ. ვარშანიძის სწორი დაკვირვებით, ამ შორეულ მხარეებში მათ გოდერძითა და სამცხის გავლით უნდა ემოგზაურათ.

დახასიათებული გზებით ხორციელდებოდა ჩამოთვლილ კუთხეთა სავაჭრო და კულტურული ურთიერთობა, სხვადასხვა ტომთა თუ ხალხთა (მათ შორის დამკურთხათა) მოძრაობა.

წიგნში მიმოხილულია აჭარის შიდა სამომოსვლო მნიშვნელობის გზები, რომლებიც აერთებდა სოფლებს, თემებს, ხეობებს და ხელს უწყობდა მათ შორის სამეურნეო და სხვა ხასიათის ურთიერთობათა განვითარებას.

წიგნის მეორე თავში შესწავლილია ქართული ქვისთაღიანი ხიდები, მათი მშენებლობის კონსტრუქციული თავისებურებანი, მშენებელთა ვინაობა.

შრომში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია აჭარაში გავრცელებულ ქვისთაღიან ხიდებზე, მაგრამ მასთან ერთად განხილულია მთელი სამხრეთ საქართველოს თაღიანი ხიდები, ამას ავტორი იმით ასაბუთებს, რომ აჭარის, ასევე სამხრეთ საქართველოს სხვა პროვინციების (შავშეთ-იმერხევი, ტაო-კლარჯეთი)

ხიდები საგზაო ნაგებობათა ერთიან ქსელს ქმნიდნენ და ისინი კონსტრუქციულად ძირითადად ერთნაირად მომგვიდგება. საკითხი მართებულია არის დასმული.

აჭარაში არსებული ხიდები დახასიათებულია ცალკეულ ხეობათა (ჭოროხი, აჭარისწყალი, მაჰახელო, კინტრიში) მაგალითზე. ავტორი აჭარის ხიდების შესახებ არსებული წერილობითი მონაცემების უბრალო ჩვენებით კი არ კმაყოფილდება, არამედ აზუსტებს მათ რაოდენობას, ავლენს და სათანადო ადგილს მიუჩენს იმ ხიდებსაც, რომლებიც დღემდე ნაკლებად ან სრულიად არ იყო ცნობილი.

შ. ვარშანიძე, ზოგიერთ მკვლევართა კვლედაკვალ ავითარებს შეხედულებას იმის შესახებ, რომ ქვისთაღიანი კონსტრუქციის ხიდების მშენებლები აჭარასა და სამხრეთ საქართველოში იყვნენ არა უცხოელები (ვენეციელები, გენუელები), არამედ ადგილობრივი ოსტატები, რომლებიც, საერთოდ, სამეშუო ქვეთხურობად ითვლებოდნენ. ამის სამაგალითოდ შრომაში მოტანილია ნ. კონდაკოვისა და ბ. ნადეჟინის გამოთქვამები, რომლებიც მაღალ შეფასებას აძლევენ ქვის დამუშავების ქართულ თვითმყოფად ტრადიციებსა და სტილს. ქართული ქვეთხურობა მაღლა იდგა ბიზანტიურზე (ნ. კონდაკოვი). საერთოდ კი, ქართველმა ხუროთმოძღვრებმა გაცილებით ადრე გამოიჩინეს ყველაზე რაციონალური ფორმა თაღებისა, რომლებსაც სოლისებური ფილებისაგან აშენებდნენ (ბ. ნადეჟინი). ერთი სიტყვით, სამხრეთ საქართველოში მაღალ დონეზე იდგა ქვის სამშენებლო ტექნიკა, რასაც ცოცხლად მოწმობს საფარისა და კუმურდოს, ზარზმისა და სხალთის, ოშკისა და სხვა ნაგებობანი. მართლაც სავსებით ბუნებრივია, რომ თაღიანი ხიდების მშენებლებად ადგილობრივი ოსტატები ვიგულებოთ. ამათ რიგს, ჩვენი აზრით, ლაზი ქვის ოსტატებიც უნდა მივაკუთვნოთ, რომლებიც ასევე დიდად დახელოვნე-



ბული იყვნენ ქვეთხურობითა და „ხის მუშაკობით“.

მონოგრაფიის დიდი ნაწილი ეთმობა მესამე თავს, რომელშიც მოცემულია აჭარასა და სამხრეთ საქართველოში არსებული ქვისთაღიანი ხიდეების დათარიღების ცდა. ავტორი ფართო კომენტარებს უკეთებს საკითხთან დაკავშირებულ ისტორიულ, არქეოლოგიურ, არქიტექტურული ლიტერატურის მონაცემებს საქართველოში ქვისთაღიანი ხიდეების პერიოდიზაციას და არ იზიარებს მკვლევართა მოსაზრებებს აჭარასა და მეზობელ კუთხეებში ასეთი ხიდების X-XII საუკუნეებში და თვით თამარის ეპოქაში აშენების თაობაზე. აჭარაში ქვისთაღიანი ხიდების მშენებლობაში იგი ძირითად პერიოდს გამოყოფს. პირველს აკუთვნებს IV-V საუკუნეებს, მეორეს — VII-VIII საუკუნეებს.

ნაშრომში გატარებულია აზრი, რომ ხიდების მშენებლობის სტილი ყველა დროში თითქმის ერთნაირი იყო და მომდევნო საუკუნეებში ახალ სტილს კი არ ქმნიდნენ, არამედ შემუშავებულ სტილს ავითარებდნენ. შესწავლილი მასალების საფუძველზე ავტორი დაასკვნის, რომ ქვისთაღიანი კონსტრუქციის ხიდები ძირითადად იბერია-მესხეთისათვის არის დამახასიათებელი.

სარეცენზიო წიგნის ერთ-ერთი ღირსება ისიც არის, რომ მასში თავმოყრილია და გაანალიზებული საპრობლემო საკითხთან დაკავშირებული დიდძალი ლიტერატურა, მათ შორის, პირველწყაროები, რაც ავტორს საშუალებას აძლევს ფართოდ, საკვლევი და მოსაზღვრე რეგიონების საერთო სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ფონზე, განიხილოს გზები და საგზაო ნაგებობანი ძველ აჭარაში და განსაზღვროს მათი ადგილი და როლი ცალკეულ ხეობათა სამეურნეო, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ქართული კულტურის ისტორიაში. პარალელურად ავტორი მაჯელობს საკვლევი რეგიონის ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმის საკითხებზე, აქ მცხოვრები უძველ-

სი ტომებისა და ადგილთა სახელების ახსნაზე.

შრომას ერთვის დასკვნები, რომელთა მეტყველება ენაზე, რამდენიმე თაღიანი ხიდის ფერადი ილუსტრაცია და მდინარე აკამდისის დელტის სქემატური რუკა.

სარეცენზიო ნაშრომში ხიდებთან და გზებთან დაკავშირებული ბევრი რთული საკითხია დასმული და, ბუნებრივია, მის ავტორს ყველა მათგანზე ამომწურავი პასუხის გაცემა გაუძნელდებოდა. ამიტომ უნდა აიხსნას, რომ შრომა დადებით შეფასებასთან ერთად რიგ შენიშვნებს იმსახურებს.

პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს წიგნის ზოგიერთი დებულება, რომელიც საკამათოა და შემდგომ დაზუსტებას საჭიროებს. სრულად არ გამოიყურება ქვისთაღიანი ხიდების პერიოდიზაცია აჭარაში, რომელსაც შ. ვარშანიძე გვთავაზობს, როგორც ითქვას, ნაშრომის ავტორი ხიდების მშენებლობაში ძირითადად ორ პერიოდს გამოყოფს, რომელიც ქრონოლოგიურად IV-V და VII-VIII საუკუნეებს მოიცავს, თუმცა არ გამოორიცხავს ასეთი ხიდების მშენებლობას არც ადრეულ საუკუნეებში და არც თამარის ეპოქაში. ჩვენი აზრით, სანამ აჭარის ქვისთაღიანი ყველა ხიდი სპეციალისტთა მიერ ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით გულდასმით არ იქნება შესწავლილი, მანამდე ძნელია თქმა, თითოეული როდის აშენდა და ვის მიერ. მაგრამ VIII საუკუნის შემდეგ, განსაკუთრებით შოთა რუსთაველის და მომდევნო ეპოქაშიც რომ მსგავსი კონსტრუქციის ქვისთაღიანი ხიდები შენდებოდა ეს რეალური ფაქტია. ავტორი ამ მხრივ არსებული ლიტერატურის მონაცემებს არ იზიარებს, თავისი დებულების დასამტკიცებლად კი სათანადო მტკიცე არგუმენტი არც მას მოეპოვება. შ. ვარშანიძე კრიტიკულად უდგება ზოგიერთ ავტორიტეტულ ისტორიკოს მკვლევართა შეხედულებებს და სხვა, თავისეულ დებულებებსაც გვთავაზობს, მაგრამ ისინიც ზოგ-



გერ ანალოგიუბზე დამყარებული. ამიტომაც მკითხველი ავტორისეული ზოგერთი დებულების სისწორეში ნათლად დარწმუნებული ვერ იქნება. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ წიგნში მოტანილი პრეტენზიული და გაბედული დებულებები სერიოზული მეცნიერული კამათის სარბიელს იძლევა და საკითხების შესწავლით დაინტერესებულთ შემდგომი სიღრმისეული კვლევისათვის განაწყობს.

საქირო იყო უფრო ვრცლად (და არა გაკვეთით) თქმულიყო მაქაზლის ხეობაში გამავალი გზის მნიშვნელობაზე, ქოროხის ხეობის ზემო პროვინციების (შავშეთი და სხვ.) ბათუმთან ურთიერთობის საქმეში. ავტორს უნდა ეთქვა, რომ ეს იყო უმოკლესი სახმელეთო გზა აღნიშნული პროვინციების ზღვისპირეთთან დასაკავშირებლად (ვრცელი გზა ქოროხის დინებას მიყვებოდა), სადაც ყველაზე მრავლად გვხვდება ქვის თალიანი კონსტრუქციის სხვადასხვა სიგრძისიგანის ხიდები. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე ტოპონიმი აჭარისადმართი (სოფლის სახელია), რომელიც ამ გზაზე მდებარეობს და აჭარის სამიწოსელო გზების შესწავლაში მნიშვნელოვანე შენაარსის შემცველია. ასევე, ავტორს ყურადღება უნდა გაემახვილებია მეზაურთა შესასვენებელ ადგილებზე, რაც აჭარის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ხანების სახელწოდებით არის ცნობილი და სპეციალურ სასტუმრო სახლებზე ანუ ე. წ. მეიდანოდებზე, რომელთაც უშუალო კავშირი აქვთ ცენტრალურ და შიდა სამიწოსელო გზებთან. ასეთი ხანები არსებობდა კერძოდ აჭარისწყლისა და ქოროხის ხეობებით გამავალ გზებზეც, რაც ეთნოგრაფიულად დადასტურებულია.

ნაშრომი ნაკლებია ფოტოილუსტრაციებითაც. მასში მხოლოდ ქვის სამი თალიანი ხიდია წარმოდგენილი: კობალაურისა და ჩხუტუნეთისა (თუმცა ჩხუტუნეთის სახელწოდებით ქვის თალიანი ხიდი არ გვხვდება. მაქაზლის ხეობის საბჭოთა ზონაში მოქცეული ხიდე-

ბი ცნობილია ცხემლარის, ჩომახისურის, ჩხერის, ძეარისა, გორგაძეთის ქვის ხიდების სახელწოდებებით). წიგნში ასევე მოტანილია ხიდების ილუსტრაციები უნდა შესულიყო, მათ რიცხვში დანდალოს ფართოდ ცნობილი ქვის თალიანი ხიდისა, იმ დანდალოსი, რომელიც ეთნოგრაფიულად ზემო და ქვემო აჭარის ანუ „დანდალოს ზეითი“ და „დანდალოს ქვეითი“ აჭარის საზღვარს წარმოადგენდა. სასურველი იყო ნაშრომს დართოდა გზებისა და ქვის თალიანი ხიდების ვაერცელების სქემა, საძიებლები, აგრეთვე ანოტაცია ან რეზიუმე ერთ-ერთ უცხო ენაზე, რასაც ნაშრომის ხასიათიც მოითხოვდა. შეიძლებოდა მიგვეთითებია სხვა შენიშვნებზეც, მაგრამ ისინი არა არსებითია.

შალვა ვარშანიძის ნაშრომი „გზები და საგზაო ნაგებობანი ძველ აჭარაში“ ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობის შედეგია. მასში განზოგადებულია აუცილებელი ლიტერატურა, რომელიც მკითხველს უადვილებს ძველი გზებისა და ქვისთალიანი ხიდების მაგალითზე აჭარის ისტორიული წარსულის სხვა ნიშანდობლივ მხარეებსაც გაეცნოს. იგი კარგ სამსახურს გაუწევს მკვლევარებს, სტუდენტებს, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, ექსკურსიამდოლებს, ყველას, ვინც დაინტერესებულია საერთოდ აჭარისა და სამხრეთ საქართველოს ისტორიული წარსულის შესწავლით.

დასასრულ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული ნაშრომის საჯარო განხილვა, რასაც, ჩვენი აზრით, მოაწყობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის კათედრა და საქართველოს საისტორიო საზოგადოების აჭარის საოლქო განყოფილება.

ნოდარ პახიძე,

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.



## პატიკანი. თანამედროვეობა. პოლიტიკა

ჯერ კიდევ არ დამცხრალიყო აგიოტა-  
ჟი რომის პაპის პავლე VI გარდაცვალე-  
ბასა და ახალი პაპის იოანე-პავლე I  
არჩევასთან დაკავშირებით, რომ წმი-  
და ტახტი ისევ გათავისუფლდა. არჩე-  
ვიდან 34-ე დღეს მოულოდნელად გარ-  
დაიცვალა 66 წლის იოანე-პავლე I,  
რომლის პაპობაც ერთ-ერთი ყველაზე  
ხანმოკლე აღმოჩნდა ვატიკანის ისტო-  
რიაში. როგორც მიმოხილველები აღნი-  
შნავდნენ, ის, რაც დაამახსოვრდა  
მრევლს იოანე-პავლე პირველის პაპო-  
ბისაგან, ეს იყო მისი უბრალოება, სი-  
კეთე და მომხიბვლელი ღიმილი.

1978 წლის 4 ოქტომბერს იოანე-პავ-  
ლე I საზეიმო-სამგლოვიარო ვითარე-  
ბაში დაკრძალეს. მიუხედავად წვიმიანი  
ამინდისა, მისი დასაფლავების დღეს,  
წმიდა პეტრეს ტაძრის მოედანზე ასი  
ათასამდე კაცი შეიკრიბა. რომის პაპის  
უკანასკნელ გზაზე გასაცილებლად ჩა-  
მოვიდა 100 ქვეყნის დელეგაცია, რომე-  
ლთა შორისაც იყვნენ რუსული მართლ-  
მადიდებელი ეკლესიის წარმომადგენ-  
ლებიც. ამ დელეგაციებს ხელმძღვანე-  
ლობდნენ თვალსაჩინო საეკლესიო თუ  
საზოგადო მოღვაწენი, ან მათი ნათესა-  
ვები. ასე, მაგალითად, ამერიკის შეერ-  
თებული შტატების დელეგაციას ხელმ-  
ძღვანელობდა პრეზიდენტ ჯიმი კარტე-  
რის დედა. იოანე-პავლე I დასაფლავეს  
წმიდა პეტრეს ტაძრის ერთ-ერთი თაღის  
ქვეშ მისი უშუალო წინაპრების იოანე  
XXIII და პავლე VI გვერდით.

9 დღის გლოვის შემდეგ, 1978 წლის  
14 ოქტომბერს, შეიკრიბა კონკლავი,

რომელმაც ახალ პაპად იოანე-პავლე II  
სახელწოდებით აირჩია ქალაქ კრაკოვის  
არქიეპისკოპოსი კარდინალი კაროლ ვო-  
იტილა.

რომის პაპის ტახტზე ახალი პიროვნე-  
ბის ასვლა ყოველთვის იწვევს სიახლე-  
ებს კათოლიკური ეკლესიის ცხოვრება-  
ში. კათოლიციზმს აქვს თავისი რთული,  
გადუჭრელი პრობლემები და ის მიდგო-  
მა, რომელსაც პაპი გამოიჩენს ამ სა-  
კითხების მიმართ, მრავალმხრივ განა-  
პირობებს წმიდა ტახტის პოლიტიკას.

იოანე-პავლე II პაპად არჩევის ის  
თავისებურება ახასიათებს, რომ წმიდა  
ტახტზე პირველად დავდა პიროვნება  
სოციალისტური სამყაროდან. იოანე-პავ-  
ლე II ეროვნებით პოლონელია. ყურა-  
დღებას იმსახურებს მისი ბიოგრაფიაც.  
მონაცემები ვოიტილას ცხოვრების შესა-  
ხებ ჯერ კიდევ 1967 წელს გამოქვეყნ-  
და, როდესაც იგი ქალაქ კრაკოვის არ-  
ქიეპისკოპოსად აირჩიეს. ამ დოკუმენტ-  
ში აღნიშნულია, რომ იგი ომამდე სწა-  
ვლობდა კრაკოვის უნივერსიტეტის ფი-  
ლოსოფიის ფაკულტეტზე. ომმა აიძულა  
შეეწყვიტა სწავლა, რადგან ყველა მისი  
პროფესორი დაჭერილი აღმოჩნდა. გერ-  
მანელების მიერ პოლონეთის ოკუპაცი-  
ის დროს იგი 4 წლის მანძილზე მუშაო-  
ბდა მუშად ქიმიურ ქარხანაში. ამ პე-  
რიოდში, აღნიშნავენ კათოლიკე მიმო-  
ხილველები, იგი დაუახლოვდა მუშათა  
კლასს, მშრომელებს. აქვე გაიცნო მან  
კაცი, რომელმაც დიდი გავლენა მოა-  
ხდინა ვოიტილას შემდგომ ბედზე, აარ-  
ჩევინა მას სასულიერო კარიერა. მომ-  
დევნო წლებში იგი სწავლობს იტალია-



ში, რომში, წარმატებით ამთავრებს სა-  
სულიერო სასწავლებელს და ხდება თე-  
ოლოგიის დოქტორი, პროფესორი.  
ფლობს რამდენიმე ევროპულ და მკვდარ  
ენას. იტალიაშივე მან გამოაქვეყნა წიგ-  
ნი, რომელშიაც გადმოსცა თავისი შეხე-  
დულებანი ეკლესიისა და თანამედროვე  
სამყაროს შესახებ. ამ წიგნში იგი დიდ  
მადლობას უხდის ახალგაზრდობას, რო-  
მელმაც მას თვალნათლივ დაანახა თა-  
ნამედროვე აღმშენებლის პრობლემები.

იოანე-პავლე II პაპად არჩევის პირ-  
ველივე დღეებში მიმოხილვებზეა გა-  
მთქმევს ვარაუდი, რომ იგი გააგრძე-  
ლებდა იმ „ახალ აღმოსავლურ პოლიტი-  
კას“, რომელიც ჯერ კიდევ იოანე XXIII  
დაიწყო. სხვაგვარად, ალბათ, წარმოუ-  
დგენელიც იყო, რადგან საბოლოოდ გა-  
კოტრდა და ისტორიას ჩაბარდა ის აშ-  
კარა ანტიკომუნისტური პოლიტიკა,  
რომელსაც პიუს XII და მისი წინამორ-  
ბედნი ეწეოდნენ. საყოველთაოდ არის  
ცნობილი 1949 წელს პიუს XII მიერ  
გამოცემული დეკრეტი, რომლის მიხე-  
დვითაც, ყველა ის პირი, ვინც თანამშ-  
რომლობდა კომუნისტებთან, ან შემჩნე-  
ული იქნებოდა „უღმერთო, კომუნის-  
ტური იდეების“ გავრცელებაში, განკვე-  
თილი უნდა ყოფილიყო ეკლესიისაგან.

თავის დროზე იოანე XXIII მიერ  
შემოთავაზებული „აღმოსავლური პოლი-  
ტიკა“, რასაკვირველია, სოციალიზმისა  
და კომუნისტიზმისადმი სიყვარულით არ  
ყოფილა გამოწვეული. როგორც იტა-  
ლიური ჟურნალი „რინაშიტა“ წერდა,  
„იოანე-პავლე II იძულებული იყო განსაკუთ-  
რებული სიხარულის გარეშე ეცნო ახა-  
ლი მახვლმწიფეობები, სოციალური და  
კულტურული რეალობები; განსაკუთ-  
რებული სიხარულის გარეშე იძულებუ-  
ლი იყო ყურად ეღო პოლიტიკური და  
სამხედრო ძალების რეალური თანაფა-  
რღობა ევროპაში, პერსპექტივები, რომ-  
ლებიც ისახება ძველი კონტინენტის წი-  
ნაშე უახლოეს და უფრო ხანგრძლივი  
მშვიდობის მანძილზე“.

გინიდან პირდაპირი, „გვაროსნული  
ბრძოლით“ არათფერი გამოვიდა, ვატი-

კანი იძულებული იყო გადაესინჯა თა-  
ვისი დამოკიდებულება კომუნისტური  
ქვეყნებისადმი, შეემუშაებინა მის მი-  
მართ უფრო მოქნილი პოლიტიკა, რა-  
დგან მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები ისე  
ფართოდ გავრცელდა და იმდენად პო-  
პულარული გახდა მთელს მსოფლიოში,  
რომ მათი იგნორირება კათოლიციზმს  
უკვე აღარ შეეძლო. შედარებით რეა-  
ლურად მოაზროვნე საეკლესიო იერა-  
რქების უმრავლესობა მივიდა იმ დასკ-  
ვნამდე, რომ მარქსიზმთან ბრძოლაში  
აუცილებელია გამოიყენონ ახალი ფორ-  
მები და მეთოდები. ბრძოლის ხერხების  
შეცვლა, რასაკვირველია, არ მოასწავე-  
ბდა თვით ბრძოლისა და მტრობის და-  
მთავრებას. „ახალი აღმოსავლური პო-  
ლიტიკის“ გატარების მიუხედავად,  
1963 წელს რომის პაპი პავლე VI კვლავ  
ლაპარაკობდა კომუნისტებზე, როგორც  
დამანგრეველ ძალაზე, დამლუპველ სა-  
სიკვდილო ავადმყოფობაზე, რომელიც  
უნდა დაძლეული ყოფილიყო არა მარ-  
ტო თეორიაში, არამედ პრაქტიკაშიც.

ვატიკანში გამართული II მსოფლიო  
კრებით ახალი ეტაპი დაიწყო ათეიზმი-  
სა და მატერიალიზმის წინააღმდეგ ბრძო-  
ლაში. ათეიზმს ყოველთვის ებრძოდნენ  
თეოლოგები, მაგრამ ეკლესიამ ამჯერად  
სცადა უფრო ღრმა იერში მიეტანა მა-  
სზე, უფრო ღრმად ჩაწვდომოდა ათე-  
იზმს, უარეყო ტრადიციულად გავრცე-  
ლებული აზრი იმის შესახებ, რომ ათე-  
იზმი მხოლოდ უღმერთოთა მოქმედების  
შედეგია. ბოლო წლების მანძილზე თე-  
ოლოგიურ წრეებში სულ უფრო დამკ-  
ვიდრდა შეხედულება იმის თაობაზე,  
რომ „ათეიზმის გავრცელება განპირო-  
ბებულია ტექნიკის განვითარებით, ურ-  
ბანიზაციის პროგრესით, სეკულარიზა-  
ციის წარმატებებით, ეკლესიის გულგრი-  
ლობით იმ რთული პრობლემებისადმი,  
რომელიც უნდა გადაწყვიტოს აღმშენებ-  
ელთა და როდესაც ისინი ვერ პოულობენ და-  
საყრდენს ეკლესიისა და რელიგიაში, მა-  
შინ ისინი მიმართავენ ათეიზმს“.

წმიდა ტახტზე ასვლისთანავე, იოანე-  
პავლე II აქტიური საქმიანობა გააჩაღა.



პაპის პოზიციის გარკვევისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის მრავალრიცხოვან გამოსვლებს და ვიზიტებს პავლე VI კვალდაკვალ, რომელმაც რამდენჯერმე იმოგზაურა კათოლიციზმის პოზიციების გასამაგრებლად და ქრისტიანობის სხვა მიმდინარეობებთან ურთიერთობის მოგვარებისათვის.

იოანე-პავლე II პირველად ეწვია მექსიკას ლათინური ამერიკის ეპისკოპოსების ტრადიციულ III ასამბლეაში მონაწილეობის მისაღებად. მექსიკაში იოანე-პავლე II წასვლა არ იყო შემთხვევითი, ჯერ ერთი, მექსიკა კათოლიკური სამყაროს ბურჯია, მეორეც, რომის პაპს აქ უნდა მოეგვარებინა თავისი ურთიერთობა სამხრეთ ამერიკის ეპისკოპოსებთან. როგორც ცნობილია, კათოლიციზმის ამ რეგიონში ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე თავი იჩინა უთანხმოებაში მთელ რიგ პრინციპულ საკითხებში, ყველაზე დიდი უთანხმოება გამოიწვია ეგრეთ წოდებულმა „ძალადობის თეოლოგიამ“. ქრისტიანობისათვის ასეთი უჩვეულო თეოლოგიის წარმოქმნა განაპირობა მსოფლიოს ამ ნაწილში კლასობრივი ბრძოლის გამწვავებამ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდამ, სოციალიზმის იდეების პოპულარობამ, მეცნიერებისა და ტექნიკის წინსვლამ, დემოკრატიული აფეთქების საშიშროებამ.

ყოველივე ამას დაემატა ლათინური ამერიკისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური მიზეზები, კერძოდ, მისწრაფება — განთავისუფლდეს ამერიკის შეერთებული შტატების უღლისაგან, დასძლიოს პოლიტიკური და ეკონომიკური ჩამორჩენილობა, მოსპოს სოციალური და რასობრივი უთანასწორობა, შეცვალოს მოძველებული სოციალური სტრუქტურები.

გამწვავებულმა სოციალურმა ვითარებამ სამხრეთ ამერიკის წიაღში წარმოქმნა დაჯგუფება „მეამბოხე ეკლესიის“ სახელწოდებით, რომელიც კათოლიციზმის ტრადიციული ფორმებისაგან განსხვავებით, სოციალური პრობლემების გა-

დაწყვეტაში იყენებს ეგრეთ წოდებულ „ძალადობის თეოლოგიას“, რაც გულისხმობს რადიკალურ ცვლილებებს საზოგადოებაში. სოციალური რევოლუციის ჩათვლით, ასეთი პოზიცია, ცხადია, მიუღებელია ვატიკანისათვის, რომელიც მტკიცედ იყო და არის დაკავშირებული კერძო საკუთრებასთან. ამიტომ, როდესაც საქმე ეხება ეკლესიის როლს სოციალურ ბრძოლაში, რომის კურია კმაყოფილება ზოგადი განცხადებით: ეკლესია არ უნდა მიემხროს არც ერთ გაბატონებულ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ მოძღვრებას; იგი არ უნდა ჩაერიოს იმ ბრძოლაში, რომელსაც სხვადასხვა ეკონომიკური ფორმაციების ქვეყნები აწარმოებენ.

თავის გამოსვლაში პაპი იოანე-პავლე II ლათინური ამერიკის ეპისკოპოსების ტრადიციულ III ასამბლეაზე ამბობდა: არ შეიძლება „სახარებების შეცვლა პოლიტიკური რადიკალიზმით. საზოგადოებრივი და პოლიტიკური აქტივობა მნიშვნელოვანი ამბავია, მაგრამ ამაზე უნდა ზრუნავდეს საერო ხალხი და არა სამღვდლეობა, პოლიტიკური რადიკალიზმში მისაღები არ არის ეკლესიის მოძღვრებისათვის. ეკლესია ყოველთვის უნდა გამოდიოდეს სახარებების ხელისკვეთებით, მშვიდობასა და სიკეთეს თესავდეს თავისი მოქმედებით“.

სამხრეთ მექსიკაში ინდიელთა წინაშე გამოსვლისას, იოანე-პავლე II გააკიცხა მდიდარი მიწათმფლობელები, რომელთაც ხელში აქვთ ჩაგდებული მიწა და არ აძლევენ ათასობით ადამიანს ნორმალური ცხოვრების საშუალებას. მისი სიტყვებით, პურის წართმევა უამრავი ადამიანისათვის არის ისეთი უსამართლობა და უხეობა, რომელიც არ შეესაბამება ქრისტიანულ და ჰუმანურ იდეალებს, ამ უსამართლობის აღმოფხვრაში ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ იმათ, ვინც მოკლებული არ არიან ყოველ მატერიალურ სიკეთეს.

მექსიკაში ყოფნის დროს იოანე-პავლე II თითქმის ყოველ გამოსვლაში მოუწოდებდა ქრისტიანებს ბოლო მოეღოთ მსოფლიოში არსებული გაჭირვება-



პისა ღა უმუშევრობისათვის, რომელ-  
ნიც, მისი სიტყვებით „ზადებენ სასოწ-  
რკვეთილებასა და დანაშაულს, რომ მუ-  
შაობამ ადამიანს უნდა მოუტანოს სი-  
ხარული და სულიერი კმაყოფილება და  
არ შეაზიზღოს ცხოვრება“.

ასეთი გამოსვლები და აბსტრაქტული  
მოწოდებები სოციალური თანასწორო-  
ბისაკენ სულაც არ არის ახალი. ზოგიე-  
რთი წინა პაპი კოტილასავან განსხვავ-  
ვებით, უფრო შორსაც მიდიოდა. ასე,  
მაგალითად, პავლე VI აცხადებდა, რომ  
საერთო კეთილდღეობა ზოგჯერ თხოუ-  
ლობს საკუთრების ექსპროპრიაციას.  
თუკი ზოგი სამფლობელო, თავისი ზო-  
მისა და ნაწილობრივ ან მთლიანად გა-  
მოუყენებლობის შედეგად, იწვევს მო-  
სახლეობის სიღატაკეს, მნიშვნელოვან  
ზიანს აყენებს ქვეყნის ინტერესებს და  
უწინააღმდეგება საზოგადოების წინსვ-  
ლას, ასეთი ქონება ექსპროპრიირებული  
უნდა იქნეს.

საკითხის ასე დაყენება ნათლად მოწ-  
მობდა, რომ ჯერ კიდევ მაშინ კათოლი-  
კურ იერარქებს აღარ ძალუძდათ ანგა-  
რიში არ გაეწიათ მშრომელთა შორის  
ანტიკაპიტალისტური განწყობილებისა-  
თვის. მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ას-  
ეთი ზოგადი ფრაზები და მოწოდებები  
მდიდრების მიმართ — გასწიონ ქველ-  
მოქმედება და დაეხმარონ გაჭირვებუ-  
ლებს, აგერ უკვე ოცი საუკუნეა ისმის,  
მაგრამ მისგან რაიმე პრაქტიკული შე-  
დეგი ჯერაც არ მიგვიღია.

იოანე-პავლე II თავის გამოსვლებში  
ხაზი გაუსვა, რომ ვატიკანი არ ეთანხმე-  
ბა „ძალადობის თეოლოგიის“ („განთავი-  
სუფლების თეოლოგიის“) თეორიას, რო-  
მელიც ლათინური ამერიკის ეპისკოპო-  
სების II ასამბლეაზე შემუშავდა. ეს  
ფაქტია, პაპის აზრით, არ იყო კარგად  
გააზრებული და შეიცავდა პროკომუნი-  
სტურ მოთხოვნებს, რომ ამ პერიოდში  
ლათინური ამერიკის ეკლესიებმა სწო-  
რად არ გაიგეს კათოლიკური მოძღვ-  
რება.

რომის პაპს მექსიკელები დიდი ამბით  
შესვდნენ. მის ირგვლივ უამრავი ხალხი

იყრიდა თავს, პაპის წირვები გვად-  
ლუბის, გვადალახარის თუ სხვა ტაძრე-  
ბში მთელ ქვეყანაში გადაიცემოდა რა-  
დიოთი და ტელევიზიით. საერთოდ, ამ  
ვიზიტს ვატიკანის წარმატებად მიიჩნე-  
ვენ, მაგრამ საეჭვოა, რომ ვატიკანის  
ტრადიციულმა პოლიტიკამ კლასობრივი  
სიმშვიდისა და თანამშრომლობის შესა-  
ხებ, მოწოდებამ შეძლებული ფენებისა-  
დმი — დაეხმაროს ბედისაგან დაჩაგ-  
რულთ, ვეღაჭრას ის სერიოზული და  
მწვავე სოციალურ-პოლიტიკური პრობ-  
ლემები, რომლებიც კათოლიკური ეკ-  
ლესიის წინაშე დგას როგორც სამხრეთ  
ამერიკაში, ისე მთელს კათოლიკურ სა-  
მყაროში.

პაპის ვიზიტს მექსიკაში პირდაპირი  
პასუხი არ გაუცია იმ საკითხზე, თუ  
როგორი იქნება მისი დამოკიდებულება  
კომუნისტური ქვეყნებისადმი უახლოეს  
პერიოდში. მაგრამ მექსიკიდან ჩამოსე-  
ლის შემდეგ პაპმა არაორაზროვნად გა-  
ნაცხადა, მანამ ვერ მოისვენებს, სანამ  
ყველა ადამიანს არ ექნება საშუალება  
თავისუფლად აღიაროს ღმერთი. აქ  
მას მხედველობაში აშკარად კომუნის-  
ტური ქვეყნები ჰქონდა. პაპის განცხად-  
ებით მარქსიზმი მტრულად არის გან-  
წყობილი რელიგიისადმი. შესაბამისად,  
სავარაუდოა, რომ იოანე-პავლე II აღ-  
ბათ ძირითადად გააგრძელებს ძველ  
კურსს ამ საკითხში, რომელიც ჯერ  
კიდევ პავლე VI ჩამოაყალიბა თავის  
პირველ ენციკლიკაში „ეკკლესიიზე სუ-  
ამში“. აღნიშნულ ენციკლიკაში პაპი,  
მართალია, არ უარყოფდა იმ ფაქტს,  
რომ ბევრი ათეისტი მაღალი, კეთილ-  
შობილური იდეალებისათვის იღვწის,  
ოცნებობს თანასწორობაზე, სამართლია-  
ნობაზე, პროგრესზე, ცდილობს სამყა-  
როს შეცნირებულ შეცნობას. მაგრამ  
იგი მაინც ხაზგასმით მიუთითებდა ათე-  
იზმთან დაუნდობელი ბრძოლის აუცი-  
ლებლობაზე.

როგორც ცნობილია, პავლე VI ამ  
მხრივ კონკრეტული ნაბიჯებიც გადად-  
გა. ჯერ კიდევ 1965 წლის 9 აპრილს  
II მსოფლიო საეკლესიო კრების დად-



გენილებით, შეიქმნა არამორწმუნეების საქმეთა სამდივნო ვატიკანში, რომელსაც ახალი პირობების გათვალისწინებით ფართო ფრონტი უნდა გაეშალა ათეიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. სამდივნოს თავმჯდომარედ დაინიშნა არქიეპისკოპოსი კარდინალი ფრანც კიონიგი, მდივნად — პროფესორი ვიჩენცო მიანო. სამდივნოს საფუძვლიანად უნდა შეესწავლა თანამედროვე ათეიზმი, გამოემკვლავლებინა მისი გამომწვევი მიზეზები და აქტიური კონტაქტიც დაემყარებინა არამორწმუნეებთან.

1970 წელს, სამდივნოს ინიციატივით, გამოქვეყნდა წერილი, რომელიც ეხებოდა მარქსიზმისა და ათეიზმის შესწავლის აუცილებლობას სასულიერო სემინარიებში. სასწავლო გეგმებში შეიტანეს ამ საგნების სწავლება სპეცურსებით ან ფილოსოფიის საერთო კურსის პროგრამით. ამ დოკუმენტის ავტორები ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ მღვდლობის კანდიდატმა მთლიანად უნდა გააცნობიეროს „ათეიზმის ფენომენის“ მნიშვნელობა.

სამდივნოს ხელის შეწყობით გამოსცა სალუზიანის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტმა 4-ტომიანი შრომა „თანამედროვე ათეიზმი“, რომელიც წამოადგენს ერთგვარ სახელმძღვანელოს, ენციკლოპედიას ღვთისმსახურთათვის ათეიზმის დებულებების წინააღმდეგ საბრძოლველად. გასაკვირი არ არის, რომ ეს შრომა აყალბებს კომუნისტური და მუშათა პარტიების დამოკიდებულებას რელიგიისა და ეკლესიისადმი.

შემდგომი ნაბიჯი ამ მიმართულებით გადაიდგა 1977 წლის 14 თებერვალს რომში, სადაც წმიდა ურბანის სახელობის უნივერსიტეტში, რომელიც აღნიშნულ დროს დაარსების 350 წელს აღნიშნავდა, შეიქმნა ათეიზმის ინსტიტუტი, ალბათ, უფრო სწორი იქნებოდა მისთვის ანტიათეიზმის ინსტიტუტი ეწოდებინათ, მაგრამ ასეთი სახელწოდება თვით აირჩიეს კათოლიკე თეოლოგებმა.

ინსტიტუტის დაარსებაზე შეიკრიბა 7 კარდინალი და 3 არქიეპისკოპოსი. მათ

გარდა ინსტიტუტის დაარსებას ესწრაფოდნენ ვატიკანში აკრედიტებული კათოლიკური კორპუსის წარმომადგენლები და მრავალრიცხოვანი საზოგადოება.

ათეიზმს წინააღმდეგ მიმართული ინსტიტუტის 3-წლიანი სასწავლო პროგრამა სამი განყოფილებისაგან შედგება: ისტორიული, თეორიული და ფენომენოლოგიური. იკითხება 30-მდე სპეცკურსი: „რელიგიისა და ათეიზმის ფილოსოფია“; „მარქსი, ენგელსი, ლენინი და ათეიზმი“, „ათეიზმის ვოლუნტარისტულ-ირაციონალური ფესვები: ნიცე, ფროიდი“; „დექრისტიანიზაციის ისტორია“; „ეგზისტენციალურ ათეიზმი კინოსა და თეატრში“; „ათეისტი და მისი ქვეყა ბიბლიის მიხედვით“ და სხვ.

შეკრება დიდხანს გაგრძელდა. მასზე რამდენიმე კაცი გამოვიდა. მთავარი მომხსენებელი იყო არამორწმუნეების საქმეთა სამდივნოს თავმჯდომარე ფ. კიონიგი, რომლის გამოსვლის თემას ძალზე მყვირალა სათაური ერქვა: „მეცნიერული ათეიზმის კრახი“. მართალია, ფ. კიონიგი ყოველმხრივ ცდილობდა დაემტკიცებინა მეცნიერული ათეიზმის კრიზისი თანამედროვე ეპოქაში, მაგრამ იქვე, სხვა გამომსვლელების სიტყვებშიც კი, სხვაგვარი სიმართლე გამოსჭვიოდა. ასე, მაგალითად, კარდინალი როსი ხაზვასმით მიუთითებდა ასეთი ინსტიტუტის გახსნის აუცილებლობაზე და ამბობდა: „ათეიზმის ინსტიტუტი ისე აქტუალურია, მისი სწრაფი გახსნა ეკლესიის წიაღში ისეთ აუცილებლობას წამოადგენს, რომ ვრცელ დასაბუთებას და არგუმენტირებას არ მოითხოვს“. მიმომხილველმა შენიშნავენ: თუკი ფ. კიონიგს დაუვჭერებთ, მეცნიერული ათეიზმი კრახს განიცდისო, მაშინ რაღა საჭირო იყო ათეიზმის ინსტიტუტის ასე სასწრაფოდ და აუცილებელი გახსნა?

ათეიზმის ინსტიტუტის გახსნის მიზანი ცხადად უცხადესია. იგი ესწრაფვის შეარყიოს მეცნიერული ათეიზმის პრეტენზიები, მოახდინოს მისი პარალოზება, შეზღუდოს და შეამციროს მისი გავლენა



მსოფლიოში. ინსტიტუტის ანტიათეისტური წასაითი კარგად გამოჩნდა ახალგაშობებში ინსტიტუტის დირექტორის ბ. მონდენას სიტყვებში.

„ზვერი ჩვენი თანამედროვე ევროპაში, აზიაში, აფრიკასა და ამერიკაში, — ამბობდა იგი, — მისდევს ათეისტურ შეხედულებებს. ამიტომ, თუკი ადრე მისიონერული საქმიანობის ობიექტები იყვნენ წარმართები, ახლა ძალზე ხშირად ესენი არიან ათეისტები, რადგან ათეისტურია ხალხის დიდი ნაწილი, რომელსაც ჩვენ ხსნის სიტყვები უნდა ეუქნადავით. ჩვენი გამოცვლენა მიმართულია იმ მიზეზების გასარკვევად, რომლებშიც ხელი შეუწყვეს ათეიზმის განვითარებას თანამედროვე მსოფლიოში“. მისივე სიტყვებით „ათეიზმი მოკლებულია ჰუმანიზმს, მასში ჭარბობს ველურობა, იგი უარყოფს თავისუფლებას, სამაგიეროდ, მიესალმება ჩაგვრას, მასში არ არის ჭეშმარიტება, მაგრამ უხვადაა ბნელეთის მოციქულობა“...

კათოლიციზმის წარმომადგენლები, კერძოდ, ზემოთხსენებული კარდინალი როსი უარყოფდა ათეიზმის ინსტიტუტის სოციალურ და პოლიტიკურ დანიშნულებას. სინამდვილეში კი ახალი ინსტიტუტი ასრულებს სწორედ სოციალურ დაკვეთას იმ კლასებისა, რომლის იდეოლოგიურ რუპორსაც წარმოადგენენ კონსერვატიული კლერикаლური წრეები.

თეოლოგთა მიხედვით, ათეიზმი მსოფლიოს ემუქრება არსებული წესრიგის შერყევით. ამ გაფრთხილებით ჯერ კიდევ 1976 წლის 2 ივნისს კათოლიკეთა საერთო აუდიენციაზე გამოვიდა პავლე VI. უფრო ადრე, 1975 წლის 19 ნოემბერს, იგივე პავლე VI მოიწონა მარქსიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც სოციალური უბედურებისაგან თავის დაცვის საშუალება. პაპის კვალდაკვალ ბ. მონდენამაც შენიშნა, „ჩვენ იმიტომ კი არ ვსწავლობთ ათეიზმს, რომ დავიცვათ ეკლესიის ინტერესები, არამედ იმისათვის, რომ დავიცვათ კაცობრიობის ინტერესები“.

რომის პაპის ვიზიტი მექსიკაში პირ-

ველი იყო მოგზაურობის იმ სტადიიდან, რომელსაც იოანე-პავლე II პაპი პირველად ვიზიტი შედგა 1979 წლის ივნისში რომის პაპის სამშობლოში — პოლონეთში. თავდაპირველად ეს ვიზიტი გათვალისწინებული იყო მაისში დიდი რელიგიური დღესასწაულის — წმიდა სტანისლავის მოწამებობის სიკვდილის 900 წელთან დაკავშირებით. შემდეგ ამ ვიზიტის თარიღმა გადაიწია ივნისის თვეში. პაპის არჩევამ კომუნისტური ქვეყნიდან, შემდგომ ვიზიტმა ამავე ქვეყანაში, ნათლად გვიჩვენა, რომ ყურადღება კომუნისტური ქვეყნებისადმი ვატიკანის მხრივ გაიზარდა და ახლო მომავალში კვლავ ბევრად გაიზარდება. ამის დამადასტურებელია ბევრი სხვა ფაქტიც, მათ შორის ვატიკანის რადიოს გადაცემების დაწყება პოლონურ ენაზე.

1979 წლის სექტემბრის მიწურულში პაპი გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ოკეანის გაღმა მიმავალი იოანე-პავლე II რამდენიმე დღით შეჩერდა ირლანდიაში, სადაც, მისივე სიტყვებით, შეეცადა შეენელებინა ის მწვავე რელიგიური განხეთქილება კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის, რომელიც დიდი ხანია სტანჯავს ამ ქვეყანას. ირლანდიის დედაქალაქ დუბლინში ჩასვლისთანავე ღია ცის ქვეშ შეკრებილ მილიონახევარ მორწმუნეს პაპმა მოუწოდა ხელი აეღოთ ძალადობაზე და დამყარებოდნენ გონიერებას. მისი თქმით, მკვლელობა მაინც რჩება მკვლელობად, რა მოტივითაც არ უნდა იქნეს იგი ჩადენილი. ასეთივე მოწოდებებით გამოვიდა იოანე-პავლე II ირლანდიის სხვა ქალაქებშიც. მთელ თავის ვიზიტს კათოლიკური ეკლესიის მეთაური მშვიდობისა და შერიგების ვიზიტს უწოდებდა. მაგრამ ერთი კვირაც არ იყო გასული მისი ვიზიტიდან, როცა ირლანდიის არმიის გენერლებმა უარყვეს რომის პაპის მოწოდება. მათი განცხადებით, ძალა არის ის ერთადერთი საშუალება, რომელიც აიძულებს ინგლისს დასტოვოს ირლანდია. მართლაც მხოლოდ ლოცვა-კურთხევას და მშვიდობისაკენ მოწოდება-



ბაჰს, თუფენდ, იგი ქრისტეს მოადგილე-  
საგნად, მომდინარეობდეს, ჯერაც არავი-  
სთვის...არ მიტუტანია თავისუფლება.

ერლანდიდან, რომის პაპი, ბოსტონში  
ჩაღრმუნდა, ამერიკის შეერთებულ შტა-  
ტებში თავისი ერთგვიანად ვიზიტის  
გამხატვლობაში იოანე-პავლე II ეწვია  
ექვს-ქალაქს. ბოსტონის გარდა მან მო-  
ინახულა, ფილადელფია, ჩიკაგო, ნიუ-  
იორკი, აიოვას შტატი და ქვეყნის დედა-  
ქალაქი ვაშინგტონი. ამერიკაში კათო-  
ლიკური ეკლესიის მეთაურის ვიზიტის  
პროგრამა ძალზე დაძაბული და მრავალ-  
ფეროვანი იყო. იგი მოიცავდა გაერთი-  
ანებული ერების ასამბლეაზე გამოსვლას,  
ლარიბოთა კვარტალების მონახულებას,  
თეთრ სახლში მიღებას და სხვ.

იოანე-პავლე II გამოსვლამ გაერთი-  
ანებული ერების ასამბლეაში დიდი ინ-  
ტერესი გამოიწვია. დღევანდებთან და  
სხვა დამსწრეებით გადაჭედით ღარბაზს  
პაპმა ისევ მშვიდობისა და შერიგებისა-  
კენ მოუწოდა. თავისი ვიზიტის დროს  
პაპი შეხვდა სხვადასხვა რელიგიური მი-  
მდინარეობების წარმომადგენლებსაც.  
ნიუ-იორკში ღია მოედანზე გამოსვლი-  
სას იგი ხუთ ენაზე მიესალმა შეკრე-  
ბილ ხალხს: ინგლისურად, ესპანურად,  
იტალიურად, პოლონურად, და როდე-  
საც, ბოლოს, მან ივრითის ენაზე წარ-  
მოსთქვა სიტყვა „შალომ“ — მშვიდობა,  
ნიუიორკელმა ებრაელებმა, რომელთა  
რაოდენობა უფრო მეტია, ვიდრე მთე-  
ლი ისრაელის მოსახლეობა, მას ოვაცია  
მოუწვევს. ვიზიტის ბოლოს იოანე-პავ-  
ლე II თეთრ სახლში მიიღო პრეზიდენ-  
ტმა კარტერმა.

ყველა თავის გამოსვლაში კათოლიკუ-  
რი ეკლესიის მეთაური მოუწოდებდა  
მშვიდობის, გონიერებისა და შერიგები-  
საკენ, მიუთითებდა ქრისტიანული სარ-  
წმუნოების ღირებულებების დაცვის აუ-  
ცილებლობაზე, იგი მიმართავდა ახალ-  
გაზრდებს, ნაკლებად ეზრუნათ მატერია-  
ლური სიკეთის ძიებაზე, მითუმეტეს,  
არაკანონიერი გზებით მის შეძენაზე. პა-  
პმა მკაცრად გაილაშქრა ნარკოტიკების  
ხმარების, ალკოჰოლიზმისა და ეროტი-

ზმის წინააღმდეგ. მან განსაკუთრებით  
დაგმო აბორტებისა და ჩასახვის საწინააღ-  
მდეგო მედიკამენტების გამოყენება.  
იოანე-პავლე II სიტყვებით, არავის არა  
აქვს უფლება საშოში მოკლას ადამიანი,  
და სანამ ასეთი მკვლელობა ხდება, ეკ-  
ლესია ყოველთვის აიძვლებს ხმას ამ  
უმსგავსოების წინააღმდეგ.

1979 წლის 28 ნოემბერს რომის პაპი  
თურქეთის დედაქალაქ ანკარას ეწვია,  
აქედან კი კონსტანტინეპოლს (სტამბუ-  
ლი), სადაც შეხვდა მართლმადიდებელი  
ეკლესიების მეთაურს დიმიტრეოს I. პა-  
პის ვიზიტის მიზანი იყო ახლო კონტაქ-  
ტების დამყარება მსოფლიო პატრიარქ-  
თან და საუკუნეების მანძილზე გათი-  
შული კათოლიკური და მართლმადიდებ-  
ელი ეკლესიების აღდგენა. კონსტანტი-  
ნეპოლში პაპმა ჩაატარა მესა, რომელ-  
საც პირადად პატრიარქი დიმიტრეოს I  
დაესწრო. როგორც მიმომხილველები  
აღნიშნავენ, უკანასკნელი 900 წლის  
მანძილზე ეს პირველი შემთხვევაა, რო-  
ცა ეს ორი ეკლესიის მეთაური ერთად  
იყვნენ ღვთისმსახურებაზე. აქვე პაპმა  
განაცხადა, რომ მალე დაიწყება მოლა-  
პარაკება, რომლის მიზანია საუკუნეების  
მანძილზე გათიშული ეკლესიების გაერ-  
თიანება. ეს კონტაქტები, როგორც  
ცნობილია, მთლად ახალი არ არის.  
პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით გა-  
დაიდგა ჯერ კიდევ 1964 წელს, როდესაც  
რომის პაპი პავლე VI ჩაივიდა კონსტან-  
ტინეპოლში. შემდეგ კონსტანტინეპოლის  
მაშინდელი პატრიარქი ათინაგორი ჩა-  
ვიდა რომში და წირვა გადაიხადა. მოსა-  
ლოდნელ მოლაპარაკებათა სერიაში დიდ  
აღვივს დაიკავეს დოგმატიკური, ლი-  
ტურგიკული თუ სხვა წინააღმდეგობათა  
დაძლევა, რომელიც ხელს უშლის ამ  
ორ მიმართულებას თანამშრომლობაში.

როგორ უნდა შეფასდეს რომის ახლა-  
ნდელი პაპის მოღვაწეობა? ამაზე კატე-  
გორიული, ყოველმხრივი პასუხის გაცე-  
მა ჯერ-ჯერობით ძნელი საქმეა. თუმცა  
მისი პოლიტიკის ძირითადი კონტურები  
უკვე თვალნათლივ ჩანს.

უპირველეს ყოვლისა, დასავლეთის



მიმომხილველთა საერთო აღიარებით, რომელსაც ახლანდელი პაპი საკმაოდ პოპულარულია მორწმუნეთა შორის, ეს მისმა ჰეზიტებმაც დაამტკიცეს. ასეთი პოპულარობა მიმომხილველების აზრით, აისხნება იოანე-პავლე II მაღალი მორალური თვისებებით. ზოგიერთი მიმომხილველი იქამდეც კი მიდის, რომ იოანე-პავლე II პოპულარობას იესო ქრისტეს, პოპულარობასაც აღარებს. მაგრამ სხვა ავტორები უფრო ზომიერად აუხსენებენ ახლანდელი რომის პაპის პიროვნებას, მიუთითებენ იმ თვალშისაცემ წინააღმდეგობებზე, რაც ნათლად გამოიკვეთა მის საქმიანობაში.

ამ წინააღმდეგობათა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია და უპირველესია ე. წ. ქალთა პრობლემა. ამ საკითხში პაპი მტკიცედ დგას ბიბლიურ კონცეფციაზე. 1979 წლის 5 ნოემბერს რომში, სიქსტის კაპელაში, იოანე-პავლე II გამართა მონაზვნების წინაშე და მთელი მსოფლიოს მონაზვნებს მოუწოდა დაბრუნებოდნენ ძველ ტანსაცმელს და ქცევას, უფრო ღრმად ჩასწვდომოდნენ ღვთისმეტყველების აზრს. რომის პაპმა მტკიცედ უარყო ცნობილი მონაზონი ქალის — დედა ტერეზიას მოთხოვნა ქალებისათვის მღვდლად კურთგების ნების მიცემის შესახებ. ჩვენ უკვე ვახსენეთ აპორტებისა და ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებისადმი პაპის დამოკიდებულება. რასაკვირველია, კათოლიკური ეკლესიის მეთაურის ასეთმა პოზიციამ უკმაყოფილება გამოიწვია ფემინისტურ ორგანიზაციებში, რომლებიც აქტიურად იბრძვიან ქალთა ემანსიპაციისათვის.

მეორე წინააღმდეგობა, რომელზედაც ყურადღება გაამახვილეს მიმომხილველებმა, ესაა ერთის მხრივ, რომის პაპის მიერ აღამიანის პირადი უფლებების აღიარება, მეორეს მხრივ, სასტიკი გაკიცხვა ყოველგვარი მემბოხე აზრის, რომელიც კი ოდნავ მაინც ეწინააღმდეგება კათოლიციზმის დოგმებს. ამ მიმართულებით თვალსაჩინო მავალითად გა-

მოდგება თეოლოგიის პროფესორის ჰანს კლუნგის ისტორია.

1979 წლის მიწურულში ვატიკანში გა-მოაცხადა, ტიუბენგენის უნივერსიტეტის თეოლოგიის პროფესორს ჰანს კლუნგს აღარ შეუძლია გააგრძელოს თავისი მოღვაწეობა, რადგან მისი საქმიანობა უხერხულობას იწვევს კათოლიკე მღვწმუნეებს შორის. კათოლიკე თეოლოგს აუკრძალეს როგორც წერა, ისე ქადაგება, თვით პროფესორმა თავისი მდგომარეობა შეადარა გალილიუს მდგომარეობას, რომელიც ჰგმობდა გაქავებულ ოთოდოქსიას. ვატიკანი ებრძვის ჰანს კლუნგს იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი უარყოფს პაპის წმინდანობის დოგმატს და ზოგიერთ სხვა ტრადიციულ კათოლიკურ დოგმას.

ჰანს კლუნგისათვის ქადაგებისა და წერის აკრძალვამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია მთელს მსოფლიოში. ესპანეთში თავისი უკმაყოფილება და პროტესტი გამოთქვა 50 თეოლოგმა, რომლებმაც განაცხადეს, რომის კურიას, ვატიკანს სხვადასხვა შეხედულებები აქვს პიროვნების თავისუფლებაზე სხვადასხვაგვარ ვითარებაში.

რომის ახლანდელ პაპს უყვარს ლაპარაკი პიროვნების თავისუფლების შესახებ, მას თავი მოაქვს როგორც რწმენის თავისუფლების დამცველს, მაგრამ როგორც კი ეს თავისუფლება შეეხოს ეკლესიის დოგმატებს, ეკლესია მკაცრად გაუსწორდა სხვაგვარად მოაზროვნე თეოლოგს.

მესამე წინააღმდეგობა, რომელიც შეიმჩნევა პაპის საქმიანობაში, ესაა მისი მისწრაფება — დააყენოს კათოლიციზმი როგორც კაპიტალიზმზე, ისე სოციალიზმზე მაღლა. პაპის აზრით, სამღვდლოება არ უნდა მონაწილეობდეს პოლიტიკურ ბროლაში, მაგრამ თავისი საქმიანობით იგი ფაქტიურად მონაწილეობს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ასე, მაგალითად, მხედველობაში ჰქონდა რაკოშისისტური ქვეყნები, 1979 წლის 26 ნოემბერს, წმიდა პეტრეს ტაძრის მოე-




დანზე გამოსვლისას პაპმა განაცხადა, ხალხი დაიღალა იმ იდეოლოგიური სისტემებისაგან, რომლებიც ზღუდავენ ადამიანის თავისუფლებას, ამ იდეოლოგიური სისტემების დაცვის საბაბით ახშობენ ადამიანთა უფლებებს.

სხვა წინააღმდეგობებს შორის აღნიშნავენ პაპის კატეგორიულ მოთხოვნას, დაცული იქნას კათოლიკური მორალი.

მართალი არიან ის მიმოხილველები, რომლებიც მიუთითებენ რომ ყველა ეს წინააღმდეგობა, რომელსაც რომის პაპი ავლენს თავის მოღვაწეობაში, თვით კათოლიციზმის წინააღმდეგობებია. კათოლიციზმის მორალური შეხედულებანი,

თვით დასაველეელი მიმოხილველების ალიარებით, მოძველდა, ახალი ღირებულებანი კი ჯერ არ არის ჩამოყალიბებული. ასეთ გარდამავალ დროს რომის პაპის ძალზე კონსერვატიული ფიგურა ხელს როდი უწყობს ამ მძიმე პერიოდის დამთავრებას.

როგორ წარმართავს რომის პაპი თავის შემდგომ პოლიტიკას, ამას მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ საეჭვოა, რომ იოანე-პავლე II შესძლოს კათოლიციზმის სერიოზული კრიზისის დაძლევა და ძალზე შეთხელებული საეკლესიო მხახურებისა და მრევლის შევსება.



**შვილის ამხანაგო**

მხატვარი ნიკოლოზ იაკოვენკო.



## საიუბილეო ქრონიკა

\* \* \*

ბათუმის რკინიგზის ვაგზალში აღიმა-  
რთა კომუნისტური პარტიისა და საბ-  
ჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი.  
ლენინის ძეგლი.

ძეგლის საზეიმო გახსნაზე აქ მოვიდ-  
ნენ ამხანაგები ვ. პაპუნიძე, ნ. გუგუნა-  
ვა, დ. მანჯგალაძე, შ. მესხიძე, კ. სარი-  
ჩევი, ი. უნგიაძე, გ. ჩიგოჯიძე, გ. ცინ-  
ცაძე, რ. ბერიძე, ჯ. ნაკაშიძე, ხელმძღვა-  
ნელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავ-  
შირული, კომკავშირული მუშაკები, პა-  
რტიისა და დიდი სამამულო ომის ვე-  
ტერანები, წარმოების მოწინავეები, მე-  
ცნიერების, კულტურისა და ხელოვნე-  
ბის მოღვაწეები.

ძეგლს ხსნის საქართველოს კომპარ-  
ტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს  
წევრობის კანდიდატი, პარტიის აჭარის  
საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი  
ვ. პაპუნიძე, თეორი საბურველი ძირს  
ეშვება და შეიკრებილთ თვალწინ წარმო-  
უდგებთ ბელადის სამმეტრიანი სკულ-  
პტურა, რომელიც პიედესტალზე დგას.  
ძეგლის ავტორები არიან მოქანდაკეები  
მ. ბოლქვაძე და ო. დარჩია.

მიტინგზე გამოვიდნენ პარტიის ვეტე-  
რანი ი. კაკაბაძე, საქართველოს კომ-  
პარტიის ცენტრალური კომიტეტის წე-  
ვრობის კანდიდატი, აჭარის ასსრ უმა-  
ღლესი საბჭოს დეპუტატი, ბათუმის მა-  
ჩანათსაშენი ქარხნის მუშა ა. პლუუ-  
ნიკოვი, სამხედრო მოსამსახურე გ. ბე-  
ზუგლოვი, პოეტები ჯ. ჭაყელი და ჯ.  
ქათამაძე, ვ. ი. ლენინის სახელობის ბა-  
თუმის № 1 საშუალო სკოლის პიონე-  
რებმა წარმოადგინეს ლიტერატურული  
მონატუი.

საქართველოს კომპარტიის აჭარის სა-  
ოლქო კომიტეტის სხდომათა დარბაზ-  
ში გაიმართა სამეცნიერო-პრაქტიკული  
კონფერენცია „ვიცხოვროთ, ვიშრომოთ,  
ვიბრძოლოთ ლენინურად, კომუნისტუ-  
რად“. იგი მოაწვევს საქართველოს კომ-  
პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტმა,  
საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ  
კომიტეტთან არსებულმა პარტიის ის-  
ტორიის ინსტიტუტმა და ვ. ი. ლენინის  
ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფი-  
ლიალმა.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახ-  
სნა პარტიის ბათუმის საქალაქო კომი-  
ტეტის პირველმა მდივანმა დ. მანჯა-  
ლაძემ.

„ლენინი და თანამედროვეობა“ —  
ამ თემაზე წაიკითხა მოხსენება საქარ-  
თველოს კომპარტიის ცენტრალურ კომი-  
ტეტთან არსებული პარტიის ისტორიის  
ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ  
პროფესორმა ვ. მერკვილაძემ.

მოხსენებით „ლენინი მშრომელთა კო-  
მუნისტური აღზრდის შესახებ“ გამოვი-  
და საქართველოს კომპარტიის ცენტრა-  
ლურ კომიტეტთან არსებული პარტიის  
ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეც-  
ნიერი თანამშრომელი, ფილოსოფიის  
მეცნიერებათა კანდიდატი რ. ბალანჩი-  
ვაძე.

შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის  
სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის  
ისტორიის კათედრის გამგის პროფესორ  
პ. ცქვიტარიას გამოსვლის თემა იყო  
„ვ. ი. ლენინი და ქალაქ ბათუმის პრო-  
ლეტარიატის რევოლუციური მოძრაო-  
ბა“, შემდეგ გამოვიდნენ საქართველოს  
კომკავშირის ბათუმის საქალაქო კომი-



ტეტის პირველი მდივანი ლ. ადგიშვილი და ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მუშა, სკკპ XXV კრილოვის დელეგატი თ. დოლიძე, შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მეცნიერული კომუნისმისა და ფილოსოფიის კათედრის გამგე დოცენტი შ. ჯაფარიძე, ტრანსფორმატორების ქარხნის პარტიუროს მდივანი რ. შალიაძე.

ლენინური უბრალოებისა და თავდაზლობის შესახებ ილაპარაკა ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორმა ფ. მახარაძემ.

\* \* \*

საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის სახელობის კულტურის სახლში გაიმართა აჭარის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის (დირიჟორი შ. მეგრელიშვილი) კონცერტი. იგი მიეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს. კონცერტში მონაწილეობდნენ თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტები — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ნ. მკერვალიძე და ა. ზომერიკი, ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის ინტეგრირებული პიანისტი თ. ნიკოლაიშვილი.

შესრულდა ლ. ბეთხოვენის, ფ. ბიუხს, ე. გრიგის, ჯ. როსინის, ზ. ფალიაშვილის, რ. ლალიძის, სხვა კომპოზიტორების საორკესტრო და ვოკალური ნაწარმოებები.

\* \* \*

ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მაჟორებელს უჩვენა პრემიერა — ბ. ლა-ფრენეის „რევია“.

დამდგმელი რეჟისორია გ. აბესაძე, მხატვარი — აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ა. ფილიპოვი, სამხედრო კონსულტანტი — გადამდგარი პირველი რანგის კაპიტანი ს. ტოშკუა, მუსიკალური გამფორმებელი — თ. შამილაძე.



სექტაკლში მონაწილეობენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ა. მეგრელიძე, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ნ. საკანდელიძე, გ. ახვლედიანი, ხ. მეგრელიძე, ა. ტაყიძე, შ. შერვაშიძე, ი. ცანავა, აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტები ს. თურმანიძე, ბ. ინწკრევილი, რ. კაკაურიძე, ნ. მესხიძე, მსახიობები ც. აბზიანიძე, ლ. ჯიბლაძე და სხვები.

\* \* \*

სურათზე: სექტაკლის სცენა (იპირა აბზიანიძისა და იური ცანავას მონაწილეობით).

\* \* \*

ბათუმში კარგ ტრადიციად დამკვიდრდა ქუჩების ზეიმები. ბევრს ახსოვს კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩის დღესასწაული, რომელიც შარშან გაიმართა.

ახლა, ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის იუბილეს დღეებში, წიგნის მოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების აჭარის რესპუბლიკური და ბათუმის საქალაქო განყოფილებათა გამ-



გეოგნებმა, საქართველოს ალკ ბათუმის საქალაქო კომიტეტმა, საქართველოს მწერადღთა კავშირის აჭარის განყოფილება, ბათუმის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ და მისმა ფილიალებმა, ბათუმის პიონერთა რესპუბლიკურმა სასახლემ მოაწვევს ლენინის პროსპექტის დღესასწაული.

სახელდახელო ტრიბუნაზე აღიან ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, ლენინური პარტიისა და კომკავშირის ვეტერანები, ლენინის პროსპექტის მცხოვრებლები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ზეიმს ხსნის საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი გ. დიასამიძე.

თემაზე „ლენინის სახე აჭარის პოეტების შემოქმედებაში“ ილაპარაკა ლექტორმა ი. ბიბილიცვილი.

ზეიმის მონაწილეებს მიესალმნენ მცხოვანი პოეტი ნ. მაღაზონია და რუსთაველის პრემიის ლაურეატი, პოეტი ფრ. ხალვაში.

### აჭარის მხატვართა ნამუშევრების გამოფენა მოსკოვში

მოსკოვის საბჭოთა კავშირის მიხიხტრთა საბჭოსთან არსებულ საქართველოს სსრ მუდმივ წარმომადგენლობაში რეგულარულად იმართება გამოფენები, რომლებიც საშუალებას აძლევს მოსკოველებს და დედაქალაქის მრავალრიცხოვან სტუმრებს უფრო ახლოს გაეცნონ საქართველოს კულტურასა და ხელოვნებას.

გამოფენათა საინტერესო ციკლს განაგრძობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. გამოფენა ეძღვნება აჭარაში საბჭოთა ხელოვნულობის დამყარების მესამე წლისთავს.

გამოფენის ინიციატორები არიან საქართველოს სსრ მუდმივი წარმომადგენლობა მოსკოვში, აჭარის ახსრ კულტურის სამინისტრო და აჭარის მხატვართა კავშირი.

გამოფენა გახსნა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ მუდმივმა წარმომადგენელმა მოსკოვში თ. ხაჩიძემ.

ვერნისაზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ნ. გუგუნივა, პარტიის ვეტერანი დ. გუშინი, საბჭოთა კავშირის მხატვართა კავშირის პროპაგანდის განყოფილების გამგე ლ. ლაზარევი, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი თაქთაქიშვილი, მწერლები გ. მდივანი, გ. გულია, ა. შერვაშიძე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მხატვარი ი. თოიძე და სხვები.

საბჭოთა აჭარის სახვითი ხელოვნების ყოველი წარმატება უშუალოდ არის დაკავშირებული თბილისის ხამხატვრო აკადემიასთან. აქ აღიზარდა ბათუმელი მხატვრების უმრავლესობა.

პირველი თაობის მხატვრები რ. ჩახუა, ა. აირაბეგოვი ყოველ გამოფენას მაღალპროფესიული და ფაქიზად შესრულებული ნაწარმოებებით აქობდნენ. ნაყოფიერად მუშაობენ საშუალო თაობის მხატვრები შ. ხოლუაშვილი, შ. ზაშთარაძე, ნ. იაკოვენკო, გ. მეგრელიძე, ლ. სედიშვილი, ი. მარტინოვი, მოქანდაკე მ. ბოლქვაძე.

დამთვალეობები დიდხანს ჩერდებიან ახალგაზრდა თაობის ნიჭიერი წარმომადგენლების ხ. ინაიშვილის, გ. ტულუშის, ს. ართმელაძის, ა. ბაკურიძის, გ. მესხის, ნ. მეგლაძის ნამუშევრებთან.

სადა, დახვეწილი მანერით გამოირჩევა გრაფიკოსების ვ. კვერნაძის, გ. წულაძის, ნ. ნიჟარაძის, ზ. ხაბაძის, ჯ. მიქელაძის, ა. წილოსანის, რ. ხანადირაძის სურათები. გამოყენებითი ხელოვნების და ქანდაკების თვალსაჩინო ოსტატებად მოგვევლინენ ვ. ბუღავა, მ. ხალვაში, თ. ლლონტი, რ. ტროფიმოვი, ვ. იზმენდიანი, რ. დარჩია, ა. გურგენიძე, ვ. ინაიშვილი, გ. კაკაბაძე, ა. გაგნიძე, ჯ. ცინცაძე და სხვები.

გამოფენას დიდი წარმატება ხვდა.



გენციის, ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა.

სალამო გახსნა აჭარის ასსრ განმარტების დაცვის მინისტრმა რ. სურგულაძემ.

იმ ქარცეცხლიან ღღერა ცალკეულ ეპიზოდებზე შეკრებილთ მოუთხრეს აჭარის ასსრ დამსახურებულმა ექიმებმა გ. სვანიძემ, შ. კვაჭაძემ, ი. მოისწრაფიშვილმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა ექიმმა ლ. წეროძემ, საზოგადოება „ცოდნის“ აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის რეფერენტმა შ. სირაძემ, პოეტმა ი. მელიამ, შრომისა და ბრძოლის ვეტერანებმა მ. ვიანფელდმა, ი. ოსეფაშვილმა.


შეხვედრის მონაწილეებს მიესალმნენ მ. მაისის სახელობის ბათუმის № 9 სკოლის უმცროსკლასელები.

დასასრულ გაიმართა კონცერტი.

#### გაერთიანებული კლენუმი

გაიმართა საქართველოს თეატრალური საზოგადოების აჭარის განყოფილებისა და აჭარის მხატვართა კავშირის გამგეობათა გაერთიანებული კლენუმი. დღის წესრიგში იყო საკითხი „სპექტაკლების სცენოგრაფიის სრულყოფისათვის“. ბათუმში ეს პირველი შემთხვევაა, როცა მხატვრები და სცენის ოსტატები ერთმანეთს შეხვდნენ კონკრეტული შემოქმედებითი საკითხის განსახილველად.

სიტყვით გამოვიდნენ აჭარის ასსრ ხელოვნების მოღვაწეები ლ. შარაშიძე, დ. ინაიშვილი, ა. ფილიპოვი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები გ. გოვიბერიძე, ხ. მეგრელიძე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ი. კობალაძე, საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრები შ. ხოლუაშვილი, მ. ზოლქვაძე, მხატვრები ლ. სეიდიშვილი, ა. ბაკურიძე, ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრის დირექტორი ლ. ლლონტი და მთავარი რეჟისორი გ. აბესაძე, დრამატურგი ა. ჩხი-



„დედასამშობლო მაღლობას გიხდით!“

სსრ კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის სახელობის კულტურის სახლში გაიმართა შეხვედრა — „დედასამშობლო მაღლობას გიხდით!“ იგი მიემდგნა ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების 35-ე წლისთავს. დარბაზში თავი მოიყარეს დიდი სამამულო ომის მონაწილეებმა, მედიკოსებმა, ინტელი-



ძე, აჭარის ასსრ კულტურის მინისტრი  
ბ. მანარაძე.

პლენუმის მონაწილეებმა დეკლარაცი-  
ული თვალსაზრისით მიმოიხილეს სპე-  
ქტაკლები „ბუდე მეცხრე სართულზე“,  
„ეზოში ავი ძაღლია“, „შთამომავლობა“,  
„მეცხრე წმინდანი“, „ნაცარქექია“, „კა-  
ტასტროფა“, „დრო — 24 საათი“.



საანგარიშო კონცერტი

აჭარის მუსიკალურ-კორეგრაფიული  
საზოგადოების საქალაქო გამგეობისა  
და პათუნის სახალხო დეპუტატების სა-  
ქალაქო საბჭოს აღმსავალბის კულტურის  
განყოფილებასთან ორ წელზე მეტია ჩა-  
მოვლილდა საგუნდო კაპელა (დირიჟო-  
რი. აჭარის ასსრ ხელოვნების დანსახუ-  
რებული მოღვაწე ს. მიქელთაძე, კონ-  
ცერტმაისტერი ჯ. ბაუჟაძე).

ანსამბლი კონცერტებს მართავს ფაბ-  
რიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და  
საბჭოთა მეურნეობებში, თავის ხელო-  
ვნებას აცნობს დამსვენებლებს, ტური-  
სტებს, ჩვენი კუთხის სტუმრებს.

ფალიაშვილის სახელობის სამუსი-  
კო ინსტიტუტში კაპელამ გამართა  
საანგარიშო კონცერტი, რომელმაც დი-  
დი ინტერესი გამოიწვია. თბილისიდან  
ჩამოვიდნენ სახელმწიფო კონსერვატო-  
რიის კათედრის გამგე პროფესორი ვ.  
ფალიაშვილი, კომპოზიტორი ო. გორ-  
დელა და სხვ.

კაპელის საკონცერტო პროგრამა სტი-  
ლისტურ-უანრობრივი მრავალფეროვ-  
ნებით გამოირჩეოდა. შეასრულეს ქარ-  
თული და რუსული კლასიკური, საბ-  
ჭოთა კომპოზიტორებისა და შუა საუ-  
კუნეების დასავლეთევროპელი პოლი-  
ფონისტების ნაწარმოებები.

\* \* \*

სურათზე: დირიჟორი ს. მიქელთაძე  
და კონცერტმაისტერი ჯ. ბაუჟაძე.

### „საგზოთა აპარატ“ გავრცედა

თელავში დ. — ორდანი უკრავს.  
ლექსები. 1,000 ეგზ. 30 კაპ.

შირცხლაიშვილი ზ. — ქვიშის ქა-  
ლაქი. ლექსები. 1,000 ეგზ. 15 კაპ.

ლიპილით ნათქვამი. უკრაინელი  
იუმორისტი მწერლების მოთხრობები.  
თარგმნა გ. სიხარულიძემ. 20,000 ეგზ.  
45 კაპ.

მსენინი ს. — ლირიკა. ლექსები. თა-  
რგმნა გ. სალუქვაძემ. 2,000 ეგზ. 40 კაპ.

პატიამაძე ჯ. — ტირიფი ქარში.  
ლექსები. 2,000 ეგზ. 25 კაპ.

აბტორთა ჯგუფი — სამხრეთ-და-  
სავლეთ საქართველოს კულტურის ძე-  
გლები. რედაქტორი დ. კომახიძე. 2,000  
ეგზ. 1,70 კაპ.

მხანარაძე ფ. — ღია ცხოვრების  
ფურცლები. 3,000 ეგზ. 1, 46 კაპ.

აბიტატორთა და პოლიტინფორ-  
მატორთა დასახმარებლად. საქართვე-  
ლოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის  
ცნობარი. შემდგენელი ა. ციცხვაია. 500  
ეგზ. 10 კაპ.

3. იპარბაძე — ცხოველთა გადამდე-  
ბი დაავადებანი და მათ წინააღმდეგ  
ბრძოლა. 500 ეგზ. 10 კაპ.


ბ. ფხატაძე — ი. გოგებაშვილი და მისი  
„რუსკოე სლოვო“ (რუსულ ენაზე).  
1,000 ეგზ. 40 კაპ.

ს. ბელსკი — მეგობრობის მარშრუ-  
ტები (რუსულ ენაზე). 1,000 ეგზ. 25  
კაპ.



၀၃

၂၄၇၅၆၃၉၁  
၈၈၆၁၁၇၅၅၂



384516

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის  
ფაბრიკის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აპარის პოლიგრაფიული  
საწარმოო გაერთიანება, ბათუმი, ლუქსემბურგის, 20. ფასი 40 კაპ.







